საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №268 (2641) სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

„ის საზოგადოება, რომლის აშენებასაც ვესწრაფვით, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შერწყმას, მათს თავისუფალ ნებას ეფუძნება“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 27 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

— განვლილი კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რა თქმა უნდა, კიშინიოვში გამართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრა იყო, რომელიც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა მთელი თანამეგობრობისათვის. რუსულმა მასმედიამ ეს შეხვედრა შეაფასა, როგორც სკანდალური. იმასაც ამბობენ, რომ მან ძალიან სერიოზულად შეარყია თანამეგობრობის საძირკველი. სამიტზე გადაწყდა სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების საკითხიც. თუ შეიძლება, თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით... — ჟურნალისტ ნატო ონიანის თხოვნით, ამ თემაზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

— ჩემთვის მოთხოვნილებაც იყო, გამეკეთებინა რალაც კომენტარი კიშინიოვის შეხვედრისა და იმ შეფასებებისათვის, რომელიც უკვე მიეცა მას სხვადასხვა გზებითა და სხვადასხვა საშუალებებით.

იხ. მე-2 გვ.

პრესა

„სალამოს ფურცელი“ №1

თბილისობის დღესასწაულს მიეძღვნა ჩვენი გაზეთის პირველი „სალამოს ფურცელი“, რომელიც 26 ოქტომბერს გამოვიდა.

საქართველოს რესპუბლიკა №1
სალამოს ფურცელი
დღეს თბილისში თბილისობა გრძელდებოდა
დიდ გზაზე ევლოს!..
თბილისობა რიყემ ვერ დაიტია, ცას სწვდებოდა თბილისობის ზეიმი

თბილისის საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას ამ ფაქტის მიმართ ყველაზე უკეთ გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები, რომლებიც მან „სალამოს ფურცლის“ პირველ ნომერს წააწერა:

„ყოჩაღ „საქართველოს რესპუბლიკავ“, აი, ასე ოპერატიულად, დროულად უნდა გამოეხმაუროთ იმას, რაც საზოგადოებაში ხდება.

შესანიშნავია, გმადლობთ.

ედუარდ შევარდნაძე“.



თბილისობა – 97

რიყე — დედამდინარისა და დედაქალაქობის კალაპოტი

საქართველოს ყველა კუთხის განუმეორებელი ხიბლი და კოლორიტი, შერწყმული შემოდგომის ხვავსა და ბარაქასთან — ასეთი რამ მხოლოდ თბილისში, მხოლოდ რიყეზე და თანაც, მხოლოდ თბილისობაზე შეიძლება ნახოს კაცმა. ეს ლამაზი და უკვე ტრადიციად დამკვიდრებული დღესასწაული შეიყვარა თბილისმა და მთელმა საქართველომ. ამიტომაც, ისევე, როგორც გასულ წლებში, რიყე სტუმარ-მასპინძელს 26 ოქტომბერსაც ვერ იტევდა. ქართლი და კახეთი, იმერეთი და სამეგრელო, გურია და სამცხე-ჯავახეთი, მთელი საქართველოს მთა-ბარი იყო თავმოყრილი დედაქალაქის გულში და თავისი ჭირნახულითა და შრომის მადლით იწონებდა თავს.

ნაშუადღევს რიყეზე განლაგებულ საქართველოს მხარეებისა და რაიონების კარ-მიდამოებს ყველაზე საპატიო სტუმრები ეწვივნენ. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, ქალაქ თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოინახულეს თითქმის ყველა კუთხე, მიესალმნენ და შემოდგომის ბარაქიანი მოსავალი მიულოცეს ოქტომბრის ამ ნათელ და მზიან დღეს თბილისში მასპინძლად ქცეულ სრულიად საქართველოს. დიახ, სრულიად საქართველოს, რადგან, მიუხედავად ტკივილისა, აქ მაინც, როგორც იმედისა და რწმენის სიმბოლო, განთქმული სტუმართმოყვარეობით ილებდა ყველა მომსვლელს აფხაზური სახლი, მასპინძლობდნენ ჩვენი ლვიძლი ძმები — ოსები, ქართულ ლხინს მხარს უბამდნენ სხვადასხვა ეროვნული დიასპორის წარმომადგენლები...

„მადლობას გიხდით, რომ მზიური აჭარის სურნელი ჩამოიტანეთ შემოდგომის თბილისში“, მიესალმა ედუარდ შევარდნაძე აჭარელ მასპინძლებს, მარჯვენა შეუქო და კიდევ მეტი ბარაქა და სიმდიდრე უსურვა გამრჯე ქართველობას.

იქვე ახლოს კი, ზემოთ ნახსენებ აფხაზურ სახლში, მას სხვაგვარი მადლობა ჰქონდა სათქმელი: — მადლობა ჭირთათმენისა და სულგრძელობისათვის. იმედის სიტყვებიც უთხრა განსაცდელგამოვლილ თანამემამულეებს: „ეხედავ, შორს აღარ არის ის დღე, როცა ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში და აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს. მანამდე კი გულით მიხარია, რომ აქ, თბილისში, აფხაზური პანგები გაისმის, ქართველებისა და აფხაზების ერთად ყოფნა ვადღეგრძელოთ“...

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებმა თბილისობის დროს დაათვალიერეს მთაწმინდის რაიონში აღდგენილი სახლები.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ვიზიტის წინ

დღეს იწყება უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

უკრაინის პრეზიდენტი

ლეონიდ კუჩმა

ლეონიდ კუჩმა დაიბადა 1938 წლის 9 აგვისტოს ჩერნიგოვის ოლქის სოფელ ჩაიკინოში გლეხის ოჯახში. 1960 წელს დაამთავრა დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1960-1975 წლებში მუშაობდა ინჟინრად, უფროს ინჟინრად, წამყვან კონსტრუქტორად, მთავარი კონსტრუქტორის თანაშემწედ სუპერსაიდუმლო საკონსტრუქტორო ბიუროში „იუჟნოეში“ (ქ. დნეპროპეტროვსკი), ბაიკონურის ტექნიკურ ხელმძღვანელად. 1975-1982 წლებში იყო „იუჟნოეს“ საკონსტრუქტორო ბიუროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, 1982-1986 წლებში – ამავე საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალური კონსტრუქტორის პირველი მოადგილე. 1986-1992 წლებში მსოფლიოს უდიდესი რაკეტსამშენებლო კონცერნის ქალაქ დნეპროპეტროვსკის „სამხრეთის მანქანათსამშენებელი ქარხნის“ გენერალური დირექტორია.

1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე არის უკრაინის პრემიერ-მინისტრი, 1993 წლის დეკემბრიდან კი უკრაინის მრეწველთა და მეწარმეთა საბჭოს პრეზიდენტი.

ლეონიდ კუჩმა არის ლენინური პრემიისა და უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

მისი მეუღლე ლუდმილა ნიკოლოზის ასული ინჟინრად მუშაობდა „იუჟნოეს“ საკონსტრუქტორო ბიუროში. ჰყავს ქალიშვილი და შვილიშვილი.

გვიმრავლოს

მათ ტაშს უკრავდა მთელი დარბაზი

როგორც ვიუწყებოდით, თბილისობის დასკვნითი აკორდი რესტავრირებული „არაგვის“ პრეზენტაცია და თბილისის საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოების ცერემონია იყო. წლევანდელ დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება წილად ხვდათ სოფიკო ჭიაურელს, ვახტანგ ტაბლიაშვილს, რამაზ ჩხიკვაძეს, ოთარ ჯაფარიძეს და კარლო მეგრელიშვილს, რომლებსაც ქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა საზეიმოდ გადასცა ტიტულის დამადასტურებელი დიპლომები და გულსაკიდები.

საპატიო თბილისელებს გულთბილად მიესალმნენ „არაგვის“ დიდ დარბაზში შეკრებილი სტუმრები.

საქინფორმი.

სურათზე: საპატიო თბილისელები.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ინფორმაცია

რაც წაადგება ქვეყნის მომავალს

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს წერილი გამოუგზავნა იტალიის ასოციაცია „ლა ფავოლა დი ნელის“ პრეზიდენტმა ანა მარია შალანგამ. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენი ასოციაცია, რომელმაც 1997 წელს წარმატებით დაასრულა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი ბავშვებისათვის შედგენილი პროგრამა – „სიცილიური ზაფხული“, თავს მოვალედ თვლის მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც თქვენ მიგიძღვით აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. თქვენი დახმარების იმედი გვაქვს მომავალშიც, ახალი პროექტების რეალიზაციაში, რომლებიც მიზნად ისახავს იტალიაში სულ უფრო მეტი ბავშვის, განსაკუთრებით – ობოლი ბავშვების ჩამოყვანას არდადეგებზე“.

თანამშრომლობის გასავითარებლად

27 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა კანადის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მაიკლ მეისს.

ელჩის განცხადებით, მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ხაზგასმით ითქვა, რომ აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობა.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაშია. კანადელების მხრიდან უკვე გამოიკვეთა ენერგეტიკის, სამთო მოპოვების და სამედიცინო სფეროებში თანამშრომლობის ინტერესები. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა მთელი რიგი ხელშეკრულების პროექტებზე.

მინისტრს გადაეცა მოწვევა წლეულს დეკემბერში ოტავაში დაგეგმილ კონფერენციაზე დასასწრებად.

მეხვედრას ესწრებოდა კანადის ელჩი ეუთოში პიტერ დუბუა.

„საცდელი ფაზა დასრულებულია...“

„1997 წლის დეკემბრისათვის სოციალური ინვესტიციების ფონდმა უნდა მოამზადოს და დაამუშაოს ოცი მიკროპროექტი, რომლებიც შემდგომში განხორციელდება“, – აღნიშნავს მსოფლიო ბანკის საქართველოსა და სომხეთის მესამე რეგიონული გაერთიანების დირექტორი ჯუდი ო, კონორი ეკონომიკური რეფორმის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიასადმი გამოგზავნილ წერილში. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ საცდელი ფაზა დასრულებულია. ეს პერიოდი კი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა გამოცდილების მიღებისა და სწავლების თვალსაზრისით. იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება“, – აღნიშნავს ჯუდი ო, კონორი.

დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დასაქმებულთა რიცხვი ერთ წელიწადში (1997 წლის მესამე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) 16 პროცენტით გაიზარდა. დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 90 პროცენტზე მეტია.

ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინასწარი მონაცემებით 1997 წლის მესამე კვარტალში 1,9-ჯერ გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 63,7 ლარი შეადგინა, ხოლო ფასების ცვლილებების გათვალისწინებით რეალურად 1,8-ჯერ გაიზარდა.

საქართველო - რუსეთი ბათუმის გავლით

ქალაქ კისლოვოდსკის დელეგაცია მერის ვიქტორ ბეკეტოვის მეთაურობით იმყოფებოდა ბათუმში, სადაც ხელი მოაწერს ხელშეკრულებას ორი ქალაქის დამოყვრების შესახებ. ხელმოწერის ცერემონიაზე აღინიშნა, რომ გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის განმტკიცების, კავკასიაში მშვიდობის დამყარების გზაზე.

მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის

ქუთაისის მერის სპეციალური ბრძანებით ქალაქში შექმნილია მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკოორდინაციო შტაბი, რომლის პირველი სხდომა ბადრი მელქაძის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა. უმკაცრესი შეფასება მიეცა საწარმოთა ხელმძღვანელების დამოკიდებულებას სოციალური ანარიცხების ჩარიცხვის საქმისადმი და აღინიშნა, რომ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას. სოციალური ანარიცხების ამოღებაზე კონტროლი ქალაქის ვიცე-მერს დაევალა.

ფოთის საბაჟოში 10 თანამშრომელი დაითხოვეს

ფოთის საბაჟოში დამთავრდა კადრების ატესტაცია. კონკურსი ტესტირების წესით გაიმართა. საბაჟო დატოვა 10-მა ძველმა მუშაკმა, მათ ადგილებს კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები დაიკავებენ.

სწავლა ქართულ ენაზე განახლდა

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მცდელობა, გალის რაიონის სკოლებში ქართულენოვანი სწავლების აკრძალვის თაობაზე, ფაქტობრივად უშედეგოდ დასრულდა. როგორც სარწმუნო წყარო იტყობინება, გალის რაიონის მთელ რიგ სკოლებში განახლდა სწავლება და იგი ქართულ ენაზე მიმდინარეობს – გვაცნობა „იბერიამ“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „მოამბე-ექსპრესმა“.

უკანასკნელ საათს

მახაჩყალა. დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ორშაბათს ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს აკუშას რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი ვაჟი.

რამალაჰი. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი გუშინ აქ პალესტინის ავტონომიის ლიდერს იასირ არაფატს შეხვდა. არაფატმა პრიმაკოვს სთხოვა, რომ რუსეთმა ისრაელზე ზეგავლენა მოახდინოს იმ საკითხებში, რაც პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო დიალოგის განახლებას ეხება.

ვაშინგტონი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინი რვადღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა აშშ-ში, სადაც დაგეგმილია მოლაპარაკება აშშ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ეს ჩინეთის ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია ამერიკაში.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატებს არ ექნება ნორმალური ურთიერთობა ჩინეთთან, ვიდრე პეკინი არ შეცვლის თავის პოლიტიკას ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, განაცხადა კვირას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა. ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი ჩინეთთან ამერიკის ურთიერთობის ძირითადი კომპონენტია, თუმცა არა ერთადერთი.

პარლამენტი

თითო აბზაცით

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს და მიიღეს 28-31 ოქტომბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

* * *

სახალხო დამცველის თანამდებობაზე პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ დავით სალარიძის კანდიდატურას ფრაქცია „მაჟორიტარი“ მხარს დაუჭერს, – განაცხადეს ფრაქციის სხდომაზე.

სხვისი გამოცდილება

მინისტრებს – „მცოცავი ხელფასი“?

მინისტრთა კაბინეტში უნდა დამყარდეს წესი, რომლის თანახმადაც, თუ მინისტრები ჯეროვნად ვერართმევენ თავს სამუშაოს, ხელფასი შეუმცირდებათ, წერს ბრიტანული „ტაიმსი“.

ამ წინადადების ავტორმა, ლიბერალ დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელმა ფინანსებისა და ბიუჯეტის საკითხებში მალკოლმ ბრიუსმა მოამზადა სახელმწიფო სამსახურის აქტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თითოეულმა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს მინისტრის კონკრეტული მოვალეობებისა და ამოცანების დეტალური ნუსხა.

„ზოგიერთი მინისტრი იმსახურებს ხელფასს, რომელსაც იღებს, – ამბობს ბრიუსი, – ზოგი – ვერა. თუ ამა თუ იმ მინისტრის საქმიანობა არ შეესაბამება პროფესიულ ნორმებს, და თუ ესა თუ ის დაპირებები შეუსრულებელი რჩება, მაშინ უნდა შეურიგდეს ხელფასიდან გარკვეული თანხის დაკავებას“.

ხელფასის მომატება-დაკლების გადაწყვეტილებას, პროექტის თანახმად, იღებს პრემიერ-მინისტრი ან საამისოდ დანიშნული სპეციალური კომიტეტი.

ხომ საგულისხმო ინიციატივაა? – ნათქვამია პუბლიკაციის დასასრულს. ძალიან! – დავსძენთ ჩვენი მხრივ. ოღონდ, იგი ქმედითი აღმოჩნდება მხოლოდ იმ მინისტრების მიმართ, რომლებიც ხელფასზე ცხოვრობენ.

მორიგე რედაქტორი.

საქართველოს რესპუბლიკა
№268. სამშაბათი, 28 ოქტომბერი. 1997 წელი.

„ის საზოგადოება, რომლის აშენებასაც ვესწრაფვით, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შერწყმას, მათს თავისუფალ ნებას ეფუძნება"

ამთავითვე მინდა ვთქვა, რომ სწორი არ არის ასეთი შეფასება, თითქოს ეს იყო სკანდალური, უშედეგო და სხვა. პირადად მე ასე ვიტყოდი, რომ იმ შეხვედრათა შორის, რომლებსაც 1993 წლიდან ვესწრები, ჩემი აზრით, ეს ყველაზე შედეგიანი შეხვედრა იყო. მნიშვნელობა არა აქვს, რა ქაღალდსა და რა დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. თუ საერთაშორისო ურთიერთობიდან გავიხსენებთ, იყო სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრები, რომლებზეც არც ერთი დოკუმენტისათვის არ მოგვიწერია ხელი, მაგრამ, რომლებიც ინტელექტუალურ გარღვევად ითვლებოდა. თუ რაიმე წინსვლაზე შეიძლება ლაპარაკი, ჩემი აზრით, სწორედ კიშინიოვის შეხვედრამ ბევრი რამ მისცა თანამეგობრობას, თუკი ისე განხორციელდა და შესრულდა ყოველივე, რაც ითქვა, და რა სურვილებიც ჩამოყალიბდა. იგი მართლაც გამორჩეული იყო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხვა სამიტებთან შედარებით, უწინარესად, იმ განსაკუთრებული გულახდილობითა და გულწრფელობით, როგორითაც მიმდინარეობდა საუბარი და ზოგჯერ მწვავე დისკუსიაც. სხვათა შორის, ამ სიმწვავის გამო ზოგიერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ისევე როგორც ზოგიერთმა გაზეთმა და სხვებმა, კიშინიოვის შეხვედრას „წარუმატებელი" უწოდა, ზოგმა — „სკანდალური" და სხვა. მე კი პირიქით მგონია, — თანამეგობრობის წევრ ქვეყანათა ხელმძღვანელების სამიტი სწორედაც რომ ძალზე წარმატებული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მისი მონაწილე თითქმის ყველა პრეზიდენტი გულწრფელად, დაუფარავად ამბობდა სათქმელს, არ ცდილობდა პრობლემათა მიჩქმალვას ან მათი მნიშვნელობის მიჩუმათებას. კიშინიოვში საბოლოოდ დავრწმუნდი: თუ თანამეგობრობას „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას" არსებობა და განვითარება უწერია, — მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი გულახდილობის, გულწრფელობის, ერთმანეთის აზრის პატივისცემის, ჭეშმარიტი კოლეგიურობისა და თანამშრომლობის, თანასწორობის პირობებში.

დღეს ვერავინ ვერავის მოატყუებს და ვერ მოახვევს თავს საკუთარ აზრს, თუნდაც გასაცოდავებული იყოს ქვეყანა, და საკუთარ შეხედულებას, მით უმეტეს, საკუთარი ქვეყნის ეგოისტურ ინტერესებს. რა საჭიროა თანამეგობრობა, ვის სჭირდება რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც წევრი ქვეყნების, სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და უშიშროებას არ დაიცავს? დარწმუნებული ვარ, და მე არაერთხელ მითქვამს, რომ თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუკი ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას. არ სჭირდება არც თვით რუსეთს ასეთი კავშირი, ასეთი ურთიერთობა. კიშინიოვის შეხვედრის ღირსება სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ შევეცადეთ თუნდაც ძალზე მწვავე შეფასებებითა და გულახდილი საუბრით მიგვეღწია სტაგნაციის შინაგანი სიღრმისეული მიზეზისათვის და, უნდა მოგახსენოთ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბატონი ბორის ელცინი კოლეგათა ამ მისწრაფებას სრული გაგებით შეხვდა. უფრო მეტიც, იგი თავად გახლდათ საკმაოდ მწვავე დისკუსიის წამომწყები. შემდგომი რეაქციები, განსაკუთრებით, დახურულ სხდომაზე აღნიშნულისა და ნათქვამის ქუჩაში გამოტანა (მე არ მეშინია ამ სიტყვებისა), რბილად რომ ვთქვა, არაეთიკურია. მაგრამ, რახან ითქვა, რახან დაიწერა, მეც იძულებული ვარ ზოგიერთ რამეს გავუსვა ხაზი და ზოგიერთ რამეს შევეხმიანო. მხოლოდ ზოგიერთ რამეს, რადგან ყველაფრის თქმა, ალბათ, დღეს არ გამოვა.

თანაც ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, მანამდეც არაერთხელ აღმინიშნავს დახურულადაც და საჯაროდაც.

მაგალითად, რატომ უნდა იყოს საწყენი, თუკი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი იტყვის შეხვედრაზე, რომ 1991-93 წლებში და ნაწილობრივ 1994-ში რუსეთმა საქართველოდან გაზიდა თითქმის მთელი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, მათ შორის 2,5 მილიარდი დოლარი ღირებულების თვითმფრინავები, უამრავი მძიმე ტექნიკა, საჰაერო თავდაცვის საშუალებებიც კი. მაშინ, როცა ასეთი რამ არცერთი რესპუბლიკის, არცერთი ქვეყნის მიმართ არ გაუკეთებიათ.

ანდა განა ფაქტი არ არის, რომ თითქმის ორ წელიწად-ნახევარი — სამი წელია ვითხოვთ, ნება დაგვრთონ ჩავერთოთ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებაში შავი ზღვის ფლოტის გაყოფასთან დაკავშირებით. ეს ის საკითხებია, რომლებსაც ახლა სხვადასხვანაირად აშუქებენ, სხვადასხვაგვარი სპეკულაცია მიდის... და მე არ შემიძლია, აზრი არ გამოვთქვა. აქვე მინდა დავძინო, რომ უკრაინა თანახმა იყო. ჩვენ ხომ ავიამზიდებს არ ვითხოვდით, საკმარისი იყო სიმბოლური წილი, რათა საქართველოს ნამდვილი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსი ჰქონოდა, ეს სტატუსი შეეძინა. იგი ხომ შავი ზღვის ერთ-ერთი წამყვანი თუ არა ერთ-ერთი სერიოზული სახელმწიფოა. ან რატომ უნდა გამოეწვია ზოგიერთი მოხელის გაღიზიანება ტერორისტების შესახებ საკითხის დაყენებას. დიახ, მე ვთქვი, რომ რუსეთი იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებიც იცავენ ტერორისტებს. აგერ, ორ წელზე მეტია იგი გულმოდგინედ აფარებს კალთას ტერორისტთა ჯგუფს, რომლებმაც საქართველოში ცნობილი დივერსიები და ტერაქტები განახორციელეს. მე სრულიად გულწრფელად ვიკითხე: რისთვის გჭირდებათ-მეთქი? თუ ელოდებით, რომ დღევანდელ პრეზიდენტს მოაცილებენ და მოსკოვში მზა გუნდი გეყოლებათ, ეს ხომ ილუზიაა. ესენი ჩვეულებრივი კრიმინალები არიან და საქართველოდან კი კრიმინალების მატარებელი დიდი ხანია გავიდა.

ანდა, სანამდე უნდა გვატყუონ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით? გამოვითვალოთ — 1992 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ოთხ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი რუსების გარანტიებით. ხომ ფაქტია, რომ აფხაზეთში რუსეთის არმიაში გაწვრთნილი და რუსული იარაღით კბილებამდე შეიარაღებული ათიათასობით „ბოევიკი" იბრძოდა. ყველა ხელშეკრულებაზე ხელმოწერას ახალი შემოტევა, ახალი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვებოდა ხოლმე. ახლაც არ ამოდის გონებიდან გენერალ კოლესნიკოვის ომახიანი განცხადება მაშინდელ უმაღლეს საბჭოში — 3 დღეში სოხუმი აღებული იქნება. ალბათ, რუსეთში წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, სხვა ამოცანები რომ გადაეწყვიტა რუსეთის ზოგიერთ გენერალს, როგორც ეს მათ აფხაზეთში მოახერხეს. ისიც ითქვა, რომ ამ ბოლოს ხანს იმის შესახებ, რომ რუსეთის დიპლომატია ცდილობს გააქტიურებას, მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ აფხაზთა მზადყოფნის დემონსტრირება: თუნდაც ერთ — ცალკე აღებულ გალის რაიონში. დამთავრდეს ამ რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი — დაბრუნდეს ყველა ლტოლვილი (ეს ერთი რაიონია, აფხაზეთის შიდა ქალაქიდან და რაიონიდან) და ამის შემდეგ ვილაპარაკოთ ფსოუზე, რუსეთ-საქართველოს საზღვრის რეჟიმის შერბილებასა და სხვა ეკონომიკურ პრობლემებზე.

დიახ, მე ვთქვი ისიც, რომ სანამ საბაჟო კავშირზე ვილაპარაკებთ, ავამოქმედოთ ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ვივაჭროთ თავისუფლად დისკრიმინაციისა და უკანონო ბარიერების გარეშე, ისე, როგორც ვაკეთებთ ამას უკრაინასა და სხვა სახელმწიფოებთან. მანამდე კი ჩვენ ყველანი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები გავხდებით და ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, ერთიან სავაჭრო და საბაჟო სივრცეში.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას, ჩვენ შევთავაზეთ ვადა გაგრძელდეს 31 იანვრამდე, ან იმ დრომდე, სანამ რომელიმე მხარე არ დააყენებს ოპერაციის შეწყვეტის საკითხს. ესე იგი, თუ დოკუმენტის ხელმოწერის დღიდან დაწყებული ოპერაცია ნორმალურად არ განვითარდება, საქართველოს, ისევე როგორც აფხაზებს, ექნებათ უფლება, არა მარტო დააყენონ მისი შეწყვეტის საკითხი, არამედ კიდევაც შეწყვიტონ იგი. ორივე საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მივიღეთ პრეზიდენტების, უპირველესად ბატონ ელცინის კატეგორიული თანხმობა და კატეგორიული მხარდაჭერა, და მან ეს პრესკონფერენციაზეც და პლენარულ სხდომაზეც სავსებით ნათლად გამოხატა.

ზოგიერთი მოხელე, კომენტატორის სახელს ამოფარებული, შეგვახსენებს მე და ჰეიდარ ალიევს, რომ ჩვენ პოლიტბიუროს წევრები ვიყავით. ჩემს გამოსვლაში (მათ საყურადღებოდ ვამბობ) სწორედ ის ვთქვი, რომ ზოგიერთი სხდომა და საკითხთა მომზადების ტექნოლოგია პოლიტბიუროს მოგვაგონებს-მეთქი. საჭიროა შეიცვალოს გადაწყვეტილებათა მომზადების მექანიზმი, საჭიროა სხვა დონემდე ამაღლდეს თანამეგობრობის აღმასრულებელი სამდივნოს სტატუსი. მე არათუ პოლიტბიუროს, არამედ ბევრი გაერთიანების ევროკავშირის გამოცდილებასაც დავესესხებოდი-მეთქი. მე ეს ვთქვი, და ისინი პოლიტბიუროს იხსენებენ.

და კიდევ ერთი (მე, რა თქმა უნდა, დღეს ყველა საკითხზე არ შევჩერდები), სიმართლე გითხრათ, მოთმინების ფიალა აივსო, როგორც იტყვიან, გაუთავებელი ყვედრებით, რომ ალმოდებული სოხუმიდან რუსმა სამხედროებმა მიხსნეს და გამომიყვანეს. რეუტის მიერ (გახსოვთ თქვენ რეუტი, კავკასიის ჯარების სარდალი) ღამით მეპირებული ოთხი თვითმფრინავი, დღესაც გვაშია, სამხედრო კატარღა, რომელიც ბაბუშერის ნაპირს მოადგა, დაუყოვნებლივ უკან გატრიალდა. საკმარისი იყო რამდენიმე ავტომატი აკაკანებულიყო სანაპიროდან, რომელიც ამ ჯავშნიან კატარღას ვერაფერს დააკლებდა. ჩემი „სალონის" („სალონს" ვუწოდებ იმ პატარა თვითმფრინავს) მფრინავები სვანეთის გზას გაუდგნენ. ისინი წინასწარ დეზინფორმირებულნი იყვნენ, რომ მე უკვე თავი დავაღწიე და გავედი სოხუმიდან, და სხვათა შორის, ჩემი პირადი დაცვაც ასევე დეზინფორმირებული იყო სხვადასხვა ძალების მიერ. მხოლოდ რამდენიმე ბიჭი დარჩა ჩემთან საბოლოოდ. ბაბუშერის აეროდრომზე სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ ტუ, თუ არ ვცდები ტუ-134-ის ეკიპაჟი, რომელიც დათანხმდა დამჯდარიყო მტურევალთან, მიუხედავად იმისა, რომ საწვავი ეყოფოდათ მხოლოდ კოპიტნარამდე ან ბათუმამდე. თვითმფრინავის ჰაერში აჭრა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ, როცა სიმაღლე ავიღეთ, მხოლოდ შემდეგ გაგვიხსნეს ცეცხლი სანაპირო და საზენიტო საშუალებებით, მაგრამ უკვე მაღლა ვიყავით. ბათუმში საწვავი ჩაგვისხეს (ვთხოვე, არავინ გაეღვიძებინათ, არავინ შეეწუხებინათ) და თბილისში ისე მოულოდნელად ჩამოვფრინდით, რომ მანქანებიც კი არ დაგვხვედრია.

შეიძლებოდა, იმ გზით წამოვსულიყავი, რომელიც ათიათასობით ლტოლვილმა აირჩია (სვანეთის მთები მაქვს მხედველობაში, ან აქეთ, სამეგრელოსაკენ), ანდა ისევე გამეწირა თავი, როგორც ეს გენერალმა გენო ადამიამ გააკეთა და სხვებმა და სხვებმა. მაგრამ მაშინ ეს სამშობლოს ღალატი იქნებოდა. ჰაერში უკვე ტრიალებდა სამოქალაქო ომის დენთის სუნი.

კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ვურჩევდი ჩემს ოპონენტებს რუსეთშიცა და სხვაგანაც, თავი დაენებებინათ ერთმანეთის მიმართ ყვედრებას, მით უმეტეს, რომ ბევრი რამ სიმართლისაგან ძალზე შორსაა, ხოლო, რაც სიმართლეა, მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი.

მე ვგრძნობ, რომ ბევრი „მეგობარი" (მე ამას უკვე ვხედავ) ხელებს იფშვნეტს სიამოვნებით, ხედავენ, საქართველო და რუსეთი შეეჯახნენ, შეეტაკნენ ერთმანეთს და ახლა, თუ წყალი აიმღვრა, რაღაცას დავიჭერთ, ყოველ შემთხვევაში ლიფსიტას მაინცო.

არა, ბატონებო, შორსმჭვრეტელობა გვეყოფა ჩვენც და დარწმუნებული ვარ ეყოფა რუსეთის ხელმძღვანელობასაც. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავაც და კვლავაც აღმავლობის გზით ივლის, რა თქმა უნდა, თუკი მისი საფუძველი იქნება თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. ვფიქრობთ, რომ, რაც ახლა ხდება ჩვენ შორის, ერთი მხრივ, გვაკვირვებს კიდეც, მაგრამ, მეორე მხრივ, თითქოს არ უნდა გვიკვირდეს. რადგან ის უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა და დაიშალა, და სხვათა შორის, მე ცენტრის შესახებაც ვთქვი, და იმ ცენტრის შენარჩუნება რომ ბევრს უნდა, ეს იმ ძველი მენტალიტეტის გადმონაშთია. ძველი მენტალიტეტისაგან რომ განთავისუფლდნენ, ამას, ალბათ, კიდევ ბევრი დრო დასჭირდება. ამიტომ დრამატიზება იმისა, რაც ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარს, დისკუსიას გულახდილი, პირდაპირი, პრინციპული ხასიათი აქვს, საჭირო არ არის. ვფიქრობ, კიშინიოვის შეხვედრა უკეთესობის გზაზე გადადგმული ნაბიჯი იყო.

— სოხუმის დაცემის შემდეგ უკვე ამდენი ხანი გავიდა და თქვენ პირველად ახსენეთ ეს სიტუაცია და პირველად შეეხეთ ამას. თუმცა ვერსიები მაშინაც იბეჭდებოდა. და მახსოვს ასეთი დეტალი: როცა თქვენი თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა, თვითმფრინავი, რამდენადაც ვიცი, ნახევრად დაშლილი იყო და მისი ფრენა არ შეიძლებოდა. მაშინ ქართველმა მფრინავებმა თავი გასწირეს. თუ ვინმეს მადლობა ეთქმის, მხოლოდ მათ, და არა იმათ, ვის შესახებაც რუსული მასმედია ლაპარაკობდა. და ასეთი ფრაზა გაისმაო ჰაერში: „Седой уходит". ეს იყო სრულიად შემთხვევით, თვითმფრინავი არანორმალურად აფრინდა და ის აუცილებელი ნორმა აფრენისა არ შესრულა — თვითმფრინავი ნელ-ნელა იღებს სიმაღლეს, თორემ თქვენს თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ. რაღაც სასწაული მოხდა მაშინ...

— ესე იგი, აკრძალული ხერხებითა და მეთოდებით აიღო სიმაღლე და, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ფაქტობრივად ჩვენ უკვე გარშემორტყმული ვიყავით. მაგრამ ხელს უშლიდათ ის, რომ არ იცოდნენ, რა ძალები იყო იქ. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ დაცვამ და სხვებმა დატოვეს ბაბუშერის აეროპორტი.

— ამ საკმაოდ მძიმე მოგონების შემდეგ, ისევ დავუბრუნდეთ სოხუმის თემას, აფხაზეთის თემას. სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე, მით უმეტეს, საგანგაშოდ აღიქმება ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზეთში პრივატიზაცია მიმდინარეობს...

— ეს ძალზე სერიოზული საკითხია, რომელიც არა მარტო საქართველოს ხელისუფლებას, არამედ იმ ფინანსური წრეების წარმომადგენლებსაც უნდა აღელვებდეთ და აფიქრებდეთ, რომლებიც მზად არიან ისარგებლონ შექმნილი ვითარებით და ჩალის ფასად იგდონ ხელთ საქართველოს, აფხაზეთის სიმდიდრეები. დიახ, ეს უნდა აღელვებდეთ მათ, ვინაიდან კატეგორიულად ვაცხადებ: საქართველოს ხელისუფლება ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან იმ კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების გამო, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ფორმდება თვითმარქვია „მთავრობათა" მიერ. ამდენად, მე სიფრთხილისათვის მოვუწოდებ ყველას, ვისაც მცირედით ბევრის მოპოვება სურს, რომ ის მცირედიც არ დაკარგოს.

პრივატიზება აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში, განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, რაც არათუ გამორიცხავს, არამედ განაპირობებს კიდეც თვით აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ინტერესების დაცვას. ხოლო, თუ ისე განხორციელდება, როგორც ახლა ზოგიერთს აქვს ჩაფიქრებული, ეს სერიოზული უთანხმოებისა და უკმაყოფილების კიდევ ერთი საგანი გახდება, რომელიც დაგვაცილებს მოწესრიგებისა და მოლაპარაკების საბოლოო შედეგს.

გარდა ამისა, იურიდიულ-სამართლებრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, უზნეობაა, იყოფდე და ითვისებდე ქონებას, როცა სამასი ათასი კაცი, რომლებმაც უდიდესი გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ამ ქონების შექმნაში, გაძევებულია მშობლიური მიწიდან, დარწმუნებული ვარ, ამ პირობებში არც ერთი პატიოსანი ბიზნესმენი არ ისარგებლებს იმით, რომ სხვის უბედურებაზე ააგოს საკუთარი ბედნიერება. და თუ ვინმე მაინც იკადრებს ამას, მწარედ შეცდება და ხელმოცარული დარჩება.

— გასული კვირა სკანდალური აღმოჩნდა საქართველოსათვის, ვგულისხმობ მორიგ დაძაბულობას ცენტრსა და აჭარის რეგიონს შორის, რის საფუძველიც ბათუმის ყოფილი მერის განცხადება გახდა...

— ვიცი, რომ ამ განცხადებასთან დაკავშირებით ახლა ბევრნი პრეზიდენტისაგან ელიან კომენტარს თუ შეფასებას, რაღაც გადამწყვეტ სიტყვას. მაგრამ ერთადერთი, რაც დღეს, დღევანდელ პირობებში შეუძლია პრეზიდენტს, ეს არის კატეგორიული მოთხოვნა გენერალური პროკურორის მიმართ, სასწრაფოდ შეამოწმოს ეს ფაქტი, ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტს არა აქვს ჩამოყალიბებული აზრი, შეხედულება თუ დამოკიდებულება მომხდარის მიმართ, მაგრამ მისი გამოთქმა მანამ, სანამ კომპეტენტური და კანონით უფლებამოსილი ორგანო არ წარმოადგენს უტყუარ, უეჭველ ფაქტობრივ მასალას, არათუ მიზანშეუწონლად, არამედ ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. პირადად ჩემთვის, ახლა უბრალოდ ადამიანური პოზიციებიდან გამომდინარე, როგორც ადამიანისათვის, წარმოუდგენელია მომხდარიყო ის, რასაც ბატონი ხარაზი ამტკიცებს, მაგრამ საქმე ეს როდია. პრეზიდენტი მოვალეა თქვას პრეზიდენტის სიტყვა მხოლოდ პროკურატურის დასკვნის შემდეგ. სხვათა შორის, თქვენ გახსოვთ, ალბათ, თბილისში რამდენიმე პროცესი, სადაც სხვადასხვა გვარებს ატრიალებდნენ ხოლმე. მათ შორის, აჭარიდანაც. უნდა გითხრათ, რომ არცერთი ამ ვერსიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტს თავისი აზრი არ გამოუთქვამს. სასამართლომ, სადაც არის დაცვა, და სადაც არის ბრალდება, სადაც არის საჯაროობა და პაექრობა, ასე ვთქვათ, ის ვერსიები, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი არ იყო, მოხსნა დღის წესრიგიდან. ამიტომ უნდა შევთანხმდეთ, რომ ვიმოქმედოთ მხოლოდ და მხოლოდ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში.

— განვლილი კვირა მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ თბილისში უკვე მერამდენედ თბილისობის დღესასწაული გაიმართა. მიუხედავად გარკვეული „მკბენარე" შეფასებებისა, შეიძლება ითქვას, რომ თბილისობა შედგა და თანაც გამორჩეულად ბევრი სტუმარი ჰყავდა...

— უწინარესად, ამ „კბენების" შესახებ. ძალიან მინდოდა ერთ-ერთს მაინც შევხვედროდი გუშინ ქუჩებში, მაგრამ რას ამოიცნობდი. მთელი თბილისი გუშინწინ და გუშინ ქუჩაში იყო. მე მგონი, ამ „კბენებს" ასეთ უსაფუძვლოს სჯობს საკუთარ ხელზე ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილზე იკბინონ, რადგან არავითარი სერიოზული საფუძველი არა აქვს იმას, რასაც ისინი, ასე ვთქვათ, გვიწინასწარმეტყველებდნენ ხოლმე.

გულწრფელად გეტყვით, ამ დღესასწაულში ყველაზე მეტად ის მახარებს და ერთგვარად მეამაყება კიდეც (რაკი თბილისობის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდით თავის დროზე), რომ იგი ასე აიტაცა და შეისისხლხორცა, გაითავისა ჩვენმა ხალხმა, თბილისელებმა, მთელმა საქართველომ. თბილისობა ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად იქცა და დარწმუნებული ვარ, ისეთივე ტრადიციული გახდება, როგორც უძველესი „მცხეთობა" და დარწმუნებული ვარ, რომ გაისად, უწმინდესის ნებით, ზარებიც დაირეკება, ზარებიც გვამცნობს, რომ თბილისობა იწყება. ეს ჩვენი დედაქალაქის დღეა, თბილისისა და სრულიად საქართველოს ერთობის ზეიმია. რამ გაყო თბილისი და სრულიად საქართველო, მისი ნებისმიერი კუთხე, ისინი ხომ „ერთსულ და ერთხორც" იყვნენ, არიან და იქნებიან მარად.

მინდა, მივულოცო ყველა თბილისელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, და მადლობაც ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს ჩვენი დედაქალაქისათვის ღირსეული პატივის მისაგებად. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, თბილისის მერიას, რომელიც ბევრს აკეთებს, რათა ყოველ ახალ თბილისობას ახალი საწარმოებით, ახალი პროდუქციით, საცხოვრებელი სახლებით, აღდგენილი და გალამაზებული უბნებით შეხვდეს ჩვენი ქალაქი. გუშინ მე ვეახლე იმ სახლდამწვართა ოჯახებს, აღდგენილ სახლებს, და უკვე ჩანს, რომ დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი ვერ იქნება ყველაფრისათვის, რაც წინათ მოხდა, მაგრამ კვლავაც იზრუნებს ადამიანებზე და ისინი სხვა პირობებში იცხოვრებენ. აგრეთვე მინდა, მადლობა ვუთხრა საქართველოს მხარეების, რაიონების, ქალაქების თავკაცებს. საქართველომ დედაქალაქს მართლაც სადღესასწაულო ნობათი მოუმზადა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით, ამ დღეებში თბილისში გასაყიდად შემოიტანეს დიდძალი პროდუქტი. რაც თბილისელებს ზამთრისათვის მარაგის შევსებაშიც დაეხმარება. მე აქ მაქვს მონაცემები — ასობით, ათასობით ტონა ხორცი, ცოცხალი ცხვარი, გოჭი, ქათამი, ინდაური, თევზი და სხვა და სხვა, თითქმის ყველაფერი, რაც კაცს სჭირდება.

სოფლის მუშაკთა წლევანდელი ღვაწლის, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოებაში მიღწეული წარმატებების აღნიშვნასთან ერთად, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოებში შექმნილ შეფერხებებზე. დღეისათვის, ოპერატიული მონაცემებით, მოხნულია 115 ათასი ჰექტარი, ანუ მოსახნავი ფართობის 62 პროცენტი, და დათესილია მხოლოდ 43 ათასი ჰექტარი, ანუ 23 პროცენტი, მაშინ, როცა ხვნის აგროტექნიკური ვადები ფაქტობრივად დამთავრებულია. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, ქვეყანაში არის საკმარისი თესლეული, ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები, სასუქები. ამიტომ საჭიროა მიწათმოსარგებლეთა უფრო აქტიური ძალისხმევა, ტექნიკის ორცვლიანი და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა ხვნა-თესვის დასაჩქარებლად, რასაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან ერთად მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თანადგომა და ყურადღება სჭირდება. მე დღეს არ შევჩერდები ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე, ვფიქრობ, ეს მომავალი კვირისათვის გადავდოთ, როცა უფრო დეტალური და უფრო სრული ინფორმაცია გვექნება მთელი თვის შედეგების მიხედვით.

— ხვალ თბილისს ეწვევა ლეონიდ კუჩმა, უკრაინის, იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელთანაც საქართველოს გამორჩეული ურთიერთობა აკავშირებს...

— მე ასეთნაირად მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება: ხვალ პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩამობრძანდება. ჩვენი ვიზიტები სისტემურ ხასიათს იძენს. სწორედ ამიტომაც ასე ძალუმად ვითარდება უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობანი. უკრაინის პრეზიდენტი ის პიროვნებაა, რომელიც ყველგან, ყველა ფორუმზე იცავს საქართველოს სამართლიან ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, იგი მომხრეა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი ეკონომიკური და სულიერი კავშირები. თქვენ გახსოვთ მის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე წამოყენებული წინადადება, რომ უკრაინა მზად არის ჩაერთოს აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების, მოწესრიგების საქმეში.

საქართველო, ყველა ჩვენი მოქალაქე მიესალმება პრეზიდენტ კუჩმას, მის მეუღლეს და ყველა თანმხლებ პირს.

— რადგან ვიზიტზე ვსაუბრობთ, ახლა ერთი რამ მინდა გავიხსენო: ნატოს გენერალური მდივნის თბილისში სტუმრობისას, ერთ-ერთი სამუშაო დღე დაიწყო მისი და ვარდიკო ნადიბაიძის ერთობლივი ვარჯიშით კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. ესეც ჯანსაღი ცხოვრების წესის თავისებური რეკლამა იყო, რომელიც დასავლეთში აქტიურად კეთდება და ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტმაც მას ყურადღება მიაქცია. სხვათა შორის, ამ მხრივ გასულ კვირას მოხდა საინტერესო ფაქტი — უნივერსიტეტში დაიწყო მსგავსი მოძრაობა, შეიკრიბნენ სტუდენტები და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების შესახებ დაიწყეს საუბარი...

— მე მაშინ ბატონ ვარდიკოს ვკითხე, თქვენი სირბილი როგორ დამთავრდა-მეთქი, და მან მითხრა, იგი ვერ გამომყვა, თორემ ბრიუსელამდე რომ გაგრძელებულიყო, მე უფრო ადრე შევიდოდი ნატოში...

რაც შეეხება სტუდენტების ინიციატივას, ამ ფაქტს მივაქციე ყურადღება და იგი ღირსშესანიშნავად უწინარესად იმიტომ მიმაჩნია, რომ ეს არის საზოგადოებრივი ინიციატივის, საზოგადოებრივი აქტიურობის პრეცედენტი, რაც უდავოდ მიუთითებს საზოგადოებრივი ატმოსფეროს საერთო გაჯანსაღებაზე საქართველოში. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ცხოვრების ახალ წესზე, სხვათა შორის, ამას წინათ მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემოტანილი საკითხი, მაგრამ ეს საზოგადოება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი შეგნების გარკვეულ დონეს დაეფუძნოს — ვერანაირი, თუნდაც არქიმნიშვნელოვანი იურიდიული აქტით, მით უმეტეს, „ზემოდან" ბრძანებითა და დირექტივით ამგვარი საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება.

აი, ვნახოთ რა მოხდა: შეიკრიბნენ სტუდენტები, ახალგაზრდები, რომლებითაც ჩვენ ვამაყობთ და, რომლებსაც ვეთაყვანებით, და ყოველგვარი მითითების, კამპანიურობისა თუ კარიერისტული მოსაზრებების გარეშე გამოვიდნენ ინიციატივით: დავამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი, გავაჯანსაღოთ ერი, გავაჯანსაღოთ ქვეყანა. დარწმუნებული ვარ, სწორედ მისი ბუნებრიობის, არაკამპანიურობის გამო ეს ინიციატივა წარმატებული იქნება. როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ყოველნაირად შევუწყობ ხელს სტუდენტებს მათი ინიციატივის განხორციელებაში. ამ საკითხზე მსჯელობისას ყოველთვის გვახსოვდეს: ის საზოგადოება, რომლის აშენებასაც ვესწრაფვით, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შერწყმას, მათს თავისუფალ ნებას ეფუძნება. ამიტომ უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივა ღრმა საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. ეს არის ერთ-ერთი პირველი მერცხალი მომავალი თავისუფალი, ბედნიერი, მშვიდობიანი, დემოკრატიული, ჯანსაღი ქართული სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებისა.

საქინფორმი.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია„თავს უფლებას აძლევს ერთი მინაწერი გაუკეთოს საქართველოს პრეზიდენტის დღევანდელ ინტერვიუს. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის.

გუშინ თბილისობაზე საშუალება მოგვეცა შევხვედროდით პრეზიდენტ შევარდნაძეს და მისი თანხმობით რამდენიმე შეკითხვა დაგვესვა, მათ შორის ერთი — აჭარასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრეზიდენტს ვკითხეთ, აქვს თუ არა რაიმე საფუძველი აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ მოარულ ხმებს?

პრეზიდენტმა განაცხადა:

— ეს გამორიცხულია. არასოდეს, ჩემი მოღვაწეობის არცერთ ეტაპზე პირადად მე აჭარის ავტონომიის არსებობა ეჭვქვეშ არ დამიყენებია. პირიქით, მე მგონი, თქვენც უნდა გახსოვდეთ, რომ ხშირად ჩემს გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში ხაზს ვუსვამდი აჭარის ავტონომიის როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით განვითარების აუცილებლობას.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

თბილისობა – 97

რიყე — დედამდინარისა და დედაქალაქის კალაპოტი

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დედაქალაქის სათავეში — აბანოთუბანში გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქრის" საზეიმო დახურვა.

ნაშუადღევს, აქ მოსულ ედუარდ შევარდნაძეს, ზურაб ქვანიას, ნიკო ლეკიშვილს, ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მხურ-

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ვალედ მიესალმნენ საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორები და მონაწილენი. ლონდონის ვებერ დაგლასის თეატრალური აკადემიის წარმომადგენელმა პილარი ვუდმა დამსწრეთ გააცნო ფესტივალ „საჩუქრის" დირექტორთა საბჭოს კოლექტიური მიმართვა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის საქართველოს პრეზიდენტისადმი. „საჩუქრის" დირექტორთა საბჭოსა და მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, საქართველოსთვის ამ პირველმა და მასშტაბურმა საერთაშორისო ფესტივალმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა, რაც, უწინარესად, ქვეყნის ხელისუფლებისა და პირადად ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებული მხარდაჭერის წყალობით მოხერხდა. „საჩუქრის" მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ეს ლამაზი ღონისძიება ტრადიციული გახდება და მსოფლიოს ცნობილ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთა შორის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.

ფესტივალის მონაწილე ხელოვანთა შესრულებით აბანოთუბანშივე გამართულმა თეატრალიზებულმა სანახაობამ გვიან საღამომდე გასტანა.

დილით კი საქართველოს პრეზიდენტმა თბილისში ლუთერანული ეკლესიის გახსნა მიულოცა საქართველოში მე-18 საუკუნიდან მცხოვრებ ლუთერანულ თემს, რომელიც ამიერიდან ღვთისმსახურებას საკუთარი სახსრებით აგებულ ეკლესიაში აღავლენს. „ქრისტიანული მრავალფეროვნება საქართველოს ღირსებაა, და დღეს საქართველოს ეკლესიათა ერთობაში ახალი ევანგელისტური ლუთერანული ეკლესიის შემატება ამის კიდევ ერთი მაგალითია", — ეკლესიის მრევლის სახელით ითქვა შეხვედრაზე, რომელზეც თემის წარმომადგენლებმა მადლიერება გამოთქვეს საქართველოს პრეზიდენტისადმი გერმანიის გაერთიანებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის.

„მეც და ჩემი ხალხიც მართლმადიდებლები ვართ. ამავე დროს, ქართველი ერი ტოლერანტი ერია და ამით ჩვენ ვამაყობთ", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და მიულოცა საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. მან ხაზგასმით აღნიშნა საქართველოსა და გერმანიას შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა და ის განუზომელი წვლილი, რომელიც შეიტანა გერმანიამ ბოლო წლების კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის საქმეში.

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფო მინისტრმა დაათვალიერეს თბილისში, 1991-1992 წლების მოვლენების დროს მთაწმინდაზე დანგრეული და დამწვარი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროცესი. უკვე დასრულებული სახლების მცხოვრებლებმა უდიდესი მადლობა გადაუხადეს საქართველოს პრეზიდენტს ყურადღებისა და აქტიური თანადგომისათვის, რის შედეგადაც მათ კვლავ ეღირსათ საკუთარი ჭერი. ედუარდ შევარდნაძემ ახალმოსახლეებს ბედნიერება უსურვა და აღუთქვა, რომ არც მას მერე, რაც ყველა დაზარალებული აღმოუჩნენ სათანადო დახმარებას, ხელისუფლება არ დაივიწყებს მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად იზრუნებს მათი კეთილმოწყობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის.

საქინფორმი.

ვინ გადაიხდის 83 მილიონს?

საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ვადაგადაცილებული დავალიანებები ერიცხება სააქციო საზოგადოება „თბილლუდს" (3,4 მილიონი ლარი), სააქციო საზოგადოება „თბილთამბაქოს" (1,7 მილიონი ლარი), თამბაქოს ფაბრიკა „ქართლს" (1,7 მილიონი ლარი) და სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმს" (1,3 მილიონი ლარი).

ოქტომბრის მდგომარეობით, საწარმოებისა და ორგანიზაციების ვალი საურავთან ერთად 83 მილიონამდე ლარია.

„სასწრაფო" – უფასოდ

აჭარისა და ბათუმის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსახლეობის ხელმოკლეობა და ბათუმის მერიის განკარგულებით სასწრაფო სამედიცინო მომსახურება გახდა უფასო. იმ 30 პროცენტს, რომელსაც ადრე პაციენტი იხდიდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის მერია შეავსებს. სასწრაფო დახმარების გამოძახება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კვლავ გეპატიჟებათ „ვინსენტი"

პატარა თეატრალური კაფე „ვინსენტი" რუსთაველის პროსპექტზე ძველ ქართულ ტრადიციას აცოცხლებს. აქ რეგულარულად ეწყობა ცნობილ თუ დამწყებ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები. ამჯერად იგი მასპინძლობს თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტის მამუკა სამხარაძის პირველ პერსონალურ გამოფენას. მის მიერ ტიხრული მინანქრის ტექნიკით შესრულებული სერიალი „ინტიმი" — დიდი მოწონებით სარგებლობს.

დევნილი ბავშვების გამოფენა ზუგდიდში

ზუგდიდში გაიხსნა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ნახატების გამოფენა, რომელსაც დაესწრნენ ზუგდიდის მერიისა და გამგეობის, გალის ქართული ადმინისტრაციული კორპუსისა და კონფლიქტის ზონაში მოქმედი ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამმა" პატარა მხატვრებს საჩუქრები გადასცა.

ქალიშვილმა თავი მოიკლა

გუშინ დილის 6 საათზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მე-13 სართულიდან გადმოხტა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მერლანების ოჯახში სტუმრად მყოფი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის მკვიდრი — 23 წლის ინგა მარგიანი. ოჯახის წევრთა მტკიცებით, იგი მთელი საღამო ირწმუნებოდა, რომ დღეს მას რაღაც უნდა შემთხვეოდა. დღეს დილით კი, მაშინ, როცა ყველას ეძინა, ერთ-ერთმა მასპინძელმა დაინახა, რომ დაახლოებით 6 საათზე ფანჯარასთან მისულმა ინგა მარგიანმა პირჯვარი გადაიწერა და მე-13 სართულიდან გადაეშვა.

ამ ტრაგიკულ ფაქტს თბილისის საბურთალოს რაიონის პროკურატურა იძიებს.

ჟურნალისტებს კარი გაუღეს

„იბერიის" სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან აცნობეს: მიუხედავად იმისა, რომ კვლავინდებურად გრძელდება დისკუსია „მხედრიონის" ლიდერის ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესის გამართვის ფორმისა და ადგილის შესახებ, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესი იქნება ღია და მასზე აკრედიტებული იქნებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

სავარაუდოა, რომ სასამართლო პროცესი უზენაესი სასამართლოს შენობაში გაიმართოს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა, „იბერიამ" „მოამბე-ექსპრესმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადი და გადამხდელი

ახალი კოდექსი: გვამძიმებს თუ გვამსუბუქებს?

სათაურად გამოტანილი კითხვა, რომლითაც ჩვენმა კორესპონდენტმა მიმართა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს თემურ დვალს, რა თქმა უნდა, შეეხება გადამხდელთა მდგომარეობის დამძიმებას თუ შემსუბუქებას. რა დასამალია, ბევრს არ მოსწონს ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა, რადგან თვლის, რომ იგი კაბალურია, ხალისსა და სტიმულს უკარგავს მეწარმეებს, ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკის ალმავლობას.

— მართლა ასეა?

— როგორ გითხრათ, არც ერთი ქვეყნის გადამხდელი არ არის კმაყოფილი გადასახადების რაოდენობითა და მოცულობით. ჩვენთან, მაგალითად, ახალი კოდექსით მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა. მასში გათვალისწინებულია 12 სახის საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი: საშემოსავლო გადასახადი, მოგების, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, ქონების, მიწის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, გადასახადი ქონების გაცემისათვის, სოციალური გადასახადი, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის. ამასთან, დროებით, 2001 წლამდე შენარჩუნებულია საერთო საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი.

— ახლა ადგილობრივი გადასახადები?

— მართალი ბრძანდებით, ამას ემატება ადგილობრივი გადასახადების 7 სახეობა: გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის, მანქანების, პარკირების გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი შტრიხი: მოქმედი გადასახადებიდან გაუქმდა ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადი.

— მაგრამ, ამბობენ, ახალი გადასახადებიც დაწესდაო. ნუთუ მართალია?

— მართალია. მაგალითად, შემოღებულია გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის, აგრეთვე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის გადასახადი. მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადით იბეგრება 50000 ლარზე მეტი ღირებულების ქონების მემკვიდრეობით მიღება და 1000 ლარზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქება. გადასახადის განაკვეთი შეადგენს ქონების ღირებულების 30 პროცენტს. თუმცა ერთიც სათქმელია, ეს გადასახადი არ ვრცელდება პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებზე. არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადით იბეგრება მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, საბაზისო განაკვეთი განისაზღვრა მიწის 1 კვ. მ-ზე წელიწადში 0,24 ლარის ოდენობით.

— ბევრს აინტერესებს, ახალ კოდექსში რა სიახლეებია ცალკეული გადასახადების მიხედვით?

— სიახლე ბევრია. დავიწყოთ საშემოსავლო გადასახადით. აქ გადასახადით არ იბეგრება პირად მეურნეობაში მოყვანილი პროდუქცია მის სამრეწველო გადამუშავებამდე. ცალკეული კატეგორიის პირებისთვის — ბავშვობიდან ინვალიდებისათვის, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, ომის ვეტერანებისათვის დადგინდა ზღვრული შემოსავალი წელიწადში 3000 ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებში ისინი თავისუფლდებიან გადასახადისაგან. შეღავათი გავრცელდა მარტოხელა დედებზე და იმ პირებზე, რომელთაც იშვილეს ერთ წლამდე ბავშვი.

დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე, სათესლე მასალა, შხამ-ქიმიკატები, ფარმაცევტული პროდუქცია, ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმი, ქართველ ავტორთა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, მიწოდება და რეალიზაციის მომსახურება, საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალების იმპორტი.

შემოღებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად ცალკე რეგისტრაციის წესი. რეგისტრაციას ექვემდებარება და გადასახადით იბეგრება პირი, მათ შორის ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ზედიზედ 12 თვის განმავლობაში მისი დასაბეგრი ოპერაციის თანხა გადააჭარბებს 3000 ლარს. მხოლოდ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულ პირს ექნება მიწოდებულ საქონელზე (სამუშაოსა და მომსახურებაზე) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის უფლება, რომელიც წარმოადგენს მყიდველისათვის გადასახადის ჩათვლის ერთადერთ საფუძველს. კოდექსი ითვალისწინებს დაბეგვრის ერთიან მექანიზმს ყველა გადამხდელისათვის, მათ შორის სავაჭრო საწარმოებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის.

— შეიცვალა რამე თუ არა მოგების გადასახადში?

— საწარმოები, რომლებიც იხდიდნენ შემოსავლებზე გადასახადს (70 პროცენტს), კოდექსით დაიბეგრებიან მოგების გადასახადის 20-პროცენტიანი განაკვეთით. შეიცვალა მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა, რომელიც განისაზღვრება ერთობლივ შემოსავლებსა და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის სხვაობით. შეიცვალა ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვის წესი. ძირითადი საშუალებები დაიყო ხუთ ჯგუფად. არარეზიდენტები ცალკეული სახეების შემოსავლებზე დაიბეგრებიან დიფერენციული გადასახადებით 4-დან 10 პროცენტამდე. დივიდენდები და პროცენტები დაიბეგრება ერთიანი განაკვეთით — 10 პროცენტით.

მიწის გადასახადში არსებული კანონმდებლობით შეღავათი ვრცელდებოდა პენსიონერებისა და ინვალიდთა ოჯახების მიწებზე. ახალი კოდექსით შეღავათით ისარგებლებენ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი და მათთან გათანაბრებული პირები.

საწარმოს ქონების გადასახადში შეღავათი გავრცელდა კონსერვაციაქმნილ ქონებაზე, ინვალიდთა საზოგადოებრივ გაერთიანებათა და საწარმოთა ქონებაზე.

— რას იტყვით ფინანსურ სანქციებზე, გამკაცრდა თუ გალიბერალდა?

— გამკაცრებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრი რამ რომ შეიცვალა, ეს ფაქტია. მაგალითად, შეიცვალა ფინანსური სანქციები ცალკეულ შემთხვევებში საგადამხდელო და საანგარიშებო დისციპლინის დარღვევისათვის. ადრე მოქმედი კანონმდებლობით გადასახადის შემცირებისათვის ძირითად გადასახადთან ერთად გადამხდელს სანქციის სახით გადახდებოდა შემცირებული გადასახადის 10 პროცენტი. ახალი კოდექსით სანქცია 10 პროცენტის ოდენობით გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული გადასახადი არ აღემატება 2000 ლარს. ამ თანხის ზევით გადასახადის შემცირებისათვის დაწესებულ თანხასთან ერთად გადამხდელმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა შემცირებული გადასახადის 50 პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, თუ იგი დეკლარაციაში აღნიშნული გადასახადის თანხის 25 პროცენტს აღემატება. საგადასახადო დეკლარაციის ერთ თვემდე დაგვიანებით წარდგენისათვის, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა სანქციას დეკლარაციაში აღნიშნული თანხის 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო ერთ თვეზე მეტი ხნით დაგვიანებისათვის — დამატებით ყოველ დღეზე ერთი პროცენტის ოდენობით (თვეში 30 პროცენტი). ახლა საანგარიშებო დისციპლინის ასეთი დარღვევისთვის იხდიან ყოველი დაგვიანებული სრული ან არასრული თვისათვის გადასახადი თანხის 5 პროცენტს, მაგრამ მთლიანად არაუმეტეს დეკლარაციაში ნაჩვენები თანხის 25 პროცენტისა. ამასთან, იმ პირობით, თუ დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენის თარიღისათვის გადასახადი არ არის გადახდილი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაცია წარდგენილია დაგვიანებით და ამ დროისათვის გაანგარიშებული გადასახადი ნაწილობრივ გადახდილია, ყოველი დაგვიანებული სრული (არასრული) თვისათვის გადამხდელს არ უნდა გადახდეს გადასახადის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში 1000 ლარზე მეტი. ამასთან ამ წესით გაანგარიშებულმა ფინანსურმა სანქციამ არ უნდა გადააჭარბოს დეკლარაციაში ნაჩვენები გადასახადის თანხის 25 პროცენტს.

შენარჩუნებულია საურავის ოდენობა გადასახადის ბიუჯეტში დაგვიანებით გადახდისათვის 0,1 პროცენტის ოდენობით.

— საინტერესოა, როდის ამოქმედდება საგადასახადო კოდექსი?

— კოდექსი ამოქმედდება ეტაპობრივად. კერძოდ: „დამატებითი ღირებულების გადასახადი“ და „აქციზი“ ამოქმედდა წლეულს 1 სექტემბრიდან.

„საშემოსავლო და მოგების გადასახადები“ (გარდა 64-ე მუხლისა), „ქონების გადასახადი“, „მიწის გადასახადი“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადები“, „გადასახადი ქონების გაცემისათვის“, „სოციალური გადასახადი“, „გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“, „გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის“, „გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსავლისთვის“ — ამოქმედდება 1998 წლის 1 იანვრიდან.

მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის წესი (დღგ და აქციზი) ამოქმედდება 2001 წლის 1 იანვრიდან. 2000 წლის 31 დეკემბრამდე მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე აქციზი განისაზღვრება 0,1 ლარით, ძრავის მოცულობის ყოველი სმ^{3} დღგ — 5 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 245 („ქონებაზე ყადაღის დადება“) და მუხლი 247 („ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“) ამოქმედდა კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანისთანავე. დანარჩენ ნაწილში კოდექსი მოქმედებს წლევანდელი 23 ივლისიდან.

— რა თქმა უნდა, უნაკლო საგადასახადო კოდექსი არ არსებობს. რა მიგაჩნიათ ასეთ ნაკლად?

— გადასახადების სიმრავლე. იმის მიუხედავად, რომ შემცირდა არსებული გადასახადების რაოდენობა, ხოლო ცალკეული გადასახადები კონსოლიდირებულია, მათი რაოდენობა მაინც დიდია. თუმცა, ცალკეული გადასახადები, კერძოდ, არასაბიუჯეტო ფონდებში, მხოლოდ 2001 წლამდე იმოქმედებს.

მიზანშეუწონლად მიმაჩნია სამეწარმეო საქმიანობისთვის გადასახადის შემოღება, იგი ხომ ფაქტობრივად დღგ-ს ნაირსახეობაა. გართულებულია აქციზით დაბეგვრის მექანიზმიც.

— საგადასახადო კოდექსი ჯერაც მთლიანად არ ამოქმედებულა და მასში უკვე ორჯერ შეიტანეს ცვლილებები. რას ითვალისწინებს ისინი?

— მართალია. წლევანდელი 3 სექტემბრისა და 18 სექტემბრის კანონებით, საგადასახადო კოდექსში რიგი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიენიჭათ ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება. შეიცვალა სამეწარმეო საქმიანობისათვის 1-პროცენტიანი გადასახადით დასაბეგრი ბაზაც. ამ გადასახადით დაიბეგრა არა საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, არამედ შემოსავალი მატერიალური დანახარჯების გამოკლებით. ამასთან, ეს წესი გავრცელდა ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროდუქციის ღირებულებაში დაახლოებით 60-70 პროცენტს მატერიალური დანახარჯები შეადგენს, გასაგები გახდება, რამდენად ეფექტურია ეს ცვლილება მეწარმეთათვის.

ცვლილებები შეეხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ამ დარგის საწარმოების დაბეგვრას. კოდექსით სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული იყვნენ. ამჟამად ეს შეღავათი გაუქმებულია. რაც შეეხება დღგ-ს, კოდექსის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე თავისუფლდება ამ გადასახადისგან, ესე იგი ამ პროდუქციის დიდი ნაწილი, რომელიც მრეწველობაში არ გამოიყენება, არ იბეგრება. 1998 წლის 1 იანვრიდან ეს შეღავათი გავრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთა სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი 10 ჰექტარს არ აღემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კურსი წვრილი გლეხური მეურნეობების დამატებული ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლებისკენ არის აღებული.

გატარებული ცვლილებების შედეგად, დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიდა რაიონულ მარშრუტებზე ყველა სახის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურება (გარდა ტაქსისა). კოდექსის ასეთი შეღავათი ვრცელდებოდა მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებაზე, ახლა კი იგი გავრცელდება მეტროპოლიტენსა და ელექტროტრანსპორტზეც.

დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა, აგრეთვე, საკონცერტო და სპორტული სანახაობები.

შეიცვალა აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ობიექტი და განხორციელების მომენტი. კოდექსით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენდა საქონლის მიწოდება, ამჟამად კი — საწყობიდან საქონლის გატანა. ამასთან თუ კოდექსით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლებოდა საქონლის მიწოდებიდან 90 დღე, ახლა ასეთად ითვლება საქონლის გაცემა, თუმცა აქციზის გადახდა ხდება 35 დღის განმავლობაში.

კოდექსით ქონების გადასახადისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ საავტომობილო გზები. ამჟამად მისგან თავისუფლდება მიმოსვლის გზები, რაც იმას ნიშნავს, რომ შეღავათი შეეხო რკინიგზის და მეტროს ხაზებსაც. ეს შეღავათი რომ არ განხორციელებულიყო, რკინიგზის და მეტროს მომსახურების ღირებულება მოქმედ ტარიფებს მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა.

დროებით, 1998 წლის I იანვრამდე, თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნედლეულის გარდა) იმპორტი დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის ნაცვლად დაიბეგრება ფიქსირებული გადასახადით:

მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) — 20 ლარი 1 კგ-ზე;

სიგარა — 25 თეთრი 1 ცალზე;

უმაღლესი I, II, A და B კლასის სიგარეტი და სიგარილა — 25 თეთრი 1 კოლოფზე;

ყველა დანარჩენი კლასის სიგარეტი და პაპიროსი — 19 თეთრი 1 კოლოფზე.

ამასთან, იმპორტული სიგარეტის მიწოდება დღგ-ით არ იბეგრება.

— ბატონო თემურ, დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშების ახალი წესის დანერგვამ მეწარმეებში, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში, უკმაყოფილება გამოიწვია. რატომ?

— 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით სავაჭრო საწარმოებში დღგ იანგარიშებოდა რეალიზაციისა და შეძენის ფასებს შორის სხვაობის ან ფასნამატის თანხიდან. ისინი გამონაგარიშების ამ წესს იყენებდნენ დღგ-ის გარეშე შეძენილი საქონლის რეალიზაციის შემთხვევამიც, რაც თავისთავად ნიშნავდა შეძენილ საქონელზე დღგ-ს ჩათვლას, ანუ იმ გადასახადის ჩათვლას, რომელიც შეიძლება გადახდილი არც კი იყო შეძენის პერიოდში.

საგადასახადო კოდექსით სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას დღგ-ით იბეგრება არა საქონლის ფასნამატი, არამედ მისი მთლიანი ღირებულება (დღგ-ის გარეშე). ამასთან, მათი შეძენისას მომწოდებლებისათვის გადახდილი გადასახადი ადრე არსებული წესისგან განსხვავებით ფასიდან გამოირიცხება და ჩაითვლება ბიუჯეტში შესატან თანხაში, ანუ ამ თანხით შემცირდება რეალიზებულ საქონელზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი. ამით გადამხდელს საშუალება ეძლევა მომწოდებლებისთვის გადახდილი დღგ საქონლის რეალიზაციამდე ჩაითვალოს, ან აინაზღაუროს ბიუჯეტიდან. ასე რომ, თუ შეძენილ საქონელზე დღგ გადახდილია, ახალი წესით დღგ-ს გამოანგარიშებისას გადასახადის თანხა არ იცვლება. მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, სავაჭრო ობიექტებში სარეალიზაციო საქონელი გადასახადის გარეშეა მიღებული. ამასთან, წამოიწევა მეორე პრობლემაც — არაკონკურენტული გარემოს შექმნა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სრულად ვერ მოხერხდა ინდივიდუალურად მოვაჭრეთა დღგ-ის გადამხდელად აღრიცხვა. ასეთ მოვაჭრეებს არ აქვთ რეალიზებულ საქონელზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის უფლება, რომელიც ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ჩათვლის მისაღებად. ამიტომ მყიდველებს ჩასათვლელი დღგ არ აქვთ და რეალიზებული საქონლის მთლიანი ღირებულებიდან უწევთ გადასახადის გადახდა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. მიმდინარეობს მუშაობა დღგ-ს გადამხდელთა სრულად აღრიცხვისათვის, მომზადებულია „ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე პირების აღრიცხვის მოწესრიგებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სრულყოფის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბაზრობის ტერიტორიაზე მოვაჭრე პირთა დღგ-ს გადამხდელებად რეგისტრაციასა და სერტიფიცირებას. ასე რომ, ამ დარგში არსებული პრობლემები მალე მოგვარდება.

— ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთიც საკითხავია: დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდევინებისას რა პრინციპებს ემყარება დსთ-ს ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობა?

— 1 სექტემბრიდან დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობისას საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა საქონლის დანიშნულების ადგილზე დღგ-ით დაბეგვრას, ესე იგი საქართველოდან ამ ქვეყნებში გატანილი საქონელი უნდა ჩათვლილიყო ექსპორტად და დაბეგრილიყო დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან საქონლის იმპორტი დაიბეგრებოდა საბაჟო ორგანოების მიერ მათი იმპორტისას (საბაჟო გადასახადით, აქციზით, დღგ-ით).

მაგრამ დაბეგვრის ამ პრინციპზე საქართველო გადადიოდა ცალმხრივად. ეს იმას ნიშნავს, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი დაიბეგრებოდა ორჯერ: ერთხელ წარმოშობის ადგილზე, ხოლო მეორედ — საქართველოში შემოტანისას, რამდენადაც დაბეგვრის ამ პრინციპზე დსთ ქვეყნები არ გადასულან (გარდა უკრაინისა). ამასთან, დანიშნულების პრინციპით დაბეგვრის შემთხვევაში ჩვენიდან დსთ ქვეყნებში გატანილი საქონელი არ დაიბეგრებოდა საქართველოში და დსთ ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე არც დსთ-ში. მაგრამ, როცა დსთ-ს ერთადერთმა ქვეყანამ უკრაინამ მიიღო ასეთივე პრინციპი, რუსეთმა ამ ქვეყანასთან მიმართებაში გადასახადებით დაბეგრა როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი. ასე რომ, ექსპორტის ამ პრინციპით დაბეგვრის პირობებში წახალისება მაინც არ მოხდება, თუ არ ჩავთვლით აქციზურ საქონელს.

ეს გაითვალისწინა ჩვენმა პარლამენტმა და 3 სექტემბრის კანონით 1998 წლის 1 იანვრამდე შენარჩუნებულია დსთ-ქვეყნებთან საქონლის ექსპორტ-იმპორტის დღგ-ითა და აქციზით დაბეგვრის 1 სექტემბრამდე მოქმედი რეჟიმი, ხოლო 18 სექტემბრის კანონით 1 სექტემბრამდე მოქმედი რეჟიმი შენარჩუნდა დსთ ქვეყნებში სამუშაოების და მომსახურების ექსპორტზეც.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

საბაზრო ურთიერთობა

გზას იკვლევენ

ამას წინათ წავიკითხე უბრალო სოფლელი ბიჭის შესახებ, რომელიც ჩიკაგოში ყველაზე დიდ უნივერმაღ „მარშალ ფილდში“ მუშად მოეწყო და ოც წელიწადში დიდ წარმატებას მიაღწია, შეეიდა ფირმის დირექტორთა შემადგენლობაში, გახდა მილიონერი, გადავიდა ლონდონში და გახსნა საკუთარი უნივერმაღი.

რატომღაც ქართველებს გამდიდრება უცებ გვინდა, ოც წელიწადს ვინ მოითმენს: მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და უცებ არაფერი ხდება, ნაბიჯ-ნაბიჯ, კანონზომიერად კი ბევრის მიღწევა შეიძლება.

ნელ-ნელა, მიზანმიმართულად დაიწყო თავისი საქმიანობა შპს „ელმამ“, რომლის გენერალური დირექტორია ელგუჯა მამასახლისი. იგი ამავე დროს თბილისის სააქციო საზოგადოება თბილაბრეშუმ „ცისარტყელას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც არის. მისი უპირველესი მიზანია მომხმარებელს ქართული პროდუქცია მიაწოდოს, ეს გახლავთ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის მოდური ტანსაცმელი, თბილისური აბრეშუმისაგან შეკერილი სხვადასხვა სახეობის ნაწარმი, რომელიც თავისი ელეგანტურობითა და მოხდენილობით უცხოურს არათუ ჩამოუვარდება, უკეთესიც არის. დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძნელი გახდა მოძველებულ მანქანებზე დამზადებული ქსოვილის გასაღება, ამიტომაც გეზი მზა ნაწარმის გასაღებაზე აიღეს. ასე რომ, გადაწყვიტეს აბრეშუმის ქსოვილისაგან ისეთი მოდელის პროდუქცია შეექმნათ, რომელიც საზღვარგარეთის ბაზარზეც მოწონებას დაიმსახურებდა. შეიძლება ითქვას, მიზანსაც მიაღწიეს. უკვე ევროპის რამდენიმე ქვეყანა დაინტერესდა მათი ნახელავით. დიდი მოწონება დაიმსახურა ნატურალური აბრეშუმისაგან დამზადებულმა ქალის ხალათებმა, კომბინიზონებმა, თეთრეულმა და სხვა.

სკანდინავიის ქვეყნებიდან პირველმა დანიამ ისურვა ექსკლუზიური უფლებით იმუშაოს ქართველ სპეციალისტებთან. პირველად მათ ნახეს აქაური მოდელები და ეს კოლექცია კოპენჰაგენში წაიღეს, მოსახლეობაში მარკეტინგი შეისწავლეს, დააზუსტეს მათი სურვილები, მოთხოვნილებები, საქართველოში ჩამოვიდნენ წარმომადგენლები და „ელმასთან“ ხელშეკრულება გააფორმეს. ახლა სააქციო საზოგადოება „ცისარტყელაში“ გამოიყო საგანგებო უბნები, რომლებიც იმუშავებენ ქსოვილის დამზადებაზე. დასაქმდება ხალხი და შესაბამის ანაზღაურებასაც მიიღებენ.

„ელმა“, მართლაც რომ, შემოქმედებად მუშაობს. აქ ჩამოყალიბებულია „ბურდას“ სასწავლო ცენტრი, გახსნილია მისი მოდების კურსები. მსურველებს შეუძლიათ შეისწავლონ კერვა, ქარგვა, კოსმეტიკა. ასევე სასწავლო ცენტრის ბაზაზე შეიძლება დაასაქმონ უმუშევართა ის კატეგორია, რომელსაც სურვილი აქვს საოჯახო პირობებში ხელი მოჰკიდოს მცირე ბიზნესს. თუკი დასაქმების დეპარტამენტი და სოცუზრუნველყოფის სხვადასხვა ფონდები გარკვეულ თანხებს გაიღებენ, საქმე წინ წაიწევა. ამგვარი სახელოსნოების გახსნა შეუძლიათ არა მარტო თბილისში, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მით უმეტეს, რომ სასწავლო ცენტრის ფილიალები საქართველოს დიდ ქალაქებში უკვე მოქმედებს.

„ელმას“ უახლოესი მიზანია სასწავლო დაწესებულებებში გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი ხელგარჯილობისადმი, 20-25 პროცენტის ფასდაკლებით გახსნას სასწავლო სახელოსნოები. ამით, ვინ იცის, რამდენ გოგონას გაუჩნდება სურვილი იაროს მოდელირების კურსებზე, ისწავლოს კერვა. ამის განხორციელება „სასკოლო კონცეფციითაც“ შეიძლება. თუკი გოგონას უნდა პროფესიონალი მკერავი გახდეს, მან კერვის კურსების სამი ეტაპი უნდა გაიაროს. ვინც უკეთ დაეუფლება სამკერვალო მოდელირების საქმეს, კერვის ტექნიკას, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა კონკურსებში. შარშან „ენნე ბურდას“ პრიზზე ჩატარებულ კავკასიის რეგიონულ კონკურსზე პრიზი მეცხრეკლასელმა ნელი მარიკაშვილმა მოიპოვა, ხოლო ევროპის წინა კონკურსი მოსკოვში ჩატარდა, სადაც მან მეორე ადგილი დაისაკუთრა. ბურდას მოდების კურსების ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს კოჯრის და წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლებში ჩამოაყალიბოს სამკერვალო სახელოსნოები, სადაც უფასოდ მოამზადებენ ბავშვებს, ამ კეთილ საქმეს თანადგომა სჭირდება.

საერთოდ შპს „ელმას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გამოუშვას იმგვარი მოდელების ტანსაცმელი, რომელიც ყველას მოეწონება. აქ „ბურდას“ საკონსულტაციო ცენტრის მუშაობაზეც აღვნიშნეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს კლუბ „ბურდა პფაფზე“ რომელსაც დიდი როლი აკისრია ხარისხიანი პროდუქციის შექმნაში. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი და გერმანელი სპეციალისტების ურთიერთთანამშრომლობის გზით შესაძლებელი გახდა „პფაფის“ ფირმის საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საკერავი მანქანების შემოტანა, რომლებიც საუკეთესო ხარისხისაა და შეკერილი პროდუქციაც მოსაწონია. გარდა ამისა, გერმანული ფირმა „მადეირა“ ერთ-ერთი პირველთაგანია ფურნიტურის წარმოებაში და სწორედ ამ ფირმის საქარგავი ძაფებითა და სხვა ფურნიტურით მარაგდებიან ჩვენი სპეციალისტები. საუკეთესო კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისათვის სწორედ ამგვარი საკერავი მანქანებია საჭირო..

ვინც კლუბ „ბურდა პფაფის“ წევრია, მას შესაძლებლობა აქვს უფასოდ დაეუფლოს საკერავი მანქანის ტექნოლოგიას, კვირაში ერთ დღეს პრაქტიკულად იმუშაოს ამ მანქანაზე, ამასთან, ამ კლუბის წევრები უფასოდ ღებულობენ „პფაფის“ სამ ჟურნალს. ასევე შესაძლებელია ამგვარი მანქანების იჯარით ან განვადებით შეძენა. „პფაფის“ მანქანები უმაღლესი ხარისხის გარანტია, ამიტომაც მისი მყიდველი წაგებული არ დარჩება. ხუმრობა ხომ არ გახლავთ, მასზე შეიძლება როგორც ტრიკოტაჟის, ასევე ტყავის ყველა სახეობის ნაწარმის შეკერვა.

მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ „ელმამ“ ფეხი აუწყო საბაზრო ეკონომიკას და წინ მიიწევს. იცის, რომ ერთბაშად არაფერი ხდება, სიმდიდრეს მოპოვება უნდა, მაგრამ, თუ მონდომება იქნება, ბევრის გაკეთება შეიძლება.

ლალი ძინძლაძე.

რეგიონი

მუშავდება ეკონომიკური პროგრამა

მოქალაქეთა კავშირისა და საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ ინიციატივით ხორციელდება კასპის რაიონის ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროგრამის შემუშავება.

— პროგრამის მიზანია, — თქვა ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ რეგიონული გამოკვლევების დარგში დომენტი მოურავიძემ, — დეტალურად შევისწავლოთ რაიონის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების დღევანდელი მდგომარეობა, გავაანალიზოთ შექმნილი პრობლემები და ამის ბაზაზე შევიმუშაოთ საწარმოთა საქმიანობის რეაბილიტაციის წინადადებები.

ამ მიზნით შეიქმნა სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც ამჟამად ადგილზე სწავლობს საწარმოების საქმიანობას, ამუშავებს პროგრამა-პროექტს. წარმოების მუშაკებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს ამ დღეებში შეხვდნენ პარლამენტის წევრები გია ციხისთავი, მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ქორიძე, ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ კოპალეიშვილი, სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური მრჩეველი რევაზ გიგილაშვილი, „ტიბისი“ ბანკის საკრედიტო-საინვესტორო განყოფილების უფროსი თემურ კეთილაძე და სხვები. შეხვედრაზე შეიმუშავეს ინვესტორების მოზიდვისა და რაიონის საწარმოებისათვის საკრედიტო მხარდაჭერის კონკრეტული წინადადებები.

გურამ ვაშაკიძე.

სტატისტიკა

როგორია ჩვენი ცხოვრების დონე?

ინტერესი ამ საკითხისადმი ყოველთვის დიდია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, დღეისათვის საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის 97,7 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის 85,7 ლარი, ხოლო საშუალო (ოთხსულიანი) ოჯახისათვის — 171,4 ლარი.

ნორმატიული მინიმალური ხელფასი ოთხსულიანი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის 38,9 ლარია.

ერთი წლის მონაცემებით, შინამეურნეობათა საშუალო ფულადი ხარჯები 159,2 ლარი იყო, თუმცა საქართველოს რეგიონები ამ მაჩვენებლის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცხოვრების საშუალო დონის მიხედვით აჭარა და თბილისი (1,3-1,5-ჯერ) უსწრებენ საშუალო სახელმწიფო დონეს, ხოლო გურიისა და იმერეთის შინამეურნეობები ფულადი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით ასევე მკვეთრად ჩამორჩება სხვა რეგიონებისა და ქვეყნის საშუალო დონეს.

განვლილ პერიოდში მთელი დანახარჯებიდან სურსათზე 60 პროცენტი მოდის. აღსანიშნავია, რომ სოფლის შინამეურნეობა საშუალოდ თვეში დაახლოებით იმდენს ხარჯავს, რამდენსაც ქალაქისა, ხოლო თბილისი ამ მაჩვენებლის მიხედვით, 28 პროცენტით უსწრებს სხვა ქალაქების საერთო საშუალო მაჩვენებელს.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 268. სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორია

რომან შენგელია, ესთეტიკოსი, გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსი. იგი იშვიათად „აწუხებს" პრესას, მაგრამ რასაც წერს, ლაზათიანად წერს. მისი სტატიები და წერილები მკითხველს მოსწონს ლოგიკურობითა და სიწრფელით. ქვემოთ გამოქვეყნებული ამის დასტურია.

მეცნიერს დაბადების 65 წელი შეუსრულდა. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ულოცავს ბატონ რომან შენგელიას ამ საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს, წარმატებულ მოღვაწეობას, ხოლო მკითხველებს — მის წერილებს.

საბუთიანი და ლოგიკური აზროვნება უმაღლესი ავტორიტეტია

მეათე კლასში ვიყავით. მასწავლებელმა დაფაზე ურჩხულივით დაღრაკნილი განტოლება დაწერა, მობრუნდა და გვითხრა: ვინც გაამარტივებს, თბილისში ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაზე გავგზავნიო. კლასი გაისუსა... ჯგუფში ერთი ტვინიკოსი გვყავდა, ჯოჯოხეთურ მაგალითებს თხილივით კვნეტდა. ხელი აწია.

— აბა, ოთარ, გამოდი და შენებურად ტყავი გააძვრე ამ განტოლებასო.

ოთარი დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო და ქვედა ტუჩზე კბილდაბჯენილი მაგალითს შეება. ხელთან ერთად მთელი ტანით ირხეოდა, წერდა და წერდა... ზოგჯერ შეჩერდებოდა, ცარციანი ხელის ნეკით კეფას მოიქექავდა და საქმეს აგრძელებდა. სადღაც რაღაც გაეჩხირა, ვერ დაიყვანა უმარტივეს სახემდე. მაგალითი თავიდან ბოლომდე ყურადღებით ჩაათვალიერა, მობრუნდა და გაბუტული ტუჩებით წარმოთქვა: მაგალითში შეცდომაა, მასწ.!

მასწავლებელმა სითბოსმფრქვეველი ღიმილით თავზე ხელი გადაუსვა, მაგალითის გამარტივების მსვლელობას თითი გააყოლა და ერთ ადგილას დაფას მიაბჯინა. — მე ცალტვინა, ცხრაჯერ ცხრა ორმოცდათოთხმეტია? ტვინიკოსს მამრავლი „9", გამარტივებისას, ერთგან „6"-ად ჩაეწერა. კლასმა შვებით ამოისუნთქა.

ჩვეულებრივ საუბარში „ცალტვინა" უტვინოდ აღიქმება და შეურაცხმყოფელია, მაგრამ თუ ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობითაც გავაშინაარსიანებთ, მაშინ იგი გვერდში ამოუდგება ნეიტრალურ „ცალხელას", „ცალთვალას" და მისთანას. მაშინ სიტყვა საგნობრივ მნიშვნელობას შეიძენს, სუსხს ჩამოიცილებს და ვითარება-მდგომარეობათა აღმნიშვნელად იქცევა, ისე როგორც „ცალფა" „ცალუღელა" და ა.შ.

რეალური ვითარების გამოსარკვევად და ამის საფუძველზე შედეგიანი საქმიანობისთვის, დინჯი, ყოველმხრივი, დაწვრილებითი გამოკვლევაა საჭირო. თუ ასეთი მიზანი არ გვაქვს, შესაძლებელია საგანთა და ვითარებათა ზოგიერთი თვისება და მომენტი არათუ გამოგვრჩეს და ვერ შევნიშნოთ, არამედ საგანგებოდაც კი ავარიდოთ მათ თვალი.

დაღლილ-დაქანცულმა კაცია მუნჯაძემ ლიანდაგზე მიდო თავი და ჩაეძინა. კაციას დაესიზმრა: მატარებლის მოახლოება შეიტყო, ზეზე წამოხტა, თოფს ხელი დაავლო და დარაჯად დადგა, მაგრამ ეს მხოლოდ დაესიზმრა; მძინარე კაციას მატარებელმა თავი მოაჭრა.

ნოდარ დუმბაძემ იხუმრა: კაცია ხომ ძილში მოკვდა, ვინ იცის რა სიზმარი ნახაო. ხუმრობა ჰოო... მაგრამ ისე კი, მართლაც სასაცილოა, და არა მარტო სასაცილო, ყველაფერს ...ნიერული თვალით რომ უყუროს კაცმა. ეს კი, მაგრამ საგნის გამომკვლევ აზროვნებას, მეცნიერებას აუცილებლად სჭირდება ბეწვზე ბეწვის დამნახავი თვალი.

აზროვნება მით უფრო სრულყოფილია და, მაშ, ნაყოფიერი, რაც უფრო დაშორებულია შურს, ბოღმას, ქედმაღლობას. რამდენჯერ გვინანია დამშვიდებულებს, ცხელ გულზე ნათქვამი სიტყვის გამო. ცოდნა და მეცნიერება ასეთი უანგარო აზროვნებით შენდება და მათზე დამყარებულ საქმიანობასაც თითქმის ყოველთვის სასურველი შედეგი მოაქვს.

მოკლედ, ადამიანის სულიერ საქმიანობათაგან არც ერთი არ არის ისეთი წინდახედული და გარეშე ვნებებისაგან თავისუფალი, როგორც მეცნიერული აზროვნება. ამიტომ მოაქვს მას უზარმაზარი სიკეთე კაცობრიობისათვის. ჩამოაშორეთ ჩვენს პლანეტას ის, რაც მასზე მეცნიერულმა აზრმა დააშენა და შეხედეთ რა დაგრჩებათ!

მაგრამ სწორედ ამგვარი საქმიანობაა ყველაზე ძნელი და სწორედ ამ სფეროში მოიკოჭლებს საქართველო ყველაზე მეტად.

შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენ ქართველები. გვყავს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, გვყავს რუსთაველი, სულხან-საბა, გალაკტიონი, მაგრამ.... მაგრამ არა გვყავს არისტოტელე, ნიუტონი; საქართველოში, სამწუხაროდ, იშვიათია აზროვნების დიდი კაცები. ჩვენ წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია, თუ როგორ მოიქცეოდა და რა ურთიერთობა ექნებოდა ნაცნობ-მეგობრებთან კაცს, რომელმაც სამყაროს ერთ-ერთი უბნელესი საიდუმლო ამოხსნა.

იმის ახსნას, რატომ არის ასე ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, „ათენის ბრძენთა დასი" უნდა. მე კი მარტო იმას გეტყვით და, იქნებ, გიჩვენოთ კიდეც, რომ ღრმა და დინჯი აზროვნების ნაკლებობა ჩვენი ყველა საქმიანობიდან და ქცევიდან გამოსჭვივის. იმასაც მოგახსენებთ, რაც ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: სიმდიდრისა და სახელის ადვილად მოხვეჭის ლიბიდო; ბიძაშვილ-მამიდაშვილ-მეგობრობის და მისთანათა ყოველგვარ ზნეობრივ ნორმაზე მაღლა დაყენება; წრეგადასული ქედმაღლობა; აჩქარება-სულწასულობა; წამხედურობა; თითქმის, ავადმყოფური ტკბობა საკუთარი გარეგნობით და მისთანანი.

მთლად მართალი არ არის — „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო", მაგრამ ძალიან ბევრი, და იქნებ მეტიც, ჩვენი თავითა გვჭირს. და, თუ ეს ასეა, იგი უკურნებელი სენი არ არის.

ამ გრძელი შესავლის შემდეგ, ვიტყვი, რისი თქმაც მინდა და თქვენ განსაჯეთ.

აგერ, სულ ახლახან ქართველი მეცნიერები და მწერლები (შეიძლება ეს ჯერაც არ დამთავრებულა) ერთ ამბავში იყვნენ — არა ასეთი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული დროშა და არა ასეთიო...

პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა, რაღაც საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. ზოგი რას ლაპარაკობდა და ზოგი რას. შეიქმნა აურზაური... ერთ-ერთმა პარლამენტარმა ბრძანა: ბატონებო, ჩვენი სხდომა აბსურდის თეატრს ემსგავსებაო. მეორემ ურეპლიკა: რას ერჩის № ბატონი აბსურდის თეატრს? იხუმრა, დავუშვათ, მაგრამ ჯერ ერთი, რა დროს ხუმრობა იყო და, მეორეც შეემალა მორეპლიკეს. სხვათა შორის, სიტყვის მთქმელიც დაიბნა, ვერაფერი უპასუხა. რეპლიკის მთქმელმა ასე იანგარიშა: აბსურდის თეატრში უაზრობათა კასკადი მოწესრიგებულია, აქ კი ყველაფერი არეულ-დარეულია. ამიტომ ჩვენი სხდომა უფრო აბსურდულია. არ არის ასე! აბსურდის თეატრში წინასწარი მოწესრიგებულობის გამო ყველაფერი .აბსურდული უნდა იყოს. ჩვენი პარლამენტარების კამათში კი, საბედნიეროდ, შიგადამიგ, ჭეშმარიტი აზრიც ერია.

ერთმა უცხოელმა გვითხრა: არტისტული ბუნების ხალხი ხართო. ამის შემდეგ, ვინ მოთელის, რამდენ ქართველს, სხვადასხვა დონეზე დაუტრაბახია: ჩვენ არტისტული ბუნების ხალხი ვართო. არადა, იმ უცხოელმა დაგვცინა. თუმცა, შეიძლება უნებურად, იქნებ არც მან იცოდა კარგად, რას ამბობდა.

ეს ამბავი ჩვენთან მოხდა, ფილოსოფიის ინსტიტუტში: ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე ერთმა საკმაოდ ღვაწლმოსილმა და ერუდირებულმა თანამშრომელმა განაცხადა: დადგა დრო, ჩვენი ნაშრომები ევროპას გავაცნოთ! ვიღაცას ხმამაღლა წამოცდა ფიქრი: გუშინ არ შემოვიტანეთ იქიდან?

მე არ ვიზიარებ იდეოლოგიისადმი ისეთ დაზაფრულ დამოკიდებულებას, რომლის გამო ზოგიერთს სიტყვა „იდეოლოგიის" გაგონებაც არ უნდა. ცნება იდეოლოგია, მისი საქმიანი მნიშვნელობით (ე.ი. არა სიტყვა იდეოლოგიის ისტორიული წარმოშობის ან მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) ამა თუ იმ საზოგადოებრივ-სოციალური, ეროვნული და ა.შ. მიზნის თეორიული დასაბუთებაა და მეტი არაფერი. თუ ასეა, მაშინ რატომ ლაპარაკობენ იდეოლოგიურ მარწუხებზე, რატომ მოითხოვენ, ზოგჯერ ჩაბჯირებულნიც, მეცნიერების, ხელოვნების, და თქვენ წარმოიდგინეთ, ფილოსოფიისაც დეიდეოლოგიზაციას?

რაშია საქმე? ვის ემლება? ყოველი იდეოლოგია რომ კომუნისტურივით საშინელი იყო, მაშინ მსაზღვრელი „კომუნისტური" საჭიროც არ იქნებოდა. მოკლედ, სხვანაირი იდეოლოგიაც არის შესაძლებელი.

კარგა ხანია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გაჩნდა ცნება — მწერლობის მოთვინიერება. შეიძლება არც არაფერი გვეთქვა ამის თაობაზე, რომ ამ ცნებით გამოთქმულ აზრს ფართო გავრცელება არ მოეპოვებინა. რა არის ამ ცნების შინაარსი უფრო კონკრეტულად? ჩვენი მწერლებისა და კრიტიკოსების უმრავლესობას ეს ასე ესმის: „საუკეთესო მწერლები, იმისთვის რომ თავი გადაერჩინათ, გაორებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჩვენ მათ ვერ განვიკითხავთ. ისინი ხომ სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობდნენ" („ლს" № 39. 23.9., – 3.10.1997, გვ. 5.).

დეზერტირებიც ხომ სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობდნენ და ცდილობენ ყოველთვის. მაშ, იმინიც არ უნდა განვიკითხოთ? ეს, რაც მყისვე გაგახსენდებათ ბოლომდე გაუაზრებელი ამ დებულების წაკითხვისას.

განაწყენებულები შემომედავებიან — მწერლები ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან, ისინი ჩვენს (უკეთეს ვარიანტს ვირჩევ) სულიერ ცხოვრებას აცხოველებენ. მწერლობა რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მონაწილეობს, ამ აზრს თითქმის ყველა სპეციალისტი აღიარებს. ქართველი მწერლები ამ საკითხის თაობაზე სხვაგვარად ფიქრობენ. „უმეფო, უპატრონო ქვეყანაში ქართული მწერლობა და კულტურა ზღაპრული დევგმირივით აღიმართა იმპერიის ურჩხულის წინააღმდეგ. ის იყო მეფეც, მთავარსარდალიც და ლაშქარიც, რომელიც ერთადერთი გადიოდა ბრძოლის ველზე, გადიოდა უთანასწორო ბრძოლაში!" (იქვე, გვ. 1 და 4). თავს ვერ ვიკავებ ემოციური რეპლიკისაგან: თქვე კაი ხალხო, თუ ადრე უპატრონო ქვეყანაში, ქართველი მწერალი მეფეც იყო, მთავარსარდალიც, ლაშქარიც, რომელიც ერთადერთი გადიოდა საომრად უთანასწორო ბრძოლაში, თქვენ რას უყურებთ, თუ თქვენ ნაკლები მწერლები ხართ?

თუმცა, მე გადავაჭარბე, ზუსტად არ გავიმეორე ავტორის არა მარტო დამოწმებული აზრი, არამედ მთელი სტატიის სულისკვეთებაც. ავტორს ამ ლაშქარში შეჰყავს არა მარტო მწერლობა, არამედ კინოხელოვნებაც, მუსიკაც, თეატრიც, მხატვრობაც, მეცნიერებაც. მაგრამ მე, კაცმა რომ თქვას, ასეთი გადაჭარბების უფლება მქონდა. მქონდა იმიტომ, რომ ქვეყნისა და ერისადმი გაწეული სამსახურის შესახებ, სწორედ მწერლები ლაპარაკობენ ყველაზე მეტს და ბევრ ადამიანს ისეთი რწმენა შეექმნა, რომ მხოლოდ მწერალია ქვეყნის ერთადერთი იმედი. ამგვარ შეხედულებას გარკვეული წვლილი მიუძღვის იმაში, რომ საქართველოში თითქმის ყოველი მეორე კაცი ლექსებსა და მოთხრობებს წერს, ხოლო ყოველი მეხუთე აქვეყნებს კიდეც. ჩემი აზრით, დღევანდელ ქართულ სულიერ ატმოსფეროში, ყმაწვილი თუ ფიზიკით, ბიოლოგიით და სხვა არაპრესტიჟული საგნებით არის დაინტერესებული — ის გმირია.

ეს იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობენ, რას ლაპარაკობენ. ახლა იმის შესახებაც რას აკეთებენ. რა თქმა უნდა, ყველაფერს არ ვიტყვი და ბევრიც არ ვიცი, მაგრამ ზოგიერთს მოგახსენებთ. აიტმატოვის რომანის შესახებ, რომელიც ფუძის მოშლას ეხება, ჩვენმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა იმდენი დაწერეს, ერთი კაცი ყველას ვერც წაიკითხავს. ჩვენი უნივერსიტეტი რომ ტყეში გადაიტანეს, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. ცალტვინობის მეტი რა უნდა დაარქვა ამას, თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზი — მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს. მართალი ხომ არ იყო ის ბრძენი ფილოსოფოსი, კუჭი არისო აზროვნების ორგანო, რომ ამბობდა. სიბრმავეს, რომელსაც პირადი კეთილდღეობის სურვილი იწვევს, დიდებულად ხატავს სულხან-საბა იგავში, სოფლის ამშენებლებს რომ ეხება. იგავის დედააზრი ასეა ჩამოსხმული: „მეტის ნდომითა სცადა და ვერა გაიგნა რა".

ზოგიერთი მწერალი, ზოგჯერ, რბილად ვიტყვი, თვითნებურად იქცევა. ისეთ რამეებში ცდილობს ჭკუა გვასწავლოს, რომელსაც მას არაფერი გაეგება.

პედაგოგიკის პრობლემების შესახებ საკავშირო ყრილობა ტარდებოდა. ქართველი მწერალი წერს სტატიას, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მას ერთი მასწავლებელი ჰყავდა, რომელიც.... და ა.შ. ადამიანებო, ერთი მასწავლებლისა და ერთი მოსწავლის ურთიერთობის მაგალითზე, როგორ შეიძლება რაიმე აზრიანი და დასაბუთებული ითქვას სწავლების მეთოდების შესახებ. არა, არა! ეს არ არის მარტო მატრაკვეცობა, ეს მთლად უტვინობაა.

ამას წინათ, ჩვენში კამათი მიმდინარეობდა სიკვდილით დასჯის კანონის მიღება-არმიღების თაობაზე. ერთმა მწერალმა ბრძანა: მე მწერალი ვარ და ჰუმანისტი ვარო. ამგვარი ფორმით გამოთქმული აზრი ენთიმემაა. სრული სახით აზროვნების ეს აქტი ასეთია: მწერალი ჰუმანისტია, მე მწერალი ვარ, ე.ი. მე ჰუმანისტი ვარ. ვინ მოსთვლის, რამდენი სატანის მოციქული მწერალი ყოფილა ამქვეყნად. მაშასადამე, დებულება: მე მწერალი ვარ და ე.ი. ჰუმანისტი ვარ — აბსურდია. აბსურდული აბდა-უბდა მიგვიყვანს საკითხის სწორად გადაწყვეტასთან?

სხვათა შორის, ნურავინ ნუ მოიწონებს თავს თავის ჰუმანისტობით. სამართლიანობა ყველაზე მაღალი ჰუმანიზმია.

მათემატიკა ზუსტი მეცნიერება არ არის, თქვა ერთმა ქართველმა მწერალმა. თქვა და დაასაბუთა კიდეც: სერვანტესიც ერთია და ვანიჩკაც? დიდება შენდა ღმერთო! ეს საკითხი სრულიადაც არ არის მათემატიკის საქმე და იგი არც ეხება მათ. მათემატიკას მარტოოდენ რაოდენობა აინტერესებს, სულ ერთია რა იქნება ის, ნაგავი თუ ბრილიანტი.

ცოტა გადავუხვიეთ. ვლაპარაკობდით: მწერალი ჩვეულებრივი კაცი არ არის და მას უფლება აქვსო, ამტკიცებენ, ორმაგი ცხოვრებით იცხოვროს. ჯერ ერთი, მოთვინიერებული მწერალი მწერლის შეურაცხყოფაა. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის გაგება მეც შემიძლია, მაგრამ თვინიერება სადაც და როგორც უნდა გადაიტანო, ადამიანთან მიმართებაში, დასაქადნებელ მნიშვნელობას ვერ შეიძენს. არც გაორებული ცხოვრება, ე.ი. ორპირობა არის საქებარი საქმე.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მწერალიც ხომ ადამიანია და ადამიანი კი სუსტი არსებაა. შევიბრალოთ ისინი როგორც ადამის შთამომავალნი. კი, მოვიქცეთ ასე, ჯორდანო ბრუნობა კაცს არ ევალება, მაგრამ სხვა მხარესაც გავიხედოთ.

ნიჭიერი მწერალი, თავის გადასარჩენად, სატანას რომ გაურიგდება და ქება-დიდებას ასხამს, ამაზე ხომ წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს ყმაწვილებს, რომლებიც ონტოფოში, გაუწყინარში, ქვიმხეთში, და ა.შ. საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში იზრდებიან? იმათ რომ თავგზა ებნევათ მათი საყვარელი მწერლის გაორებული ცხოვრებით, ამაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? მარტო დიდებისმაძიებლები შევიბრალოთ და ახალგაზრდობა, მომავალი თაობა არა? აზროვნება და ზრუნვა კი არა, არ ვიცი რა ვუწოდო ამას. გაჩუმდი მაინც, შე კაცო!

ჩვენთვის უკვე ცნობილ „ლიტერატურულ საქართველოს" მეოთხე გვერდზე, ერთსა და იმავე ავტორის სტატიაში ასეთი რამეები წერია: „ხვალვე რომ გავუთანაბრდეთ ამერიკას და იაპონიას მრეწველობით და ეკონომიკით, რას შეცვლის ეს? სად ვნახეთ, რომ მრეწველობის ნაწარმით იწონებდა თავს გერმანია ან ინგლისი? ან იტალია და ესპანეთი?" რამდენიმე აბზაცის შემდეგ კი: „შიმშილისაგან მარტო კუჭ-ნაწლავები როდი გადაგვარდება, მარტო ჯანმრთელობა როდი ისპობა, — ერის ფსიქიკა იფიტება შიმშილისაგან. ამაზე თუ გვიფიქრია?".

რელიგიური ფილოსოფოსები და ეკლესიის მამები გვასწავლიან, სიმბოლურად და მეტაფორულად წავიკითხოთ ბიბლიის ტექსტები. ახლა მე მეტაფორულად წავიკითხავ ახალი აღთქმის ერთ ადგილს: ტვინმა მარცხენამ არა უწყის, რაზე ფიქრობს ტვინი მარჯვენა.

ქართველი მწერლების ქადილი, ერის ბურჯები და ლიბოები ჩვენა ვართ და მათი მუდარა და ხვეწნა სუფრაზე ჩვენ მიგვიწვიეთო, ბავშვობიდან ცნობილ ფრაზას მაგონებს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს". რამდენიმე წლის წინათ კამათის ობიექტად იქცა — ჭეშმარიტებაა უმაღლესი თუ სამშობლო? საკითხმა პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. ერთი მიმართულება სამშობლოს უმაღლესობას ამტკიცებდა, მეორე — ჭეშმარიტებისას. დაიძაბა ნერვები, აზვირთდა ვნებები...

შვილს შეელევი თუ სამშობლოს, რწმენას თუ სიყვარულს, ძმას თუ კანონიერებას? ცხოვრებაში იქმნება სიტუაცია, როცა შენს მიერ აღიარებული ღირებულებები ერთმანეთს დაუპირისპირდება. რა ქნას ჯოყოლამ — კურთხეულ ტრადიციათაგან სტუმარ-მასპინძლობა დაიცვას თუ მტერთან მტრული დახვედრა? ამგვარ სიტუაციაში მოხვედრილი კაცი უკვე განწირულია. რა გზასაც უნდა დაადგეს ჯოყოლა, სულ ერთია, იგი მაინც დამნაშავეა. სიტუაციაა ისეთი. ეს ტრაგიზმია, აქ საშველი არ არის. ეს რეალური, ნამდვილი ტრაგიზმია. იგი წარმოსახული და შეთხზული ვითარება კი არ არის, პირწმინდად ცხოვრებისეულია. ერთ ღირებულებას დაიცავ, მართალი ხარ, მაგრამ ამდენადვე დამნაშავეცა ხარ, რადგან უარყავი მეორე.

არჩევანს ოდნავ ამსუბუქებს, უკეთ მოქმედებას შესაძლებელს ხდის კონკრეტული და აქტუალური ამოცანა. მაგრამ ტრაგიკული პიროვნების სულს, თუ ის ცოცხალი გადარჩება, ყოველთვის დასუსხავს ჭმუნვა, შებღალული სიწმინდის გამო.

ამ რეალურ ტრაგიზმს ვერც რელიგიამ მოუარა და სატანის არსებობა დაუშვა. დაუშვა, მაგრამ საშინელ წინააღმდეგობაში გაიხლართა: ყოვლად კეთილის, ყოვლის მცოდნის და ყოვლის შემძლის გვერდით სატანამ როგორ უნდა იარსებოს?

ჭკვიანი და გამოცდილი კაცები ამბობენ, ძალიან ძნელიაო სიცოცხლე, ეს განხორციელებული საოცრება.

რა უნდა ვქნათ? — კაცი სატანას არ უნდა დაუფრთხეს, ტოლი არ უნდა დაუგდოს. თვალზე ხელის აფარება რა საშველია. გაიმარჯვებს? — იზეიმებს! შეაკვდება? — იდიადებს მისი სახელი!

მოკლედ, საქმეზე სერიოზული მსჯელობის დროს, საბუთიანი და ლოგიკური აზროვნება უმაღლესი ავტორიტეტია.

რომან შენგელია.

სიტუაცია

თამაზ ხარაზის დაკითხვა კვლავ ვერ მოხერხდა

საქართველოს პროკურატურაში გრძელდება გამოძიება ბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელშიც მან ბრალი დასდო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს როსტომ დოლიძეს აჭარის ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი მეთქმულებაში.

თავიანთ განცხადებებში ზურაბ ჟვანიამ და როსტომ დოლიძემ აღნიშნულს „ბინძური პროვოკაცია" უწოდეს და პროკურატურისგან ხარაზის ქმედობის სამართლებრივი შეფასება მოითხოვეს.

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატში აღიძრა 7494881 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე (ცილისწამება, რომელსაც თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით სამიმ სახელმწიფო დანაშაულში) და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

სპეციალურ საგამოძიებო ჯგუფში, გარდა პროკურატურის ცენტრალური აპარატის მაღალკვალიფიციური მუშაკებისა, მონაწილეობენ საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები. აღნიშნულმა ჯგუფმა დღეისათვის უკვე შეასრულა გარკვეული სამუშაო: შედგენილია კონკრეტული სამოქმედო გეგმა, საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ ურეკის სამთავრობო აგარაკზე, დაიკითხნენ შესაბამისი მოწმეები და სხვა. სამწუხაროდ, პროკურატურისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა თვით თამაზ ხარაზის გამოკითხვა მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის წევრები დღესაც გაემგზავრნენ ბათუმს სპეციალურად ხარაზის დასაკითხად და სხვა გარემოებათა გასარკვევად.

საქმის განსაკუთრებით დიდი რეზონანსისა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, საქართველოს პროკურატურა იღებს კანონის შესაბამის ზომებს მისი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის. შედეგების თაობაზე, ოპერატიული შესაძლებლობის ფარგლებში, ინფორმაცია ეცნობება საზოგადოებას.

საქინფორმი.

რეგიონი

ვის ღმერთს ფიცულობს მთა?

„უნდა დავიმახსოვროთ, აჭარა ერთი უმთავრესი დასაყრდენია საქართველოსი. გესლის ნთხევა და დათესვა კარგს არაფერს ემსახურება. ყველამ იცის რა საყვარელი გამოთქმაა „დედასამშობლო". არსად ისეთ მნიშვნელობას არ ანიჭებენ ამ სიტყვას, როგორც აჭარაში. პრობლემები აჭარას ხელოვნურად არ უნდა შევუქმნათ. აჭარა ყოველთვის ითხოვს იმას, რაც აუცილებელია და გადასაწყვეტი".

ედუარდ შევარდნაძე.

ისტორია გვიდასტურებს, რომ აჭარა ოდითგანვე საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მხარე იყო, სადაც „პირველ საუკუნეში დაენთო ქრისტეს ლამპარი და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოისა". ამ ფაქტის არც უარყოფა შეიძლება, არც დავიწყება. დიდი ილია წერდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუძრავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას"...

120 წლის წინათ, 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებას მოჰყვა დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნება. ეს იყო ქართველი ერის უდიდესი სიხარული. მაშინ თბილისში სადღესასწაულო შეხვედრაზე გრიგოლ ორბელიანმა თქვა: „დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა... ვმადლობთ უფალსა და ვევედრებით, რომ — შეერთება ჩვენი იყოს უკუნისი უკუნისამდე"...

რელიგიური დაპირისპირება ხშირად ხალხების, ქვეყნების, ზოგჯერ ძმათამკვლელი ომების საბაბი გამხდარა. ის, ვისაც აჭარაში დამკვიდრებულ სულისკვეთებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, დღესაც მეკითხება, ხომ არ არის აჭარაში რელიგიური დაპირისპირების საფრთხე?

ვილაპარაკოთ ფაქტებით: ხუთიოდე წლის წინათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბათუმში ჩამობრძანება და ღვთისმშობლის ეკლესიის კურთხევა სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. იმ დღეებში ათასობით ბავშვი და მოზრდილი მოინათლა. იგივე სურათი განმეორდა მაღალმთიანი ხულოს რაიონის სხალთის ეკლესიაში. ახლახან მოხდა ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის ფერიცვალების ეკლესიის აღდგენა. იგი აკურთხა ბათუმ-სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.

ამჯერად, მე მინდა მკითხველი შევახვედრო აჭარის მკვიდრს, ბევრის მნახველსა და ცხოვრებაში ღრმად ჩახედულ ერთ ინტელიგენტს და შევეხოთ მთის მოსახლეობის ზოგიერთ სულიერ საკითხს.

თეიმურ ჩოგაძე — დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ამჟამად აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და ხელმძღვანელობს ეთიკისა და საპროცედურო საკითხთა კომისიას.

— ბატონო თემურ, ერთბაშად რამდენიმე საკითხს შევეხები. თქვენ პასუხი როგორც გნებავდეთ, ისე დაალაგეთ. მხოლოდ გთხოვთ, გულახდილი იყოთ.

— რა თქმა უნდა!

— თქვენი ცხოვრების დიდი ნაწილი მთაში გაატარეთ და კარგად იცნობთ მთიელთა ფსიქოლოგიას. თუ ხართ მორწმუნე? რომელ რელიგიას სცემთ პატივს და რატომ?

— ცხადია, ასიმილატორები ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ არ შემოჭრილან. მთიანი აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია გაუკულმართებული შეხედულება რელიგიაზე. ეს ყველას როდი ეხება. ახალგაზრდობა მთიანეთში თავისი პროგრესული გზით მიდის და გადამწყვეტ სიტყვასაც ამბობს. ადამიანთა თვითშეგნების გარდაქმნა ძალმომრეობით აღარ შეიძლება. ჩემის აზრით, რელიგია არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ ღვთისმსახურება. რელიგია მსოფლმხედველობაა, იგი ზოგადი კულტურის შემადგენელი ნაწილია. ყველა რელიგია დოგმებით გვანან ერთმანეთს, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. მაჰმადიანურ რელიგიაში ბრძოლა გამოუცხადეს ფუნდამენტალიზმს. ეს იმიტომ, რომ ფუნდამენტალიზმს ზიანი შეაქვს რელიგიის მთლიანობაში, მას პოლიტიკური და ეკონომიკური სარჩული უდევს, კლანებს ემსახურება და მათს ინტერესებს იცავს.

თქვენ მკითხეთ, პირადად მე რომელ რელიგიას ვემსახურები. ჩემი წინაპარი მუსლიმანი იყო, მამაჩემი არც ერთი რელიგიის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა. როცა თავს მოვესწარი, სარწმუნოებითაც დავინტერესდი. მე ყურანიც შევისწავლე, სახარებაც და, საერთოდ, ბიბლიაც. ჩემი აზრით, სახელმწიფოში რელიგია მართვადი უნდა იყოს. გეთანხმებით, რომ ყველა ქართველი ეროვნულ რელიგიას უნდა მისდევდეს, მაგრამ ისტორიული უკუღმართობის გამო აჭარაში, რაკი ოდესღაც მაჰმადიანობამ შემოაღწია, ეს საგანგაშოდ არ მიმაჩნია. მას, ვინც ჩვენი ერისთვის უცხო რელიგიას ემსახურება, რადიკალური მეთოდებით კი არ უნდა შევებრძოლოთ, კი არ უნდა ვაიძულოთ ჭეშმარიტება ზემოქმედების შედეგად აღიაროს, არამედ თანდათან მივიყვანოთ ჭეშმარიტებამდე. მე მგონი, ასეთი გზა უფრო გამართლებული იქნება.

როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი ხალხის ეროვნული სარწმუნოება უფრო პროგრესულია, ვიდრე სხვა რელიგია, სულით, შეგნებით ქრისტიანი გავხდი, და როცა ილია მეორე სხალთაში ამოვიდა, ქრისტიანულად მოვინათლე არა მარტო მე, ასობით მთიელი. ორი ვაჟი მყავს. ისინიც ქრისტიანულად მოინათლნენ. ასე რომ, მთაში ამ მხრივ დიდი პროგრესია.

აჭარის მთიანეთში სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების წარმართვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩვენი თავკაცი, ბატონი ასლან აბაშიძე. მისი უშუალო ინიციატივით ფრთხილად და წინდახედულად წყდება სასიცოცხლო პრობლემები. აჭარაში არ იძლუდება არც ერთი რელიგია. ბევრგან აღდგა და აშენდა ეკლესიები, ამოქმედდა სომხური ეკლესია, გაიხსნა რამდენიმე მეჩეთი. ჩვენს მთავარ მიზანს ჩქარა და უფრო ეფექტიანად თუ გვინდა მივაღწიოთ, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მთაში ეროვნული კულტურისა და განათლების, სულიერი და გონებრივი თვითშეგნების ამაღლებას, კომუნიკაციების განვითარებას, ხალხის მატერიალური დონის ზრდას. მახსოვს, სხალთის ეკლესიაში გაამწესეს მღვდელი იობი, მწიგნობარი და ტკბილად მოუბარი. სოფლებში ის შეიყვარეს, სიხარულით ეგებებოდნენ, უსმენდნენ და სჯეროდათ მისი. შემდეგ იობი სხვამ შესცვალა. იმ „სხვამ" ვერ გააგრძელა იობის მიერ კარგად დაწყებული საქმე. იძულებითი ზემოქმედების გზას დაადგა. საამისოდ არც ცოდნა ეყო, არც გამოცდილება. მძიმე ხასიათის აღმოჩნდა. ბოლოს მრევლი განუდგა. ბევრი რამ პიროვნებაზეც არის დამოკიდებული. კაცი რომ გაგყვეს, ჭეშმარიტებაში უნდა დაარწმუნო.

ოთხმოცდაათიან წლებში ხულოში გაიხსნა სასულიერო სემინარია. რაიონში ცოტა როდია მტრულად განწყობილი ელემენტი, ზოგი ვერ შეგუებია პოზიციების დაკარგვას. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს სულიერ სამყაროში გადამთიელიც აფათურებდეს ხელს. სემინარიის გახსნის დროს მტერს შემთხვევა მიეცა, ზოგიერთი ჩაუხედავი კაცი აიყოლია და სემინარიის გახსნას წინ აღუდგა. დრომ თავისი გაიტანა. სემინარია დღეს რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია. იმდენი მოსწავლე მიაწყდა, მისაღებ გამოცდებზე კონკურსი დააწესეს. სემინარია პარალელურად ამზადებს მოწყალების დებს, მონანგარიშეებს, სხვა დარგის სპეციალისტებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მთის მოსახლეობისათვის.

უმჯობესია, სხვისი სარწმუნოებისადმი რადიკალური პოზიცია არ დავიკავოთ. ის ხომ უდავოა, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის სინთეზმა საქართველოში რენესანსი წარმოშვა. კარგი რამ მტრისგანაც გადმოვიტანოთ, ეს უფრო გონივრული იქნება.

პარალელი გავავლოთ ბარისა და მთის მოსახლეობის მსოფლმხედველობას შორის. ბარმა ადვილად დააღწია თავი უცხო რელიგიის გადმონაშთებს და მტკიცედ დაადგა ეროვნული თვითშეგნების გზას. ეს იმიტომ, რომ ბარად განწმენდას და ამაღლებას უამრავი კომპონენტი უწყობს ხელს. საჭიროა, მთა უფრო დავაახლოოთ ბარს, შევქმნათ ინფორმაციის ფართო ქსელი, ავამაღლოთ ეროვნულ ფასეულობათა პროპაგანდა, გავზარდოთ კომუნიკაციების როლი, ვიმოქმედოთ თვითშეგნებით. ასეთი გზით უფრო ჩქარა მოვიმკით მოსავალს.

ყველაფერი დროისა და მომავლის საქმეა. თუ კიდევ შემოგვრჩა „ურწმუნო თომა", გადაეცით, რომ საგანგაშო არაფერი გვაქვს. მთა ქვეყნის იმედი იყო და იქნება.

მიხეილ გორგილაძე,
„სრ" საკ. კორ.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მოსკოვში 50 ათასზე მეტი უპატრონო ბავშვია. დედაქალაქში არის უპატრონოთა თოთხმეტი თავშესაფარი, სადაც მათ ექვს-ექვს თვეს აჩერებენ ხოლმე.

● კიდევ ერთი უდედმამო...

იცისრე? — შეასრულე კიდეც!

ფრანგი სოციალისტები, რომლებმაც ივნისის არჩევნებში გაიმარჯვეს უმუშევრობის ლიკვიდაციისა და სამუშაო კვირის 35 საათამდე შემცირების ლოზუნგებით, ძალზე უხალისოდ ახორციელებენ დანაპირებს, წერს ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი". ფრანგმა სტატისტიკოსებმა სოციალისტურ მთავრობას ბრალად დასდეს უყურადღებო დამოკიდებულება ქვეყანაში უმუშევრობის მიმართ. სტატისტიკოსთა მონაცემებით, უმუშევართა რაოდენობა შეადგენს არა 3,5 მილიონს, როგორც მთავრობა ამტკიცებს, არამედ — მინიმუმ 7 მილიონს.

თვალში ნაცრის შეყრის პრაქტიკა კოსმოსსაც გასწვდა

გაზეთი „ვიურცბურგერ ტაგესანცაიგერი" აქვეყნებს მასალას, რომელიც რუსეთის კოსმონავტიკის პრობლემებს ეძღვნება. გაზეთი იუწყება, რომ რუსეთის კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლებმა გამონახეს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზა. როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს ქვეყნის კოსმოსური ინდუსტრია ზედიზედ აწყდება პრობლემებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ მოხელეებმა მიაგნეს, მათი აზრით, კარგ ხერხს რუსული კოსმონავტიკის პრესტიჟის აღსადგენად, რომელიც ამ ბოლო დროს, „მირ" ორბიტულ კოსმოსურ სადგურში გაუთავებელი ავარიების გამო გვარიანად შეილანძლა. უახლოეს ხანს, წერს გაზეთი, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დაგეგმილია დაიწყოს ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია, რათა კოსმონავტები ნამდვილ „ვარსკვლავებად" გადააქციონ. გაზეთი აგრეთვე იუწყება: რუს მოხელეებს დიდი იმედი აქვთ იმისა, რომ გაცხოველებული ინტერესი თვით კოსმონავტებისადმი დაჩრდილავს გამუდმებულ ტექნიკურ პრობლემებს და აამაღლებს მთლიანად დარგის ავტორიტეტს.

ნარკოტიკი — „ნაუტილიუსით"

რამდენიმე წლის წინათ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ შუმეიკოს განკარგულებით, ბალტიის ფლოტის 9 წყალქვეშა ნავი გადაეცა ფირმას „ურალ ჰანსენ ლტდ", — წერს გაზეთი „ახალი პეტერბურგი". წყალქვეშა ნავები განკუთვნილი იყო კანადასა და ესპანეთში გასაყიდად. ითვლებოდა, რომ ფირმა „ურალ ჰანსენი" ამერიკის ცნობილი კორპორაცია „ჰანსენის" შვილეული საწარმოა. მაგრამ, სულ მალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ ყოფილა, ხოლო „ურალ ჰანსენის" მეთაური სარა ილინა საკუთარი თავის გარდა, არავის არ წარმოადგენს. წყალქვეშა ნავები უგზო-უკვლოდ გაქრა, ხოლო ქალბატონი ილინა გისოსს მიღმა აღმოჩნდა. თუმცა, თაღლითი ქალი დიდხანს არ გაუჩერებიათ ციხეში — მას გამოუჩნდნენ გავლენიანი მფარველები მაღალი თანამდებობის მოხელეთა რიცხვიდან. „ალბათ, სწორედ ამ წყალქვეშა ნავებს სთავაზობდა რუსეთის მაფია კოლუმბიელ კოლეგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების უსაფრთხო ჩატანისათვის", გამოთქვამს ვარაუდს პეტერბურგის გაზეთი.

სუკ-ის საზღვარგარეთო სამსახური: ანდროპოვ-აღჯა-პაპი

სუკ-ის ყოფილ თავმჯდომარეს, სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს იური ანდროპოვს უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის იოანე პავლე II-ის მკვლელობის მცდელობასთან, რომელიც რომში მოხდა 1989 წელს. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი განცხადება გააკეთა ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიის ცდფ სატელევიზიო არხით გამოსვლისას სუკ-ის ერთ-ერთმა ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც თავის დროზე გაიქცა დასავლეთში. სააგენტო აღნიშნავს: თავდასხმის უშუალო შემსრულებელმა თურქმა მეჰმეტ ალი აღჯამ, ყოფილი უშკომელის თქმით, იოანე პავლე II-ის მკვლელობის დავალება მიიღო პირადად იური ანდროპოვისაგან. სააგენტო აგრეთვე დასძენს, რომ აღჯამ დაკავებისთანავე სცადა მიეცა ჩვენებები სუკ-თან კავშირის შესახებ, მაგრამ შემდეგ შეშინდა და გადათქვა.

ჩინეთში აქლემების გაყიდვა ისეთივე ჩვეულებრივი საქმეა, როგორც ჩვენში — ცხენისა.

● აქლემებით გამოდგება თავის მოთვინიერებულ „უდაბნოს ხომალდებთან" ერთად.

ძიან ძემინი აინშტაინის თეორიას იშველიებს

„ტაიმსი" წერს ჩინეთის ხელმძღვანელის ძიან ძემინის უახლოეს ვიზიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იქნება ჩინეთის ლიდერის პირველი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1999 წლიდან, როდესაც პეკინის ტიანანმენის მოედანზე ხელისუფლებმა ტანკებით გადაუარეს დემონსტრანტებს. ამერიკის ჟურნალ „ტაიმისა" და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისადმი" ინტერვიუში ამხანაგი ძიანი საკადრის პასუხს სცემს ამერიკელ ადამიანის უფლებათა დამცველ აქტივისტებს. იგი სთავაზობს ისე წარმართონ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა, რომ არ შეეხონ ტაივანის, ტიბეტის პრობლემებს და ყბადაღებულ ადამიანის უფლებებს. მისი თქმით, ორივე ერს უკვე საკმაოდ დიდი და საერთო პასუხისმგებლობა აკისრია პლანეტაზე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. ძიან ძემინს მიაჩნია, რომ აინშტაინის თეორია სავსებით ესადაგება პოლიტიკასაც — დემოკრატია და ადამიანის უფლებები ფარდობითი სიდიდეებია და მათ ვერ განიხილავ ქვეყნის საერთო მდგომარეობას მოწყვეტით. ამ მომენტისათვის ძიან ძემინს პრიორიტეტულ ამოცანად მიაჩნია, უზრუნველყოს ჩინელები სურსათ-სანოვაგით, დასძენს „ტაიმსი".

არასწორი მკურნალობა — ახალი სახეობის ჭლექის მიზეზი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა 35 ქვეყანაში აღმოაჩინეს ტუბერკულოზის ფორმა, რომელიც დღესდღეობით არსებული მედიკამენტებით არ განიკურნება. მეცნიერების აზრით, მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ეპიდემიის ელვისებური გავრცელება. ტუბერკულოზის უკურნებელი ფორმები წარმოიშობა იმ ადამიანების ორგანიზმში მიმდინარე მუტაციების შედეგად, რომლებმაც მკურნალობის არასწორი ან არასრული კურსი გაიარეს. ამ ფორმის დაავადებების მაღალი დონე დაფიქსირებულია ლატვიაში, ესტონეთში, რუსეთში, დომინიკის რესპუბლიკასა და არგენტინაში.

ელცინი არავის არაფერს დაუთმობს

პოლონური გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება პოლიტიკურ კრიზისს რუსეთში. გაზეთის აზრით, რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სახელმწიფო სათათბიროს შორის ურთიერთობის მორიგი გამწვავება ბორის ელცინის გამარჯვებით დამთავრდება. გაზეთი აღნიშნავს: უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ბორის ელცინმა ზოგი რამ დაუთმო ოპოზიციას, რათა განემუხტა ვითარება. რუსეთის პრეზიდენტი არათუ არ აპირებს შეურიგდეს კომპრომისებს, არამედ, საერთოდ, არ იკარებს არავითარ გარეშე გავლენას. თავის დასკვნას გაზეთი იმით ასაბუთებს, რომ ამ ბოლო დროს ბორის ელცინმა „დისტანცია დაიჭირა" არა მარტო ოპოზიციასთან, არამედ აგრეთვე იმათთან, ვინც თვითონ დანიშნა მთავრობაში. გაზეთის აზრით, ეს შეიძლება მოასწავებდეს მხოლოდ იმას, რომ პრეზიდენტი იტოვებს უფლებას გადაწყვიტოს კონფლიქტი, როგორც სჩვევია, თავისი სურვილისამებრ, სხვათა აზრის დაუკითხავად.

● ნოვგოროდის ოლქის (რუსეთი) სოფლებს მგელი და დათვი გაეჩვია. მგლებს ხოცავენ, მაგრამ დათვზე ნადირობა მხოლოდ ლიცენზიებით არის ნებადართული.

მოსალოდნელია მონღოლების ახალი შემოსევა

გაზეთი „ჯერმანი ლაივი" წერს, რომ გაეროს ექსპერტები სერიოზულად არიან შეშფოთებული მონღოლეთში დაწყებული უმწვავესი სასურსათო კრიზისის გამო. როგორც „ლაივი" იუწყება, სპეციალისტთა აზრით, თუ უახლოეს ხანს მონღოლებს ჰუმანიტარულ დახმარებას არ გაუწევენ, სიტუაცია შეიძლება დამთავრდეს დიდი მსხვერპლით, რასაც გამოფიტვა გამოიწვევს. საამისო ხარჯები კი გაეროს ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ამასთან, დამშეულთა თუნდაც ერთი ნაწილი რომ გადაარჩინონ, გაერომ ქვეყნის მოშიმშილე რეგიონებში უახლოესი კვირების მანძილზე უნდა ჩაიტანოს 90 ათას ტონაზე მეტი სურსათი. გაზეთის აზრით, სწორედ ეს ცხადყოფს, რამდენად შესწევს გაეროს უნარი, გადაწყვიტოს ურთულესი საერთაშორისო პრობლემები და იპოვოს გამოსავალი კრიზისიდან.

აშშ: წონის დასაკლებად მეტი ფული იხარჯება, ვიდრე — მოსამატებლად

ზედმეტი წონის დასაკლებად ამერიკელები ზღაპრულ თანხებს ხარჯავენ, ანდობენ, რა ზოგჯერ თავიანთ ჯანმრთელობას თაღლითებს, რომლებიც დაუყოვნებლივ ეფექტს სთავაზობენ.

იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა დიეტებისა და სპეციალური კვებისათვის ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებნი 33 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ, იმათმა რიცხვმა ვინც წონის მოკლებას ცდილობს, 76 მილიონს მიაღწია, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 33 პროცენტს შეადგენს. შედარებისათვის, სამოციან წლებში მსუქანთა რიცხვი „სულ" 25 პროცენტს შეადგენდა. ასეთი უნუგეშო ფაქტები მოიყვანს ახლახან ვაშინგტონში გამართული კონფერენციის მონაწილეებმა, რომლებიც გასუქების პრობლემას მიეძღვნა. ფორუმი მოეწყო ფედერალური სავაჭრო კომისიის, დიაბეტის შემსწავლელი ეროვნული ინსტიტუტისა და დაავადებებისადმი კონტროლის ცენტრების ინიციატივით.

ამჟამად 48 მილიონზე მეტი ამერიკელი „დიეტაზე ზის". ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში იხოცება თითქმის 300 ათასი კაცი ზედმეტ წონასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. თამბაქოს წევის შემდეგ ეს არის სიკვდილიანობის მეორე მიზეზი, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მიაჩნიათ მეცნიერებს.

მომხმარებლებს არა აქვთ სრული ინფორმაცია გახდომის პროგრამების ნამდვილი ღირებულებისა და ეფექტიანობის შესახებ. არადა, ხშირად გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები არ გადის საჭირო მეცნიერულ ტესტირებას. ამას ის მოსდევს, რომ ამერიკელები დაზღვეული არ არიან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებების გამოყენებისაგან და დიეტას ნაუცბათევად ირჩევენ. ასეთი აზრი გამოთქვეს კონფერენციაზე მთავრობის მოხელეებმა, მწარმოებლებმა, მეცნიერებმა, მედიკოსებმა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

ვინ თქვა, პოლ პოტი მოკვდაო?

ჟურნალ „ფარ ისტერნ ეკონომიკ რევიუს" უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება 20 წლის მანძილზე პირველი ინტერვიუ „წითელი ქმერების" ლიდერთან პოლ პოტთან, იუწყება ასოშიეტედ პრესი. ჟურნალი არ ამხელს ინტერვიუს დეტალებს. მასალის ავტორი ნეიტ ტეიერი ამა წლის ივლისში გახდა 18 წლის განმავლობაში პირველი დასავლელი კაცი, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა კამბოჯის დიქტატორი და სურათიც კი გადაუღო მას. ჟურნალისტი ამუქებდა სამსჯავროს, რომელიც პოლ პოტს მოუწყვეს მისმა ყოფილმა თანამოსაგრეებმა „წითელი ქმერების" განხეთქილი მოძრაობიდან. მათ ისიც კი დაპირეს, რომ დიქტატორი საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაეცათ, მაგრამ ეს აღარ გამოუვიდათ კამბოჯაში სამოქალაქო ომის აფეთქების გამო. შეგახსენებთ, რომ პოლ პოტის მაოისტური რეჟიმი ქვეყანაში გახელისუფლდა 1975 წელს, რის შედეგადაც კამბოჯა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად გადაიქცა. 4 წლის მანძილზე დაიღუპა 2 მილიონზე მეტი კაცი. პოლ პოტი დაამხეს ვიეტნამის ჯარების შეჭრის შედეგად და მას შემდეგ იგი „წითელი ქმერების" პარტიზანულ ომს ედგა სათავეში.

დამნაშავის ბედს მისი მსხვერპლი გადაწყვეტს

ნიუ-იორკის მცხოვრებლებს, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ, ახლა შეუძლიათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შეურაცხმყოფელის შემდგომ სვე-ბედში, წერს „ლოს-ანჯელეს ტაიმსი". ამ მიზნით, ქალაქის ხელისუფლებმა გახსნეს სატელეფონო „ცხელი ხაზი", სადაც დაზარალებული მიიღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას დამნაშავეზე, კერძოდ, შეიტყობს, რომელ ციხეში ზის იგი და როდის გამოუშვებენ. გარდა ამისა, გაზეთის ინფორმაციით, დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს, თავად დაუნიშნოს სასჯელის ღონისძიება შეურაცხმყოფელს, და, თუ მოისურვა, აღძრას შუამდგომლობა მისი განთავისუფლების შესახებ.

● 104 წლისამდე შეუსრულდა გისარელ ბებიმარიამ ჰაიდაროვას. დაბადების დღეზე დიდედების დიდედას ეწვია 150 შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი და ბადიშიშვილი.

„ტოიოტამ" თვალი დაადგა ევროპას...

იაპონიის კომპანია „ტოიოტა მოტორი" არ აპირებს ინვესტიციების დაბანდებას სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოებში ორი წლის განმავლობაში. ეს ტოკიოს ავტოსალონში გამოსვლისას გამოაცხადა „ტოიოტას" პრეზიდენტმა ჰიროსი ოკუდამ. იაპონიის ავტოგიგანტის გადაწყვეტილება აიხსნება რეგიონში შექმნილი ფინანსური კრიზისით, რის შედეგადაც, საავტომობილო ბაზარზე უძრაობა შეიმჩნევა. ოკუდამ ამავე დროს განაცხადა, რომ დეკემბრის დამლევამდე ფირმა განსაზღვრავს ევროპულ ქვეყანას, სადაც თავის ახალ ქარხანას ააშენებს. ჩვენ მხედველობის არეში გვაქვს მთელი ევროპა", — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ხოლო „მერსედესი" კრიზისს განიცდის

კონცერნი „მერსედეს ბენცი", რომელსაც გერმანიაში მწარმოებელ ფირმებს შორის ლიდერის ადგილი ეკავა, ბოლო დროს გარკვეულ სირთულეებს აწყდება. მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ უილბლობა, რომელიც გერმანიის ინდუსტრიის ფლაგმანს თან სდევს, გავლენას მოახდენს არა მარტო მის იმიჯზე, არამედ მთლიანად გერმანული წარმოების საქონლის პრესტიჟზე. სუპერთანამედროვე ძრავა, რომელზეც კონცერნი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა და დაახარჯა ათეულობით მილიონი დოლარი, ექსპერტებმა არაეკონომიურად და ეკოლოგიურად საშიშად აღიარეს, რის გამოც საბოლოო დასკვნაში ძრავა წარმოებისათვის უვარგისად იქნა ცნობილი. გარდა ამისა, მერსედესის ახალი მოდელი, რომლის გამოცდაზეც მიწვეულნი იყვნენ ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ავარიაში მოჰყვა ძარაში არსებული ნაკლოვანებების გამო. ავარიის შედეგად რამდენიმე ექსპერტი დაშავდა. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ასეთმა ნეგატიურმა მომენტებმა უკვე გავლენა იქონიეს მერსედესის გაყიდვის დონეზე, რომელიც თანდათან მცირდება.

ვან-დეიკი და ვან-გოგი... შინ მიტანით

ხელოვნების ნიმუშები ჰოლანდიაში უკანასკნელ დროს გამოიყენება როგორც დამატება სხვადასხვა სახის გასაყიდი საქონლისა და მომსახურებისათვის. ჰოლანდიური ფირმების უმრავლესობა ცნობილი ფერმწერების ტილოებს იყენებს კლიენტთა მისაზიდად. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელი გახდა, გამოჩენილი მხატვრის ნამუშევრის იჯარით გამოტანა გარკვეული ვადით ინტერიერის დასამშვენებლად, ხოლო თუ კლიენტი ამ ფირმასთან თანამშრომლობს, მას საშუალება ეძლევა, გარკვეული ვადით უფასოდ წაიღოს შინ ფერწერული ტილო.

რუსეთი: კილერი, რეკეტირი, როსკიპი — სანატრელი პროფესიები

გაზეთი „დეტროიტ ნიუსი" სტატიას უძღვნის რუსეთის მომავალს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ავტორი დააფიქრა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ათას უროსკლასელს შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგმა. „რა პროფესია მიგაჩნიათ ყველაზე უფრო პრესტიჟულად?", — ასე ჟღერდა კითხვა. მთლიანად, პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში დომინირებს „ფულის კეთების" ტენდენცია, ამიტომ ყმაწვილთა მეხუთედს ყველაზე პრესტიჟულად მიაჩნია ბანკირის, ადვოკატისა და ბუღალტრის პროფესია. მაგრამ, ყველაზე პოპულარული პროფესიების სიის ცენტრში ამაყად გამოიკვეთა კილერისა და რეკეტირის ფიგურა. პატრიოტული პროფესია, მაგალითად, სამხედრო, საერთოდ არ არის. კოსმონავტმა და მძღოლმა უკანასკნელი ადგილი გაიყვეს და მხოლოდ მღვდელი გაუშვეს წინ. ავტორის აზრით, რუსეთში ასეთი განწყობით ბევრს ვერავის გააკვირებ. ქვეყანაში წლის განმავლობაში ხდება 50 შეკვეთილი მკვლელობა. სიტყვა „კილერი" დედაენის ნაწილი გახდა. ამ ქვეყანაში აერონავტებს სამუშაოდ გზავნიან დაძველებულ კოსმოსურ სადგურში, რომელსაც ნაწილები სცვივა, უხდიან სულ 100 დოლარს ორბიტაზე გატარებული დღისათვის და თან ჯარიმებით ემუქრებიან მუშაობაში შეფერხების გამო.

ელისაბედ II ნაოჭებს აღარ მალავს

მომავალი წლის იანვარში დიდი ბრიტანეთი გამოუშვებს მეოთხე მონეტას, რომელზეც დედოფალი ელისაბედ II იქნება გამოსახული, წერს „ტაიმსი". მისი ძირითადი უპირატესობა, წინა სამთან შედარებით, გახდება რეპროდუქციის სიზუსტე. ახალ მონეტაზე დედოფალი გამოსახული იქნება ისე, როგორც ახლა გამოიყურება, დანაოჭებული სახით. როგორც გაზეთი აღნიშნავს, პროექტი მოიწონეს თვით ელისაბედმა და ედინბურგის ჰერცოგმა. ნამუშევრის ავტორი მოქანდაკე იან რენკ-ბროდლი ჰონორარად მიიღებს ათი ათას გირვანქა სტერლინგს.

„მზისმიერი ქარი" ბრმდგმრის მოგონილი არ ყოფილა

ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის სააგენტომ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს გაუშვას კოსმოსური აპარატი, რომელიც განკუთვნილია ეგრეთ წოდებული „მზისმიერი ქარის" ნაწილაკების შესაგროვებლად და დედამიწაზე ჩამოსატანად, იუწყება ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". აპარატ „ჯენეზისს" 4 წლის შემდეგ გაუშვებენ. იგი ორ წელიწადს იქნება დედამიწას მილიონ-ნახევარი კილომეტრით დაშორებულ ორბიტაზე. შეკრებილი ნაწილაკები დედამიწაზე გამოიგზავნება დასაშვები აპარატით. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მიღებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს მზისა და იმ პლანეტების წარმოშობის გაგებას, რომლებიც მტვრის ღრუბლისაგან შეიქმნენ. „მზისმიერი ქარი" ისეა გაიშვიათებული, რომ ორბიტაზე ყოფნის ორი წლის განმავლობაში „ჯენეზისი" შეძლებს შეკრიბოს მხოლოდ ნახშირბადის ერთი მილიარდი ატომი. „მზის ქარის" ნაწილაკების შეგროვების პირველი ცდები მოიმოქმედეს მთვარეზე ამერიკელთა ექსპედიციის დროს, მაგრამ მიღებული ნიმუშები მთვარის გრუნტით აღმოჩნდა გაჭუჭყიანებული.

● მოსკოვში გაიმართა სპორტული საცეკვაო ცეკვების XIX საერთაშორისო კონკურსი.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით
უძღვება არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 268. სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1997 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

მიტინგომანიას ქაოსი და დესტაბილიზაცია მოსდევს

დღეს ჩვენი ქვეყანა განვითარების ყველაზე პასუხსაგები ეტაპის წინაშე დგას. უკან დარჩა სამოქალაქო ომის, შინააშლილობის, ქაოსის, ნგრევისა და დამნაშავეთა განუკითხავი თარეშის მძიმე წლები, შეუქცევადი გახდა პროგრესირებადი სტაბილურობის და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის, ეკონომიკური აღმავლობის პროცესები. ქვეყანამ რომ ღირსეულად გადალახა დამოუკიდებელი განვითარების ყველაზე კრიტიკული ფაზა, ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებამ, ურომლისოდაც ძლიერ და თავისუფალ სახელმწიფოს ვერ ააშენებ.

შორს აღარ არის ის დრო, როცა საბოლოოდ დავძლევთ კრიზისს. ხალხი თვალნათლივ იგრძნობს ახალი ცხოვრების სიკეთეს, შვებით ამოისუნთქავს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ახლახან პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავდა საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ აღმავლობას, მისი პოტენციალის სრულ ამოქმედებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და სიღატაკის აღმოფხვრას, სოციალური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას.

რფდესაც გაჩნდა რწმენა უკეთესი მომავლისა, სწორედ ამ დროს წამოყვეს თავი მიტინგების, უკანონო აქციების მოყვარულებმა, ხელმოცარულმა პოლიტიკოსებმა, მშვიდობისა და წესრიგის მოძულე ადამიანებმა, რომელთა მიზანია ვითარება დაძაბონ დედაქალაქში, კვლავ შინააშლილობა, ქაოსი, ხალხის მასობრივი უკმაყოფილება, ხელისუფლებისადმი დაპირისპირება, დაუმორჩილებლობა გამოიწვიონ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი იყენებენ იძულებით გადაადგილებულ პირთა განცდებს და სურთ საპროტესტო აქციების მოსაწყობად მათი გამოყვანა, სოციალური აფეთქებები, დესტაბილიზაციის პროვოცირება.

ვინ, რა მრწამსის და ჯურის ხალხია მიტინგებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორები? მათი უმრავლესობა განზე დგას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესებისაგან, ერთი აგურიც არ დაუდევთ მის სასიკეთოდ. მხოლოდ მიტინგებია მათი მოწოდება, „ხელობა“ და ამ გზით ცდილობენ საზოგადოებაში დამკვიდრებას, პოპულარობის ყალბი იმიჯის მოპოვებას. მათ მთელი ძალისხმევა იქითკენ აქვთ მიმართული, რომ გარდამავალი პერიოდით გამოწვეული ჩვენი ნაკლი და შეცდომები „აღმოაჩინონ“, აქცენტები ისედაც ყველასთვის ცნობილ მოუგვარებელ პრობლემებზე გადაიტანონ, რათა ხელისუფლებას სახელი გაუტეხონ, მის მიმართ უნდობლობა, უკმაყოფილება გამოიწვიონ. ხალხის გულშემატკივართა ყალბ ნიღაბს ამოფარებულნი, გაჭირვებულთა მძიმე ხვედრზე „თანაგრძნობით“ ლაპარაკობენ, თვითონ კი სულ სხვა ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ფუფუნებას და ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებას არ იკლებენ.

როგორც წესი, ხშირად ეს ადამიანები გამომწვევად იქცევიან, შეგნებულად ამწვავებენ სიტუაციას, საბაბს ეძებენ, რათა პროვოკაცია, შანტაჟი მოუწყონ წესრიგის დამცველებს, შემდეგ კი წივილ-კივილი, მოთქმა ასტეხონ — გვდევნიან, გვარბევენ, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების გამოვლენის საშუალებას არ გვაძლევენო. აღმაშფოთებელია მათი ცინიზმიც.

პარადოქსია, მაგრამ ასეა, ამ ადამიანთაგან ზოგიერთები გუშინ ხელისუფლების სათავეში რომ იყვნენ, ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებულნი სარგებლობდნენ შეუზღუდავი ძალაუფლებით. დილეტანტებმა და უმეცრებმა თავი გამოიჩინეს ხაზინის განუკითხავი ძარცვით, დამანგრეველი საშინაო, საგარეო თუ ეკონომიკური პოლიტიკით (საკადრო პოლიტიკაზე აღარ ვლაპარაკობთ). შედეგმაც არ დააყოვნა: მთლიანად მოიშალა ეკონომიკა, ორ ბანაკად გაყოფილი ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია, რასაც შემდგომ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მოჰყვა. სხვათა შორის, მათი გუშინდელი და დღევანდელი შეხედულებები, ხალხისათვის უხვად გაცემული დაპირებები, რასაც ისინი არ იმურებდნენ საჯარო გამოსვლებში და პრესაში, ყველაფერი ინახება და ხვალ მომავალ თაობათა განსჯის საგანი გახდება. აღნიშნული პირები და „ძმანი მათნი“ კაზინოების ხშირი სტუმრები, გარეგნული აქსესუარებით, ქცევით თუ ცხოვრების წესით და პირობებით სულ არ ჰგვანან ქვეყნისა და ხალხისათვის „წამებულებს“, ხოლო ჭეშმარიტი პატრიოტის სახე სულ სხვა იყო, არის და იქნება.

ამას წინათ, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ლტოლვილთა მიტინგზე, მისი ორგანიზატორები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ მათ შეგნებულად გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია, თითქოს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისაკენ მსვლელობის მოწყობას აპირებდნენ, რათა ამგვარი „ხუმრობით“ პოლიცია „გაეპამპულებინათ“, თან დაიქადნეს, წესრიგის დამცველებს ამგვარად შემდეგშიც „ხშირად ვაფარჯიშებთო“. ბორის კაკუბავამ კი იქვე პირდაპირ მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას 10 ნოემბერს ქუჩებში გამოსვლისაკენ, ქალაქებისა და ქვეყნის საავტომობილო მაგისტრალების გადაკეტვისაკენ, საერთო დაუმორჩილებლობის გამოცხადებისაკენ.

კარგი იქნებოდა ამ სიტყვების ავტორებს 9 აპრილის ტრაგედიის დროს ქართველ სამართალდამცავთა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და მათთან თანადგომა გახსენებოდათ, ან ის, თუ როგორ შეეწირა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის და საზოგადოების წესრიგის (ზემოთ მოყვანილ სიტყვების ავტორთა უშიშროებასაც) დაცვას ასეულობით სამართალდამცავი მუშაკი და მათი ოჯახებიც არანაკლებად, თუ მეტად არა, მძიმე სულიერ თუ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო:

მოქალაქეთა მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რის გამოც საქართველომ საპატიო ადგილი დაიკავა ცივილიზებულ სახელმწიფოებს შორის. ამაზე მეტყველებს ის საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის გამო მსოფლიო თანამეგობრობის დიდ ოჯახში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში დავიმკვიდრეთ. ამის ნათელი გამოხატულება იყო ისიც, რომ ამას წინათ, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, სხვა დამსახურებასთან ერთად, დემოკრატიულ აღმშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ონასისის საერთაშორისო პრემია მიენიჭა. ასეთსავე მნიშვნელობის ჯილდოზე წარადგინა ახლახან იგი ისრაელის მთავრობამ. სულ მალე საქართველო ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდება, ეს კი ის ორგანიზაციაა, რომლის უმთავრესი მოწოდება და ორიენტირი ადამიანის უფლებათა დაცვაა. სწორედ ამ კრიტერიუმის, და არა სხვა რამის, გამო იყო მიწვეული ჩვენი დელეგაცია სტრასბურგში, სადაც საერთო ევროპული ოჯახის წევრად მიღებას შეგვპირდნენ. ჩვენთან რომ ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდეს, როგორც ამას მომიტინგეები ხმამაღლა გაიძახიან, მაშინ საქართველოც ბელორუსიის ბედს გაიზიარებდა, რომელიც არ მიიწვიეს სტრასბურგის სამიტზე.

მამ, რაზე დაობენ, რას მოითხოვენ მიტინგების ორგანიზატორები, რა არ მოსწონთ, რითი არიან უკმაყოფილონი, რაში ხედავენ ჩვენთან ადამიანის უფლებათა დარღვევებს? მათ არ მოსწონთ, რომ ქაოსის, კანონის უპატივცემულობის და უგულებელყოფის, საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქმედების, ზღვარგადასული უხამსობის და ხულიგნური გამოხდომების საშუალებას არ ვაძლევთ.

კანონით ზუსტად და გასაგებად არის განსაზღვრული შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის წესი, მათ კი მაინცდამაინც მისი გვერდის ავლით, თვითნებობისა და დაუმორჩილებლობის გზით სურთ თავიანთი ზრახვების მიღწევა.

კანონში გარკვევით წერია, რომ აუცილებელია „ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება“. მომიტინგეები კი, როცა და სადაც სურთ, იქ აწყობენ აქციებს. ასევე „დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“. ვინც კი მომიტინგეთა „რეპერტუარს“ იცნობს, დაგვეთანხმება, რომ თითქმის ყველა ეს მოწოდება ხშირად ფიგურირებს მათ საჯარო გამოსვლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 206^3 მუხლით დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი აქციის ორგანიზების ან მასში აქტიური მონაწილეობისათვის ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, ან, რომელსაც მოჰყვა ტრანსპორტის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობის შეფერხება.

კანონის ასეთი დეტალური განმარტება იმიტომ დამჭირდა, რომ ამ ფონზე ნათელი გამხდარიყო, თუ როგორ ირღვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისი მოთხოვნები და რაოდენ უსაფუძვლო და უსუსურია მომიტინგეთა ყბადაღებული „ბრალდებები“ მათი კონსტიტუციური უფლებების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ხალხის დევნისა და შევიწროების შესახებ.

ბოლო ხანებში პრესასა თუ სხვადასხვა შეკრებებზე ერთი ამბავია ატეხილი ლეილა ცომაიას, თამილა ნიკოლაძისა და კლარა მუკვანის დაკავების თაობაზე. ისინი ლამის სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის წამებულ, პოლიტიკური შეხედულებებისათვის უკანონოდ დევნილ ადამიანებად, სინდისის პატიმრებად გამოაცხადონ. არადა, ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, პოლიციის მუშაკების შეურაცხყოფისა და წინააღმდეგობის გაწევის, ხულიგნური ქმედებისათვის არიან დაკავებულნი.

ცომაიამ და ნიკოლაძემ თაიანთ თანამზრახველებთან ერთად ზედ უნივერსიტეტის კიბეებზე მოიკალათეს და იქ დაიწყეს მიტინგის გამართვა. როცა ამ ქალბატონებს იქაურობის დატოვება მოსთხოვეს, მათ წესრიგის დამცველებს ჯერ წინააღმდეგობა გაუწიეს, შემდეგ კი ქუჩაში გადაინაცვლეს, ტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხეს, რაც მთავარია, ეს ქალბატონები პოლიციელებს მანდილოსნისათვის შეუფერებელი უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ, შეურაცხყოფდნენ და აი, ასეთ ბილწსიტყვა ქალბატონებს, რომელთათვისაც უცხოა სინდისისა და მორალის ელემენტარული ნორმების მოთხოვნა, სინდისის პატიმრებად აცხადებენ. ასეთივე ქუჩური „კულტურისა“ და ლექსიკონის მატარებელია კლარა მუკვანი, რომელმაც უხამსობასთან ერთად ხულიგნობითაც გამოიჩინა თავი.

არანაკლებ გულსატკენია, რომ აქციათა ორგანიზატორებმა მთაწმინდა, შემდეგ ქართველთათვის არანაკლებ წმინდა ადგილი უნივერსიტეტი აირჩიეს.

შემთხვევით არა. თავისი ბინძური პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებისათვის ყველაფერზე მიმავალნი, ყოველნაირად ცდილობენ ჩაითრიონ და თავისი ნების აღსრულების იარაღად გამოიყენონ საზოგადოების ყველაზე ნაზი და ემოციური ნაწილი — ახალგაზრდობა და მათ ლექცია-სემინარებზე ყოფნის ნაცვლად, მიტინგის ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამოისობით, ენით აუწერელი პოლიტიკური სიბინძურის ყურება და სმენა უწევთ. თუ რა შედეგები მოჰყვება ამას, აღნიშნული მიტინგის ორგანიზატორთა სინდისისათვის (თუ ასეთი აქვთ) მიგვინდია.

პრესაში ერთი აქოთქოთი ატყდა იმის გამო, რომ პოლიციამ ნება არ დართო მომიტინგეებს, მერაბ კოსტავას ხსოვნის აღსანიშნავად, რუსთაველის პროსპექტის გაყლით მოეწყოთ მსვლელობა. აქციის მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს კანონით აკრძალულია, რადგან იგი ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას გამოიწვევდა, მაგრამ მათ მაინცდამაინც მთავარი მაგისტრალით მოისურვეს მთაწმინდის პანთეონზე ასვლა. პოლიციის მიერ მითითებული გზით რომ წასულიყვნენ, ვითომ ამით რა დაშავდებოდა? არა, მაშინ ხომ მშვიდობიანად ჩაივლიდა მანიფესტაცია, რაც მათ ხელს არ აძლევდა, ხელისუფლებისა და პოლიციის მიმართ ძვირის სათქმელად საბაბი არ ექნებოდათ. აქვე ისმის კითხვაც, რაღა ახლა გაახსენდათ მერაბ კოსტავას დაღუპვის თარიღი, თუ მართლაც პატივს სცემენ მის ხსოვნას, სად იყვნენ აქამდე? შარშან, შარშანწინ და სხვა დროსაც ჩუმად იყვნენ, ხმა არ ამოუღიათ და ახლა მოისურვეს გარდაცვალების მე-8 წლისთავის (?!) აღნიშვნა? ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ აქციის ორგანიზატორთა უმრავლესობისათვის ეს დღე იყო მიტინგის გამართვის ხელსაყრელი საბაბი და არა ამ ადამიანის ხსოვნისადმი პატივის მიგება.

მერაბ კოსტავა, ყველასათვის ძვირფასი სახელი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც პირადი ცხოვრებით დაამტკიცა, თუ ვინ არის ღირსი ატაროს სამშობლოსა და ხალხისათვის წამებულის სახელი, პირადი კეთილდღეობის ყოველგვარ ამბიციებს მოკლებული, ეროვნული ერთიანობის აუცილებლობის დაუცხრომელი მქადაგებელი, ჭეშმარიტი ქრისტიანი ბინძური პოლიტიკური ამბიციების ობიექტი გახდა, ესეც მიტინგის ორგანიზატორთა სინდისზე იყოს.

ელემენტარულად გვებადება კითხვა: ნუთუ ორმაგი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტ სათქმელს, თუკი მომიტინგენი ერთადერთ ჭეშმარიტებას ქადაგებენ (რაც ძნელად დასაჯერებელი და საეჭვოა) ამ ჭეშმარიტების აზრობრივი დატვირთვა „დედა ენის“ ძეგლთან ან ვაკის პარკში სხვაა, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე კი სხვა? მაგრამ მიტინგის ჩატარების ადგილს სხვა მნიშვნელობა აქვს, ესაა ხელისუფლების პროვოცირება და დედაქალაქში არეულობის შეტანა, შემდგომ ამღვრეულ წყალში თავის სასურველი, შორს მიმავალი განზრახვების აღსრულება. სხვათა შორის, ის, ვინც დღეს კატეგორიულად მოითხოვს მიტინგებისა და მსვლელობების ქალაქის ცენტრალურ ადგილებში გამართვას, გუშინ ამის მსურველებს „ქვეყნის მოღალატედ“ და „კრემლის აგენტებად“ ნათლავდა, ისე კრემლი ისევ თავის ადგილზედ დგას და, როგორც ვატყობთ, ჩვენს ქვეყანაში მის სამსახურში ჯერ კიდევ ბევრია, მსურველი კი უფრო მეტი. ამასაც მომავალი განსჯის.

ამ ბოლო დროს ხშირად იმართება მიტინგები ე.წ. „კანონიერი ხელისუფლების“ აღდგენის მოთხოვნით. ჩინებულად იციან ამგვარი მანიფესტაციების მოთავეებმა, რომ ისტორიის ჩარხი უკუღმა არ დატრიალდება, არარეალურია ეს მოწოდება, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან, რადგან მათ არა იმდენად ძველი ხელისუფლების მკვდრეთით აღდგენის იმედი აქვთ, არამედ ჩვენი ქვეყნის წინსვლის შეფერხება, საზოგადოებაში ქაოსის, დესტაბილიზაციისა და დაპირისპირების აღზევება სურთ. დღეს, ძველი ხელისუფლების ყველაზე გაველენიანი პირებიც კი აღიარებენ, რომ მათ არარეალურად ეჩვენებათ ის, რასაც ე.წ. „ზვიადისტები“ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას უწოდებენ.

ამას წინათ, თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა იგი მიტინგების მონაწილეთა მოთხოვნას — დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივ შეფასებას შეეხო, აღნიშნა: „ეს ისეთი პრობლემა გახლავთ, რომლის გადაწყვეტა უდიდესი მოცულობის საგამოძიებო საქმიანობას მოითხოვს, თანაც აუჩქარებელს“. იქვე დასძინა: „ყოველგვარი ულტიმატუმი იმის თაობაზე, რომ აი, თუ მოხდება ვიღაცის რეაბილიტაცია, მაშინ ვიფიქრებთ შერიგებაზე, თუ არა — მაშინ კვლავ შეურიგებელნი დავრჩებით, — დაუშვებელია, ჩვენთვის მიუღებელია. ასეთი ულტიმატუმი იმ დროინდელ დაპირისპირებაში ჩართულმა მეორე მხარემაც შეიძლება წამოგვიყენოს, ამას კი ერთმანეთის სიძულვილისა და კონფრონტაციის ახალი ესკალაცია, ახალი ეტაპი მოჰყვება“.

აი, საით გვიბიძგებენ მიტინგების ინსპირატორები, აი, როგორია მათი ჭეშმარიტი სახე, ზრახვები.

ამიტომ შეშფოთებას გამოვთქვამთ ამჟამად დედაქალაქში შექმნილი სიტუაციისა და მისგან მოსალოდნელი საფრთხის გამო, ყველას გასაგონად გადაჭრით და მტკიცედ ვაცხადებთ — ჩვენ, სამართალდამცავი ორგანოები, უფლებას არ მივცემთ გარეშე და შინაურ მტრებს აღასრულონ საქართველოსა და ერის წინააღმდეგ მიმართული ავი ზრახვები, საფუძველი შეურყიონ ქვეყნის აღმშენებლობისა და წინსვლის, ცხოვრების გაჯანსაღების, წესრიგისა და სტაბილიზაციის კურსს. ამისათვის გამოვიყენებთ ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ყველა საშუალებასა და ხერხს. დაე, იცოდნენ თავისუფლების, პატრიოტიზმისა და ხალხის ინტერესების მსახურთა ყალბ ლოზუნგებს ამოფარებულმა არეულობის მოთავეებმა, რომ დემოკრატია განუკითხაობას, ყველაფრის ნების დართვას როდი ნიშნავს, იგი პირველ რიგში დისციპლინას, წესრიგს, კანონის უზენაესობას, მის პატივისცემას გულისხმობს.

მინდა მოვუწოდო ყველა თბილისელს, ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს, ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს, ვისაც აწუხებს სამშობლოს ბედი, ვისაც მისი სიკეთე, ბედნიერება სურს, ნუ დავივიწყებთ წარსულის შეცდომებს, გამოვიჩინოთ სიფხიზლე, გონიერება, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ერთმანეთში გავარჩიოთ მტერი და კეთილმოსურნე, ვის რა ზრახვები ამოძრავებს. საღი გონებით ავწონდავწონოთ, რას მოგვიტანს მიტინგების, აქციების მოწყობა, გადაიჭრება თუ არა ამ გზით ყველა სადღეისო მტკიენეული პრობლემა. თითოეულმა უნდა გავითავისოთ ის, რომ დღეს საქართველოს ძლიერების, აღმშენებლობის, წინსვლის და განვითარების უმთავრესი გარანტი ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ერთიანობა, თანხმობა, სიმშვიდე, მოქალაქეობრივი აქტიურობა, ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგი და სტაბილურობაა.

ნუგზარ გაბრიჩიძე,
თბილისის პროკურორი,
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.

მართლმსაჯულება

ეყოფა მოსამართლე ხელფასს მომავალი წლის მაისამდე?

ევროპის საბჭოს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა პროგრამით, შვეიცარიის მაგისტრატთა ასოციაციისა და ნოშატელის კანტონის მოსამართლეთა კონფერენციის მონაწილეობით, შვეიცარიის ქალაქ ნოშატელში წლეულს სექტემბერში გაიმართა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების პრეზიდენტებისა და წევრების თათბირი, რომლის თემა, როგორც ეს მისმა მონაწილემ, საქართველოს რაიონისა და ქალაქის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარემ ნუგზარ ბირკაიამ მითხრა, იყო მოსამართლეთა ასოციაციები: როლი, მიზნები, ძალაუფლება, სტატუსი. სწორედ შეკრებაზე განხილულ საკითხთა თაობაზე ვთხოვე ორიოდე სიტყვა ბატონ ნუგზარს, რომელმაც აღნიშნა, რომ

განხილული საკითხები, შეეხებოდა პროფესიონალი მოსამართლეების როლს მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციის შესაბამისად. შეკრებაზე აღინიშნა, რომ დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელების გაძლიერების მიზნით, არსებობს დამოუკიდებელ მოსამართლეთა ძლიერი და წარმომადგენლობითი ასოციაცია. ამასთან, ხაზი გაესვა იმას, რომ მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი პროფესიული ასოციაციების შექმნის საქმეში. ეს ასოციაციები — გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და მისაწვდომი ყველა მოსამართლისათვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე უნდა წარმოადგენდნენ მოსამართლეთა პროფესიულ ინტერესებს და მასმედიასთან უნდა იცავდნენ მის დამოუკიდებლობას. მუშაობისა და ხელფასის პირობები, ისე როგორც წინასწარი გამოცდები კანონების ცოდნის შესახებ, უნდა შედიოდეს მათ კომპეტენციაში. მათი მთავარი მისია უნდა იყოს, აგრეთვე, მოსამართლეთა საერთაშორისო გაცვლა. უნდა მოაწყონ ფორუმები, დისკუსიები, იზრუნონ მოსამართლეთა პროფესიულ კარიერაზე და პასუხისმგებლობაზე, აგრეთვე, მართლმსაჯულების ევოლუციაზე თანამედროვე საზოგადოებაში. ძლიერმა ასოციაციამ უნდა დაიცვას მყარი იდეები, რადგან დროის მოთხოვნაა, სასამართლო ხელისუფლება თანასწორად ელაპარაკოს სხვა ხელისუფლებას. ამ დისკუსიის შუქზე რეკომენდებულია მხარი დაუჭირონ ევროპის ყველა ქვეყანას შექმნას, ხოლო სადაც შექმნილია განვითარდეს მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციები. მოსამართლეთა ასოციაციებმა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნდა იქონიონ ერთმანეთთან ურთიერთობა ისე, რომ გამოავლინონ თავიანთი სხვადასხვა მიზნები და მისწრაფებანი, გააძლიერონ ურთიერთობა ამ მიმართებით ევროპის საკონსულოს პროგრამის საფუძველზე. ანალოგიური შეხვედრის მოწყობა მომავალ წელს უნგრეთის მოსამართლეთა ასოციაციის მიწვევით დაგეგმილია, ქალაქ ბუდაპეშტში.

— არსებობს მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია? რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში?

— მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია დაარსდა 1953 წელს, ეს არის ინტერნაციონალური, პროფესიული და აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან არა ცალკეული მოსამართლეები, არამედ მოსამართლეთა ასოციაციები, რომლებიც წევრებად მიიღებიან მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალური საბჭოს მიერ. დღეისათვის აღნიშნულ ასოციაციაში გაერთიანებულია 47 ეროვნული ასოციაცია. გარდა ამისა, ევროპაში მოქმედებს ასოციაცია „მედელი“ — „ევროპელი მაგისტრატები დემოკრატიისათვის და თავისუფლებისათვის“, რომელიც შეიქმნა სტრასბურგში 1985 წელს, იგი ღიაა ყველა ეროვნული ასოციაციისათვის და, აგრეთვე, ინდივიდუალურად ყველა მოსამართლისათვის, იმ ქვეყნებიდან, სადაც არ არსებობს ეროვნული ასოციაცია. „მედელი“ აერთიანებს 10 ევროპული ქვეყნის ასოციაციას, ესენია: გერმანია, ბელგია, ხორვატია, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი, ჩეხეთი და პორტუგალია. მოსამართლეთა ასოციაციები ევროპის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს, შექმნილია ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოში მოქმედებს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებში მოქმედ მოსამართლეთა ასოციაციისაგან, როგორც ორგანიზაციული მოწყობის პრინციპით, ასევე როლით და სტატუსით.

— მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ მოსამართლეთა ასოციაციის შექმნა საქართველოში და რა დანიშნულება ექნება მას?

— საქართველოში დღეს ხორციელდება სასამართლო რეფორმა, ქვეყნის პარლამენტმა წლეულს 13 ივნისს მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, სადაც გათვალისწინებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები. მოსამართლის ერთპიროვნული დამოუკიდებლობა შეუძლებელია, რის გამოც აუცილებლად უნდა მოხდეს მოსამართლეთა ასოციაციის შექმნა, რომელიც რესპუბლიკის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი გახდება მომავალში, ხოლო შემდგომ მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოც. მოსამართლეთა ასოციაციამ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას, რადგან ძლიერი სასამართლო ხელისუფლების გარეშე ადამიანის უფლებებ დაუცველი დარჩება.

— თქვენ ახსენეთ მოსამართლეთა ასოციაციის ურთიერთობა მასმედიასთან, ამ მიმართებით როგორ დაახასიათებდით საქართველოს მოსამართლეთა კორპუსის ურთიერთობას მასმედიასთან და რას იტყოდით ამას წინათ, თქვენს მიმართ გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილთან დაკავშირებით?

— თავიდანვე ვიტყვი, რომ მომხრე ვარ სამართლიანი, ობიექტური ურთიერთდამოკიდებულებისა. სამწუხაროდ, პრესაში მოსამართლეთა კორპუსის დაუფარავი ლანძღვა ისმის, უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი არგუმენტის გარეშე. არა მგონია, პრესის მუშაკთა ასეთმა დამოკიდებულებამ დადებითი ნაყოფი გამოიღოს მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეული ჟურნალისტის ეთიკაზე. ერთი სიტყვით, მოსამართლეთა კორუფციის მისამართით უარყოფითი ბევრი თქმულა პრესის ფურცლებზე, მაგრამ, განსაკუთრებით გულისტკივილს იწვევს ის გარემოება, რომ ხშირად დაუმსახურებლად, „ალბათ“ და „თურმე“ არგუმენტებით „გვცემენ“. ვისარგებლებ თქვენი შეკითხვით და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გაზეთ „ალიას“ რედაქციას ჩემი წერილის „სასამართლოების მოღვაწეობის შესახებ სენსაციური სათაური და რეალობა“, გამოქვეყნებისათვის. რაც შეეხება მასში დაშვებულ მექანიკურ შეცდომას — გირაოს კანონის მიღების თარიღის უზუსტობას, ცხადია, იგი არ შეიძლება გახდეს ჩემი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი, ხოლო, იმას, რაც ხსენებულ წერილში აღვნიშნე, დღესაც გავიმეორებ, კერძოდ, სენსაციური სათაურები უფრო გაზეთის გასაღებისა თუ მკითხველის მიზიდვისთვის კეთდება და არა როგორც რეალობის გამომხატველი.

— რას იტყოდით მოსამართლეთა ხელფასებზე, ხომ არ არის იგი კორუფციის წინაპირობა?

— ამ შეკითხვას შეკითხვითვე ვუპასუხებდი, რა არყევს ყველაზე უფრო სასამართლო ხელისუფლებას? მოსამართლეთა დამოუკიდებლობას? ავტორიტეტს? რამაც შეიძლება მექრთამეობამდე, კორუფციამდეც მიგვიყვანოს? უპირველესად, დაბალი ანაზღაურება. სახელმწიფომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მოსამართლეთა მატერიალურ უზრუნველყოფას.

მოსამართლეთა ასოციაციაზე რომ გითხარით, მისი განსაკუთრებული როლი კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყურადღების ქვეშ ჰქონდეს მოსამართლის მატერიალური უზრუნველყოფა, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ საკმაოდ დიდი ხელფასი, რათა არ დაკარგონ დამოუკიდებლობა.

მიევსალმები „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მოსამართლის ხელფასი და მატერიალური შეღავათები არ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრის ხელფასსა და მატერიალურ შეღავათებზე ნაკლები, რომ დაუშვებელია მოსამართლის ხელფასის შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში, მაგრამ ყოველივე ეს იქნება 1998 წლის 1 მაისიდან, მანამდე?

— ამას თუ მე მეკითხებით, ბატონო ნუგზარ, პასუხს მუშნი ზარანდიას დავესესხები: მანამდე, ალბათ, მოსამართლე უნდა ეყოს ხელფასს...

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

სურათზე: ნუგზარ ბირკაია (მარცხნივ) და მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი მასსიმო ბონომო.

ამაგი

იურისპრუდენციის დიდოსტატი

სამეცნიერო ასპარეზზე მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებით და კაცურკაცობით სახელმოხვეჭილი შეეგება თავისი სიცოცხლის მერვე ათეულს იურისპრუდენციის ნამდვილი დიდოსტატი — პროფესორი გიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი.

1947 წელს გიორგი ნადარეიშვილმა ოქროს მედლით დაამთავრა სამუალო სკოლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პირველ წლებშივე წარმოჩინდა მისი ფართო ერუდიცია, იურიდიული დისციპლინების ღრმად დაუფლების დაუოკებელი ინტერესი, მეცნიერული კვლევის საოცარი უნარი. მან თავიდანვე მიიპყრო იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება და მათი ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. იურიდიულ დისციპლინებს გარდა, იგი ეუფლებოდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ფილოლოგიას, ჩინებულად იყენებდა უცხო ენებზე არსებულ წყაროებს. სტუდენტობაში დაწერა სქელტანიანი ნაშრომი „სახელმწიფო და პიროვნება“, რომლის განახლებული ვარიანტის გამოქვეყნებას ახლა აპირებს.

იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბატონი გიორგის სამოღვაწეო და მეცნიერული კვლევის ძირითადი არეალი გახდა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, აგრეთვე სამართლის მსოფლიო ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პრობლემები. ამ სფეროში 1952 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს 230-ზე მეტი შრომა, მათ შორის 15 — ცალკე წიგნად.

გ. ნადარეიშვილის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იყო საჟურნალო წერილი „არსებობდა თუ არა ეგრეთ წოდებული „პირველი ღამის უფლება“ ფეოდალურ საქართველოში“, რომელშიც ავტორმა დაასაბუთა, რომ ასეთი უფლება არასოდეს არ ყოფილა საქართველოში და ის მოგონილია „მემარცხენე“, „მორევოლუციონერო“ სენსაციის მოყვარული დილეტანტი ავტორების მიერ.

41 წლის წინათ უნივერსიტეტის შრომებში დაისტამბა გ. ნადარეიშვილის ნაშრომი „განქორწინების წესები ფეოდალურ საქართველოში“, სადაც, პირველად ქართული მეცნიერების ისტორიაში, მანამდე გამოუკვლევი მასალების საფუძველზე ნაჩვენები იყო, რომ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა იურიდიული სისტემით ჩამოყალიბებული და დახვეწილი კანონმდებლობა განქორწინების შესახებ, თუმცა განქორწინება თავისთავად უიშვიათესი მოვლენა იყო.

ძველი ქართული საოჯახო სამართლის შესახებ გამოქვეყნებულ სამ წიგნში გ. ნადარეიშვილმა (იურიდიულ საკითხებთან ერთად) აჩვენა, რომ ფეოდალურ ხანაში ქართულმა ოჯახმა დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული თავისთავადობისა და ეროვნული სულის შენარჩუნების საქმეში.

ფეოდალურ საქართველოში სასჯელების ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებულ ათზე მეტ ნაშრომში ბატონმა გიორგიმ ადრე გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, დაამტკიცა, რომ სასჯელთა სისტემის განვითარების დონით საქართველო მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის მიჯნაზე ტოლს არ უდებდა მაშინდელ მოწინავე ქვეყნებს, მათ შორის ბიზანტიას. მან გამოიკვლია „სისხლისა“ და სახელმწიფო სასჯელების ურთიერთდამოკიდებულება მეთოთხმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების საქართველოში და სასამართლო პრაქტიკის მასალების, ნორმატიული წყაროების ურთიერთშეჯერებით აჩვენა ქართული სისხლის სამართლის განვითარების მაღალი დონე. თამარ მეფემ ჰუმანურობის გაკვეთილი დაუტოვა კაცობრიობას: გააუქმა დამასახიჩრებელი სასჯელები და სიკვდილით დასჯა. გ. ნადარეიშვილმა წარმოაჩინა საჯარო (სახელმწიფო) სასჯელების სახეები, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულ საკანონმდებლო ძეგლებში არ იყო დაფიქსირებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ნადარეიშვილმა შექმნა ფეოდალური საქართველოს მოქმედ სასჯელთა მეცნიერული ისტორია.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ გიორგის ქართულ იურიდიულ წყაროებში არსებული გარკვეული საიდუმლოების შემცველი ფორმულების — კლაუზულების ამოხსნაში. იგი წასწვდა, სახელდობრ, ისეთი ფორმულების შინაარსს, როგორიცაა: „უჯვარობით დამტკიცება“, „ამაგალი კაცი“, „გვარის წესი“, „ჯერი“, „ალაგის წესი“, „ჯერი ყოს“ (ეს უკანასკნელი ფიცით თავის მართლების ვალდებულებას უკავშირდება).

დიდი გულისყურით იკვლევს გიორგი ნადარეიშვილი რუსთაველის პოემას იურიდიული ასპექტით. მან დაამტკიცა, რომ რუსთაველი იცნობდა ჩინურ პოეზიას, ჩინელთა საამაყო ძეგლს „სიმღერების წიგნს“, რომელიც ჩინელებს ქვებზე ჰქონდათ ამოკვეთილი. გამოკვლეული აქვს, რომ რუსთაველის გამოთქმა „ბედსა ნუ მიქცევ“ (ესე იგი ბედს ნუ გამომიცვლიო) უკავშირდება ეთიკური მონარქიზმის იდეას ძველ აღმოსავლეთში და შუა საუკუნეების ევროპაში. მრავალ სიახლეს შეიცავს მისი ნაშრომი „ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“.

ფასდაუდებელია გ. ნადარეიშვილის ღვაწლი ქართული სამართლის ინსტიტუტების ეგვიპტური, ბაბილონური და შუმერული სამართლის ინსტიტუტებთან შედარების სფეროში. მან მიაკვლია საერთო იურიდიულ ფორმულებს (კლაუზულებს), რომლებსაც შეიცავს ქართული, ძველი შუმერული და ეგვიპტური ნასყიდობის დოკუმენტები, ადგენს ამ კლაუზულების წარმოშობის მიზეზებს, აქვე უნდა ითქვას, რომ გ. ნადარეიშვილის მეცნიერული შემოქმედების თანმდევი სტილია სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი სამართლებრივი მასალების შემოტანა და მათი ღრმა ანალიზის საფუძველზე ახალი დასკვნების, თეორიული დებულებების და განზოგადების გაკეთება. ამაგდარი მეცნიერი არ იფარგლება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, თეორიისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა პრობლემების ეთიკის საკითხთა კვლევით, იგი აქტიურად მონაწილეობს ქართულ კანონშემოქმედებით საქმიანობაში, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის შემუშავებაში.

თავის ცოდნას და გამოცდილებას ბატონი გიორგი უშურველად ახმარს ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას. ათეული წლებია, ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 80-იანი წლებიდან დღემდე ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო უძღვნა სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს, როგორც ქართული სამართლის ისტორიაში, ასევე სამართლის ზოგად ისტორიასა და რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლებში. მისი აღზრდილები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ მეცნიერებაში, პედაგოგიურ სარბიელზე, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და მართლმსაჯულების ორგანოებში. იგი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრია.

თავის ერთ-ერთ ნაშრომში („ზომიერება“) ბატონი გიორგი წერს: „ადამიანმა მიზანს უნდა მიაღწიოს სათნოებით აღჭურვილმა“. ძველ საბერძნეთში სათნოებას უკავშირებდნენ ისეთ ზნეობრივ თვისებებს, როგორიცაა სიბრძნე, სამართლიანობა, სიმამაცე და ზომიერება. ყველა ამ და სხვა უმაღლესი ზნეობრივი თვისებებით უხვადაა დაჯილდოებული ბატონი გიორგი.

ვალერი ლორია, შოთა ფაფიაშვილი, ვახტანგ ძარუმიძე, გივი ლობჟანიძე, ლეონიდე ადეიშვილი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

კრივი

მსოფლიო ჩემპიონი კრივში



ვარიანელმა მძიმეწონოსანმა გიორგი კანდელაკმა დამოუკიდებელ საქართველოს მსოფლიო ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მოუპოვა.

ბუდაპეშტში დასრულებული მოკრივეთა ფორუმის ფინალში ჩვენმა თანამემამულემ ქულებით დამაჯერებლად — 4:1 მოუგო კუბელ ალექსის რუბალკაბას. შეგახსენებთ, რომ ტრიუმფატორი რინგს ერთწლიანი განშორების შემდეგ ახლახანს დაუბრუნდა.

უნგრეთიდან „ბრინჯაოთი“ ბრუნდება კობა გოგოლაძე, რუსეთის სახელით მოასპარეზე პაატა გვასალია კი მეორე პრიზიორი გახდა.

მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოები ასე განაწილდა: რუსეთი — 4, კუბა — 3, უნგრეთი — 2, საქართველო, რუმინეთი, უზბეკეთი — თითო „ოქრო“.

თბილისობა-97 — სპორტის ზეიმი

ბუნება მბრძანებელია...

ასე ინება თვით მბრძანებელმა ბუნებამ: გასული კვირადღე, თბილისობის დღესასწაულის დასკვნითი აკორდი, იდეალურ ბუნებრივ პირობებში ჩატარდა, განსაკუთრებით — სპორტსმენთათვის, იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, რომლებსაც საშუალება მიეცათ სრულად გამოევლინათ თავიანთი ოსტატობა და ფიზიკური მონაცემები.

...მტკვრისაკენ მწყობრად მიმავალი წყალმოთხილამურეების დანახვაზე კუნთმაგარ, ტანად და მოქნილ სპორტსმენებს მოქალაქეთა ჯგუფმა გამთან ერთად აღტაცებული შეძახილიც გააყოლა: ნეტავ თქვენს დედას, გაიხარეთო!

წყალმოთხილამურეებმა კი მართლაც მოხდენილად, ლამაზად ჩაატარეს საჩვენებელი გამოსვლები და ბევრი თბილისელი ჭაბუკი და ქალიშვილი — მათი ოსტატობის მნახველი, თავისი სპორტის სახერბისკენ გადმოხარა...

თუმცა, არც ნიჩბოსნებს აკლდათ მაყურებელი და გულშემატკივარი. რკინის კუნთებით მოსმული ნიჩბები საოცარი სისწრაფით მიასრიალებდა ნავებს ბებერი მტკვრის მღორე ნაკადში და ვინ იცის, იმ დროს რას ბუტბუტებდა ჩვენი დედამდინარე...

თბილისობის მთავარი ცენტრი — რიყე თითქოს სპორტსმენებმა დაიპყრესო: ქართული ჭიდაობა, ფარიკაობა, მკლავჭიდი, სპორტული აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში — ყველა თავისკენ ექაჩებოდა ათასობით თვალს, მოუხმობდა ნამდვილი სილამაზის, სრული ტანისა და მთელი ჯანის დამფასებელთ...

ნამდვილად დიდი, დაუვიწყარი სპორტული ზეიმის ატმოსფერო, რომელიც კვირას სუფევდა ჩვენს თბილ და ნათელ დედაქალაქში, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ქალაქის მერიის სპორტის სამმართველოს, სპორტული ფედერაციების, ადგილობრივი სპორტკომიტეტების მესვეურების, მწვრთნელების, მსაჯების და, რა თქმა უნდა, თვით სპორტსმენების მონდომების, საქმისადმი სიყვარულისა და დედაქალაქის ამ ტრადიციული სახალხო ზეიმისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატულება გახლდათ. მან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენი ძირძველი კულტურის ქვეყანა დიდი და მომავლიანი სპორტული სახელმწიფოც არის.

ანზორ ბასილაია.

ახლა კი გაგაცნობთ მათ, ვინც განსაკუთრებით ისახელა თავი ამ მშვენიერი სპორტული ზეიმის მონაწილეთა შორის, აგრეთვე, მათ, ვინც უშუალოდ, პიროვნულად შეუწყო ხელი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას.

25 ოქტომბერი, თბილისის პირველობა წყალში ხტომაში.

ვაჟები: ვ. მამნიაშვილი, ქ. ჭანტურია, დ. მუჟირი.

ქალები: ზ. მანჯგალაძე, თ. ყეინაშვილი, ა. კარინევიჩი.

26 ოქტომბერი (რიყის ტერიტორია) — ქართული ჭიდაობა — (282 მონაწილე. 10 წონითი კატეგორია): 35 კგ. გ. მჭედლიშვილი, ვ. ვალიშვილი. კ. ადიკაშვილი; 38 კგ. კ. ბადრიაშვილი, ბ. ბექაური, ვ. მეზურნიშვილი; 42 კგ. ა. ცინცაძე, გ. მიშელაძე, ი. მამნიაშვილი; 46 კგ. გ. ადუაშვილი, გ. სამადაშვილი, დ. კოდელაშვილი; 50 კგ. გ. ბახტურიძე, გ. ჩიმჩიური, კ. მიშელაძე; 55 კგ. ლ. შკუბულიანი, გ. კვირკვია, ო. ელოშვილი; 60 კგ. რ. რაზმიაშვილი, ს. მარგველაშვილი, ნ. კოპაძე; 65 კგ. დ. ბურდული, გ. კბილაშვილი, ი. უსანეთაშვილი; 72 კგ. გ. ნოზაძე, ს. მინიაშვილი, ს. მირეზაშვილი; აბსოლუტური — გ. შუბითიძე, გ. ბერაძე, გ. აბულაძე.

მკლავჭიდში გამარჯვებული გახდა ოთარ სამსიანი (ქ. გაგრა).

საჩვენებელი გამოსვლები ჩატარდა მხატვრულ ტანვარჯიშში, (რ. ბერიკაშვილი), აკრობატიკაში (დირექტორი მ. გეგელია), ფარიკაობაში (დირექტორი ლ. ღაღანიძე), წყლის თხილამურებში, ნიჩბოსნობაში (დირექტორი ი. მოდრეკილაძე), სიმძიმეების აწევაში.

საწყლოსნო კომპლექს „ვერეს“ აუზში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა სინქრონულ ცურვაში (უმცროსი ასაკის დამწყები სპორტსმენების მონაწილეობით).

ბ. პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე კი, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გუნდები, „დასავლეთელთა“ არჩამოუსვლელობის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა ქვემო და შიდა ქართლის საფეხბურთო გუნდები. უძლიერესი აღმოჩნდა შიდა ქართლის გუნდი — 2:0.

სურათებზე: კვირას გამართული სპორტული ასპარეზობების ამსახველი მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის და ჯემალ კასრაძის ფოტო.

ფეხბურთი

აქტიური ვეტერანი

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური კვირას ვაკის „26 მაისის“ სტადიონზე გამართული „ლოკომოტივ“-„სამგურალის“ მატჩით დაიწყო.

რკინიგზელებმა შესვენების შემდეგ პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს — 2:0. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეტერანი მოთამაშე-მწვრთნელის კობა ქორქიკაშვილის აქტიურობა. სწორედ მისი ზუსტი გადაცემებით გაიტანეს გოლები სტუმართა კარში გვაზავამ და გამცემლიძემ. წყალტუბოელთაგან კი გულშემატკივრები მეტს მოელოდნენ — მათ ხომ წლეულს დედაქალაქის „მერანისა“ და უნივერსიტეტის ფეხბურთელთა დამარცხება შეძლეს.

ტურის დანარჩენი შეხვედრები გუშინ მოეწყო და ასე დასრულდა: „ოდიში“ — „გორდა“ 4:3, „ბათუმი“ — „ტორპედო“ 2:0, „კოლხეთი“ — „მერანი“ 3:0, თსუ — „მარგვეთი“ 5:0, „სიონი“ — „დილა“ 3:1, „მაღაროელი“ — „დინამო“ 1:1, „გურია“ — „მორკინალი“ 2:1.

ჩვენებურები

შოთამ თბილის(ელ)ობა ამსტერდამში აღნიშნა

ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრის — „აიაქსი“ — „ფეიენოორდი“ — ბედი მასპინძელთა ქართველი ლეგიონერის შოთა არველაძის დიდებულმა თამაშმა გადაწყვიტა. ერთი გატანილი ბურთი, ერთი დამსახურებული პენალტი და ორი საგოლე გადაცემა — ასეთია ჩვენებურის მონაგარი. ამსტერდამელებმა 4:0 მოიგეს მატჩი და კვლავ უდანაკარგოდ ლიდერობენ ჩემპიონატში.

იმავე დღეს შვეიცარიაში ნემსაძე-ყაველაშვილის კლუბმა „გრასჰოპერსმა“ სტუმრად 2:1 სძლია „ქსამაქსს“ და კვლავ პირველ ადგილზეა, ინგლისში კი ქართველთა გუნდები შეფერხდნენ. პრემიერლიგაში ქეცბაიას „ნიუკასლი“ შინ „ბლექბერნს“ დაუზავდა — 1:1, ხოლო ქინქლაძის „მანჩესტერ სიტი“ პირველ დივიზიონში სტუმრად „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ 0:2 დამარცხდა.

კალათბურთი

ძლიერთა კარნახით

გუშინ ვაკე კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატზე მორიგი სამი შეხვედრა გაიმართა.

„რიონი“ — „მერანი“ 88:61.

„ბ“ ქვეჯგუფის აუტსაიდერთა მატჩის ბედი ქუთაისელთა ვეტერანის მერაბ ნაცვლიშვილის შედეგიანმა თამაშმა გადაწყვიტა. მან გუნდს 40 ქულა მოუტანა.

„დინამო“ — „მაკაბი“ 112:92.

ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი თბილისის „დინამო“ ძირითადად უკანა ხაზის ჩინებული თამაშით აღწევს წარმატებებს. ასე მოხდა გუშინაც, თუმცა, უშუალო კონკურენტებთან მომავალ მძაფრ შეხვედრებში, ალბათ, ლევან მოსეშვილის გუნდს სრულფასოვანი ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე გაუჭირდება.

„აზოტი“ — ასკ 107:100.

შესვენებამდე რუსთაველთა ლიდერებმა — გოგობერიშვილმა, ჯაფარიძემ და ბოისამ „მეორე სართულზე“ სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს. ჭაბუკმა არმიელებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და ევროტურნირის მონაწილესთან საპატიო ანგარიშით დამარცხდნენ.

ჭიდაობა

ნელსონ მანდელას სამშობლოში - საჭიდაოდ

სოფელ გლდანში, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში გაიმართა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1982-1983 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. პირველი ადგილები დაიკავეს: ლაშა სალუქვაძემ (თბილისი), ბექან ესებუამ (ხობი, ოლიმპიური რეზ. სასწავლებელი), რუსლან დუმბაძემ (ბათუმი), ირაკლი კოპალეიშვილმა (ბათუმი, ოლიმპიური რეზ. სასწავლებელი), ლაშა ლომაძემ (ოზურგეთი), ელიზბარ მაჭუტაძემ (ბათუმი, ოლიმპიური რეზ. სასწავლებელი), მამუკა ხემშიაშვილმა (ბათუმი, ოლიმპიური რეზ. სასწავლებელი), რევაზ ჩხაიძემ (ბათუმი), რამაზ ნოზაძემ (თბილისი), პაატა ზაქრაძემ (ხელვაჩაური), ლევან კახნიაშვილმა (თბილისი). შეჯიბრება „ოლიმპიური იმედის“ სახელწოდებით გაიმართა. სულ 19 რეგიონის 191 მოჭიდავე გამოვიდა სარბიელზე. საწყენია, რომ შეჯიბრებაზე იგრძნობოდა მსაჯების დეფიციტი.

გაისად მოსწავლეთა მარტის არდადეგების დღეებში გაიმართება ამავე ასაკის მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა, ივნისში მოსკოვი „ოლიმპიურ დღეებს“ უმასპინძლებს, ივლისში კი კადეტთა მსოფლიო პირველობა რაგბისა და ნელსონ მანდელას ქვეყანაში — სამხრეთ აფრიკაშია ნავარაუდევი. ვინ ამოუდგება მხარში ჩვენს ოლიმპიურ იმედს — ახალგაზრდა მოჭიდავეებს შორეულ აფრიკაში რომ გაემგზავრონ, ჯერჯერობით გარკვეული არ არის. მსოფლიო პირველობამდე კი 8 თვეა დარჩენილი.

ბესიკ გაბრიაძე.

ავტოსპორტი

ვილნევის აღზევება

„ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 26-ე გამარჯვებული კანადელი ჟაკ ვილნევი გახდა.

რბოლის ბოლო ეტაპზე — „ესპანეთის დიდი პრიზის“ გათამაშებაში მან მესამე ადგილი დაიკავა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავარი მეტოქის — გერმანელი მიხაელ შუმახერის დასამარცხებლად, რომელმაც ავარია განიცადა და ამ რბოლას გამოეთიშა. საბოლოოდ ვილნევმა 81 ქულა მოაგროვა და სამი ქულით გაუსწრო ორგზის მსოფლიო ჩემპიონს.

სურათზე: კანადელი ჟაკ ვილნევი — „ფორმულა-1“-ის გამარჯვებული.

ჭადრაკი

ლუცერნი: მსოფლიოს გუნდური პირველობა

მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ლუცერნში ერთი ცვლილება მოხდა — ეგვიპტის ნაკრების ნაცვლად, რომელმაც თამაშზე უარი განაცხადა, დაუშვეს სომხეთის ძლიერი გუნდი, რომელიც, მიმომხილველთა აზრით, საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება.

პირველ ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ყაზახეთის გუნდს შეხვდა. მაია ჩიბურდანიძემ ერთგვარი უპირატესობა მიიღო პაველ კაცურთან, შემდეგ გაამწვავა თამაში, დიდი მატერიალური უპირატესობა მიიღო და მოიგო. ყაიმზე შეუთანხმდნენ თავიანთ მეტოქეებს ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ნინო გურიელი. ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა მოიგო მატჩი ანგარიშით 2,5:1,5.

პირველი ტურის სხვა შეხვედრები: აშშ — უკრაინა 2,5:1,5, ხორვატია — ინგლისი 1:3, კუბა — რუსეთი 0,5:3,5; სომხეთი — შვეიცარია 2,5:1,5.

მეორე ტურში საქართველოს ნაკრები უკრაინის უძლიერეს გუნდს ხვდებოდა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე შავებით თამაშობდა ლვოველ დიდოსტატ ვასილი ივანჩუკთან, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება და სისტემატურად მონაწილეობს პრეტენდენტთა ტურნირებში. მაია დამარცხდა. წააგეს, აგრეთვე, ნანა იოსელიანმა — ვალერი საჩენკოსთან, ქეთევან არახამიამ — ალექსანდრე ონიშჩუკთან, ხოლო ბოლო დაფაზე ნინო გურიელმა ყაიმს მიაღწია ხარკოველ დიდოსტატ იგორ ნოვიკოვთან. ამრიგად, უკრაინელებმა მოიგეს ანგარიშით 3,5:0,5.

სხვა შეხვედრები: აშშ — ხორვატია 2:2, ყაზახეთი — კუბა 2,5:1,5; რუსეთი — სომხეთი 2:2; ინგლისი — შვეიცარია 2,5:1,5.

ორი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ რუსეთისა და ინგლისის გუნდები. საქართველოს ნაკრები 3 ქულით შვეიცარიისა და ხორვატიის ნაკრებებთან ერთად მეშვიდე-მეცხრე ადგილებს იყოფს.

დღემდე გარი კასპაროვის ყველაზე სახიფათო მეტოქეებად ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი და ვესელინ ტოპალოვი ითვლებოდნენ. ტილბურგში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მათს რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ პიოტრ სვიდლერიც, მით უმეტეს, რომ მან პირად შეხვედრაში მოახერხა კასპაროვის ძლევა, რომელთანაც აქამდე არასოდეს ეთამაშა.

სვიდლერს (დაიბ. 1976 წლის 17 ივნისს) აქამდე მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების რეიტინგ-ლისტში 2660 ქულით მეოცე ადგილი ეკავა. იანვრისათვის კი, როცა თანამედროვეობის წამყვანი დიდოსტატების ახალი სია გამოქვეყნდება, მკვეთრად გადაიწევს წინ — მან ხომ ტალბურგში კასპაროვსაც გაასწრო და კრამნიკსაც, თან ზედიზედ სამჯერ (!) მოიპოვა რუსეთის ჩემპიონობა.

მოვუსმინოთ თანამედროვე ჭადრაკის ამ ახალ „ვარსკვლავს“.

ახალი „ვარსკვლავი“

— თქვენ მიეკუთვნებით საჭადრაკო ელიტას? (ასეთი კითხვა სვიდლერს ტილბურგში დიდი ტრიუმფის წინ დაუსვეს).

— ეს გახლავთ იმ ადამიანების ჯგუფი, რომელიც უდიდეს ტურნირებში თამაშობს. მე, ეტყობა, „მეორე ეშელონს“ მივეკუთვნები.

— როგორ უნდა მოხვდეს კაცი „პირველ ეშელონში“?

— ამისათვის უფრო მაღალი რეიტინგია საჭირო. ის, რაც მე დღეისათვის მაქვს, არასაკმარისია.

— გინდათ კომპიუტერთან თამაში?

— რატომაც არა. ინტერნეტით ვადევნებდი თვალს ნიუ-იორკში გამართულ კასპაროვისა და „დიპ ბლიუს“ მატჩს. კომენტატორმა ასეთი რამ თქვა: „ჩვენ ვესწრებით მსოფლიო ჩემპიონის მეხვედრას უძლიერეს მოჭადრაკესთან“. მოგების შემდეგ კომენტატორებს ეიფორია დაეუფლათ. მათ ჰგონიათ, რომ ამ ყუთის დამარცხება შეუძლებელია.

— რას იტყვით ფიდეს პრეზიდენტის საქმიანობის შესახებ?

— კირსან ილიუმჟინოვი მრავალმხრივი მოღვაწეა. მან მოახერხა ფიდეს ძველი ვალების ლიკვიდაცია, ჩაატარა კარპოვ-კამსკის მატჩი. ჩვენ მისი მადლიერი უნდა ვიყოთ, რომ ელისტაში რუსეთის ჩემპიონატებს ატარებს ძალიან მაღალი ჰონორარით! მაგრამ მისი მოღვაწეობის შეფასება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა იგი მსოფლიო ჩემპიონატს ჩაატარებს ახალი სისტემით.

— თქვენ წინააღმდეგი ხართ „ილიუმჟინოვის სისტემისა“?

— არა, რადგან ჯერჯერობით ალტერნატივა არ არსებობს. სჯობს ამგვარი სისტემით ვითამაშოთ, ვიდრე საერთოდ არაფერი გვქონდეს. ამ სისტემას, ცხადია, ათასი ნაკლი აქვს. ყველა ამბობს, რომ კასპაროვისა (მან უკვე თქვა უარი ჩემპიონატში მონაწილეობაზე — ზ.ზ.) და კარპოვისათვის წინასწარვე უპირატესობის მინიჭება — პირდაპირ ნახევარფინალში დაშვება — აშკარად უსამართლობაა. როგორი საქმეა ოთხი მატჩის მოგების შემდეგ დაღლილდაქანცული მოჭადრაკეებისათვის კარპოვთან თამაში?

— გეთანხმებით, მაგრამ ორმა „კ“-მ ხომ დაიმსახურა ეს პრივილეგია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თქვენი აზრი: ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონად: გარი კასპაროვი თუ ანატოლი კარპოვი?

— ძალიან გთხოვთ, ამ ისტორიაში ნუ გამხვევთ. კასპაროვი დღეისათვის, უდავოდ უკეთესად თამაშობს, ისე კი იურიდიულ საქმეებში ჩარევა არა მსურს, მით უმეტეს, რომ მათში ცუდად ვერკვევი.

— როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ მოიპოვოთ მსოფლიო ჩემპიონობა?

— ნუ იტყვით. ამ მოკლე ხანში ჩემი ძალა რაღაც ზღაპრულად თუ არ გაიზრდება, მე, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არ მექნება. შეიძლება პირველსავე წრეში ისეთი ძლიერი მეტოქე შემხვდეს, რომ წავაგო და გამოვეთიშო შეჯიბრებას.

— თქვენი საჭადრაკო კერპები?

— პირველ რიგში — მიხეილ ტალი, პიროვნება, რომლის მაგალითსაც უნდა მიბაძო. არა, მე ტალის საჭადრაკო მანერას და სტილს როდი ვგულისხმობ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ისევე ითამაშებს, როგორც ტალი, უბრალოდ თავს იტყუებს...

* * *

პეტრე სვიდლერი პირველად 1990 წელს გაეცანი პეტერბურგში, როცა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი. ჭაბუკების საკავშირო შეჯიბრებაზე პატარა სვიდლერი ისე გამოირჩეოდა, როგორც, ეთქვათ; 40 წლის წინ მისი თანაქალაქელი ბორის სპასკი, შემდეგ, მოგეხსენებათ, სპასკი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მიაღწევს თუ არა ანალოგიურ შედეგს სვიდლერი, ჯერ არავინ იცის, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატამდე, ე.ი. დეკემბრამდე, რაღა რჩება...

გივი გამრეკელი.

ყოველი მხრიდან

ფეხბურთი იუბილეს მიეძღვნა

რუსული ფეხბურთის საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა რუსეთის ბანკმა ხუთი სახის ვერცხლის მონეტის მოჭრა.

1 რუბლის ღირებულების თითოეული მონეტის ტირაჟი 25 ათასი ცალია.

ერთ-ერთი ვერცხლის ფულის ერთ მხარეზე ამოტვიფრულია ორი ფეხბურთელისა და კარში მდგარი მეკარის გამოსახულება პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ფონზე. იგი ასახავს 1897 წლის 24 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში გამართულ რუსეთის ჩემპიონატის პირველ მატჩს ფეხბურთელთა ვასილეოსტროვის წრისა და სანკტ-პეტერბურგის სპორტის მოყვარულთა წრის გუნდებს შორის.

ორ ვერცხლის მონეტაზე ასახულია 1956 წლის 8 დეკემბერს მელბურნის ოლიმპიადაზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების ფინალური მატჩის, აგრეთვე 1988 წლის 1 ოქტომბერს სეულის ოლიმპიადაზე სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებების ფინალური შეხვედრის მომენტები, ორივე შემთხვევაში საბჭოთა ფეხბურთელები ჩემპიონები გახდნენ.

მეოთხე მონეტაზე გამოსახულია ცნობილი მეკარე ალექსი ხომიჩი 1945 წელს დიდი ბრიტანეთის ტურში მოსკოვის „დინამოსა“ და ინგლისის გუნდის შეხვედრის დროს ბურთის აღების მომენტში.

და, ბოლოს, მეხუთე მონეტაზე ამოტვიფრულ რელიეფურ გამოსახულებაზე — გამოჩენილი მეკარე ლევ იაშინი და ფეხბურთელები 1960 წელს პარიზში ევროპის თასის გათამაშებაში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებების ფინალური მატჩის დროს. მაშინ საბჭოთა გუნდმა კონტინენტზე საუკეთესოს სახელი მოიპოვა.

ბლიც-ანკეტა

თემო გოცაძე

— საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, „სურათების ეროვნული გალერეის" გენერალური დირექტორი.

1. ზოდიაქოს ნიშანი – ვერძი;
2. საყვარელი მწერალი – მარკესი, თომას ვულფი;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება – ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა";
4. საყვარელი მხატვარი – მიქელანჯელო;
5. საყვარელი რეჟისორი – ფელინი;
6. საყვარელი ფილმი – „ვატერლოოს ხიდი";
7. საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) – ჟან გაბენი;
8. საყვარელი მსახიობი (ქალი) – ავა გარდნერი;
9. საყვარელი კომპოზიტორი – რიჰარდ ვაგნერი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები – ვაგნერის ოპერის „ტანჰაიზერის" უვერტიურა;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა – „ჩაკრულო";
12. უდიდესი პოლიტიკოსი – დავით აღმაშენებელი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება – ალექსანდრე მაკედონელი;
14. საყვარელი ქალაქი – თბილისი, ფლორენცია;
15. სპორტის საყვარელი სახეობა – ფეხბურთი, სათხილამურო სპორტი;
16. გატაცება – ძაღლი. ამ ცხოველის მოვლა, მასთან ურთიერთობა;
17. საკუთარი ღირსება – თავმდაბლობა;
18. საკუთარი ნაკლი – თავშეუკავებლობა;
19. ყველაზე დიდი წარმატება – 1989 წლის პერსონალური გამოფენები მოსკოვსა და სანდიეგოში;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი – ჩემი სახელმწიფო მოხელეობა. ჩემი აზრით, მაღალგანვითარებულ სახელმწიფოში ადამიანი იძლევა იმ ინფორმაციას, რომლის გაცემაც მისი სულიერი მოვალეობაა (მხატვრობა, მშენებლობა, ექიმობა და ა.შ.). მე იძულებული ვიყავი თავიდანვე მემუშავა სახელმწიფო სტრუქტურებში არა საკუთარი სპეციალობის მიხედვით, თუმცა იმ არეალში, რომელიც უზრუნველყოფდა სახვითი ხელოვნების მატერიალური, ტექნიკური და შემოქმედებითი ბაზის შექმნას. საბოლოოდ, დააკლდა შემოქმედებასაც და საზოგადო მოღვაწეობასაც (ესეც ჩემი შეხედულებით);
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი – მსახიობი მარი ჯანაშია;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი – ჩემი მეგობარი – მწერალი, სცენარისტი, მსახიობი – გია ბადრიძე;
23. ოჯახის შემადგენლობა – მეუღლე, სამი ვაჟი;
24. მეგობართა წრე – მსახიობები, მხატვრები, მწერლები;
25. რას აფასებთ ადამიანში? – ერთგულებას;
26. საყვარელი კულინარიული ნაწარმი – აჯაფსანდალი;
27. საყვარელი სასმელი – წითელი ღვინო;
28. საყვარელი ცხოველი – ცხენი;
29. საუკეთესო მოგონება – მოგზაურობა საქართველოს მთიანეთში;
30. სანუკვარი ოცნება – საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის შენობის დამთავრება რუსთაველის გამზირის № 11-ში.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

პრობლემა

1996 წლის 1 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაამტკიცა არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა. თუ რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე და რა სამუშაოებია მომავალში შესასრულებელი, საქინფორმის კორესპონდენტს გულიკო მარკოზაშვილს ესაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს არასრულწლოვანთა და სტუდენტთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი გელა ქავთარაძე:

ჯანსაღი ახალგაზრდობა საქართველოს ხვალინდელი დღეა

– ჩვენს სამინისტროს, ამ მეტად მნიშვნელოვან და რთულ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური დავალებები ჰქონდა, რადგან შემუშავებული პროგრამა ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა. გავიდა უკვე ერთი წელი – ამოქმედების ეტაპი – და ახლადშექმნილი სამსახური – არასრულწლოვანთა და სტუდენტთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო, აგრძელებს ღონისძიებების განხორციელებას. რამდენჯერმე უკვე შეფასდა რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარება არასრულწლოვანთა ხაზით, მომზადდა დირექტიული მითითება კონკრეტული რეკომენდაციებით, ინფორმაციები გაეგზავნა ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სამთავრობო კომისიას დედაქალაქის თითქმის ყველა რაიონში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამ ხნის მანძილზე გამოვლენილია 391 მოზარდი, რომელთაგან 136 გადაყვანილია მიმღებ-გამანაწილებელში, რამდენიმე ახალგაზრდა ოჯახს დაუბრუნდა. მაგრამ ეს იმდენად რთული პრობლემაა, რომ მარტო პოლიციური მეთოდებით ვერ გადაწყდება და, რაღა თქმა უნდა, სასურველ შედეგსაც ვერ მივაღწევთ, თუ ყველამ ერთად არ იმუშავა – იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. მინდა მადლობა მოვახსენო პრესისა და ტელევიზიის მუშაკებსაც, რომელთა გულისხმიერებითაც 22 სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაციები არასრულწლოვანთა საჭირბოროტო პრობლემებზე, მოეწყო 8 სპეციალური ტელეგადაცემა და რადიოსაუბარი.

ახლახან ჩვენმა სამსახურმა მოხსენებითი ბარათი წარადგინა იუნესკოს სახელზე, სადაც მომზადდება სპეციალური პროგრამა, რომელიც საქართველოს დაეხმარება. განვიხილეთ, აგრეთვე ახალგაზრდობის დეპარტამენტიდან, სახელმწიფო კანცელარიიდან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის განათლების სამინისტრომ შეარჩია კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის საკმაოდ კარგი შენობა, რომელსაც არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრი დაერქმევა. ეს საკითხი განიხილა არასრულწლოვანთა საკომისიო-სამთავრობო სხდომამ, დებულება უკვე შემუშავებულია განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი მონაწილეობით. ეს არის მნიშვნელოვანი საქმე და თუ დაფინანსებაც მოხერხდა, მაშინ უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მოზარდთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის საქმეს.

შარშან, მწვავედ დაისვა საკითხი, რომ ამოქმედებულიყო არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების სამსახური, რომელიც თითქმის დაშლის პირას იყო მისული. დღეისათვის ეს საკითხი მოგვარებულია. ამასთან დაკავშირებით მოეწყო რესპუბლიკური შეკრება. სამსახურმა, ფაქტობრივად, ახალი შევსება მიიღო. და ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ იმისათვის, რომ აგვემაღლებინა ინროდან შემოსული ბრძანებულებების პროექტი, გამოვთქვით შენიშვნები და მომზადდა სარეკომენდაციო წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის სახელზე, რომელიც ეხება მოქმედი სტრუქტურების კომპიუტერიზაციის და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდია სულ მალე დაამთავრებს მუშაობას დოკუმენტურ ფილმზე. პროგრამით გათვალისწინებული იყო მოზარდებისათვის სპეციალური სასწავლებლის შექმნა. ამისპექტორების კვალიფიკაციის დონე.

ყველაზე სავალალო პრობლემად რჩება მაწანწალობისა და მათხოვრობის საკითხი. სამწუხაროდ, გვაქვს ფაქტები, როდესაც გაჭირვებიდან თავის დასაღწევად მშობლები ბავშვებს სამათხოვროდ უშვებენ. გავრცელებული აზრი, თითქოს არასრულწლოვნების ზურგს უკან მაფიოზური სტრუქტურები და სხვადასხვა კლანები დგანან, მართალი არ არის. ჩვენ თითქმის ყველა მათხოვარ ბავშვს ვიცნობთ, ყველას მდგომარეობა შესწავლილია და მომავალში ამ პრობლემას უთუოდ მოევლება, რადგან ამისი წინაპირობა უკვე არსებობს. ამ საკითხის გადასაჭრელად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია – სასწრაფოდ კაპიტალურად შესაკეთებელია არასრუწლოვანთა განმანაწილებელი, რომლისთვისაც თანხა ჯერჯერობით არ არის. ამჟამად შინაგან საქმეთა ორგანოებში 2500-მდე მოზარდია მოთავსებული. არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში თითქმის ყველაფერი მწყობრიდანაა გამოსული, ძალიან დიდი შეღავათი იყო ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციიდან ქალბატონების ნანული შევარდნაძისა და ნელი გურგენიძის დახმარებით ბავშვებს გადაეცათ თეთრეული და ლოგინი, დაგვეხმარა წითელი ჯვრის საზოგადოება: ბავშვებს პურის ფქვილი და რძის ფხვნილი გამოუყვეს. ეს რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ და კვლავ ბევრია.

ახლახან არასრულწლოვანთა სამთავრობო კომისიასთან შეიქმნა საკოორდინაციო ცენტრი. ეს არის სამუშაო ორგანო და ამიერიდან ამ ცენტრში მოიყრის თავს ყველაფერი, რაც გაკეთდება სხვადასხვა ორგანოს ძალისხმევით. ჯანსაღი ახალგაზრდობა ხომ საქართველოს ხვალინდელი დღეა.

ახალგაზრდები — თამბაქოს წინააღმდეგ

შეიბრალეთ საკუთარი თავი და ოჯახი

საქართველოს თამბაქოს მწეველთა პროცენტული რაოდენობით მსოფლიოში საბედისწერო ადგილი უკავია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისში, სადაც მწეველთა რაოდენობა ბოლო 15 წლის განმავლობაში მამაკაცებში 1,4-ჯერ, ხოლო ქალებში 9,4-ჯერ გაიზარდა. თბილისის სკოლებში 14-16 წლის ვაჟების 84, ხოლო გოგონების 78 პროცენტი მწეველია. ამ სავალალო მონაცემებმა უბიძგა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირს, მოეწვია კონფერენცია დევიზით – „საქართველოს ახალგაზრდობა თამბაქოს წინააღმდეგ".

ამ მნიშვნელოვან წამოწყებას მხარი აუბეს: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის, სპორტის აკადემიის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სახელმწიფო კონსერვატორიის, აგრარული უნივერსიტეტისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტური კავშირების საინიციატივო ჯგუფებმა.

კონფერენციაზე, რომელიც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა, თსუ სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეზიდენტმა გიორგი შარაშიძემ მთელი სიმწვავით წარმოადგინა თამბაქოს წევის მავნე შედეგები. სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე თამბაქოს წევის საწინააღმდეგო ბრძოლის ცენტრის თავმჯდომარე გელა კობეშავიძე და ამ ცენტრის წევრი პაატა ნებიერიძე. მათ დაასახელეს მონაცემები, რომელთა თანახმად მსოფლიოში ყოველდღიურად იღუპება 8200 კაცი, ხოლო საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე თამბაქოს წევამ შეიწირა 25 000 ადამიანი, ყოველდღიურად კი იღუპება 5 კაცი.

კონფერენციაზე ბევრი რამ საგულისხმო ითქვა. ისიც საკმაოდ დამაფიქრებელია, რომ მაშინ, როცა ეკონომიკურად ასე უჭირს საქართველოს, თურმე თამბაქოს შეძენაში ყოველდღიურად რვაასი ათასი ლარი იხარჯება...

კონფერენციამ, რომელიც 24 ოქტომბერს გაიმართა, მიიღო შესაბამისი რეზოლუცია და მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი.

ნანა ბასილაშვილი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრესმდივანი.

შემთხვევა გზაზე

საბედისწერო შედეგი

25 ოქტომბერს 17 საათსა და 30 წუთზე თბილის-სენაკ-ლესელიძის გზის 30-ე კმ-ზე (მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანთან) გორის მიმართულებით მიდიოდა ავტომანქანა „რენო", რომელსაც მართავდა თბილისელი, დიღმის მასივის მცხოვრები, 1971 წელს დაბადებული თამაზ ღონღაძე. მან ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა და შეეჯახა საჩხერიდან დედაქალაქისაკენ მომავალ ავტომანქანა „ვაზ 2706"-ს, რომელსაც მინდობილობით მართავდა თბილისელი, შატბერაშვილის ქუჩაზე მცხოვრები, 1970 წელს დაბადებული კონსტანტინე ჭილაძე. შეჯახების შედეგად ადგილზე დაიღუპნენ „ვაზ" ავტომობილში მძღოლი, ამავე მანქანაში მჯდომი მოქალაქე ალექსანდრე ჭილაძე (1973 წელს დაბადებული). ავტომანქანა „რენოს" მძღოლი და მისი მგზავრი – 1949 წელს დაბადებული თბილისელი გურამ საბანაძე საავადმყოფში მიყვანისას გარდაიცვალნენ, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო კიდევ ორმა კაცმა.

შემთხვევის ადგილზე გავიდნენ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, მცხეთა-თიანეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს და სამხარეო პროკურატურის ხელმძღვანელები. გამოძიებას აწარმოებს მცხეთა-თიანეთის შს რეგიონული სამმართველოს გამომძიებელი.

ამ შემთხვევის ყველა შემსწრე შეძრწუნებულია, მაგრამ ბევრი მათგანი, როგორც კი საჭეს მიუჯდება, სამწუხაროდ კარგავს კეთილგონიერებას – არცთუ იშვიათად არღვევს მოძრაობის წესებს.

მოსახლეობას კარგად მოეხსენება ჩვენი გზების მდგომარეობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უცხოური ავტომანქანებისათვის დადგენილ სტანდარტებს, „ჟიგულიდან" პირდაპირ სხდებიან ზემძლავრი ძრავებით აღჭურვილ უცხოური წარმოების ავტომანქანებში, აქსელერატორზე ფეხის დაჭერასაც ვერ ასწრებენ, რომ მანქანა დაუმორჩილებელი ხდება გამოუცდელი მძღოლის ხელში. არადა, საქართველოში 1997 წლის 1 იანვრიდან დღემდე არასწორი გასწრების და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის შედეგად მომხდარია 462 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა დროს დაიღუპა 139 და დაშავდა 601 ადამიანი.

აღნიშნული შემთხვევა და სტატისტიკური მონაცემები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ საქართველოში ძალზე დაბალია მძღოლების საგზაო მოძრაობის კულტურის დონე.

საგზაო პოლიციის
მთავარი სამმართველოს
პრესსამსახური.

გამოსათხოვარი

ალექსანდრე ჯავახიშვილი

გარდაიცვალა უდიდესი პიროვნება, ქვეყნის ერთგული მამულიშვილი, საქართველოს ისტორიის მემატიანე, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და საპარლამენტო უმრავლესობის უხუცესი წევრი **ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი.**

უკანასკნელ ხანს ქვეყანაში მიმდინარე დრამატული პროცესების ფონზე, როცა ხდება ღირებულებათა ათასგზის გადაფასება, ბატონი ლალი თანამემამულეთათვის იყო ზნეობის, პატიოსნებისა და ღირსების სიმბოლო. იგი იყო და იქნება ბრძენი მასწავლებელი საქართველოს ყველა თაობის ადამიანისათვის. იგი საკუთარი ცხოვრებით გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს მოქალაქე თავის ქვეყანასა და ხალხს. თავისი ყოველდღიური საქმიანობით უზომოდ თავმდაბალი პიროვნება ბატონი ლალი იყო პრინციპულობისა და სიმტკიცის ბრწყინვალე მაგალითი. მისი უანგარო მოღვაწეობა იყო ჭეშმარიტი ერისკაცობის ნათელი გამოხატულება და დასტური იმისა, რომ ნებისმიერი საქმე, მათ შორის პოლიტიკაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია იყოს „კეთილშობილი ხელოვნება", თუ მას უანგაროდ და სუფთა ხელებით აკეთებ.

ბატონო ლალი, ჩვენ ვამაყობთ, რომ არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ მოქალაქეთა კავშირისა და საპარლამენტო უმრავლესობის ისტორიის მრავალი საამაყო ფურცლის შემოქმედი ბრძანდებით.

ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის", საპარლამენტო უმრავლესობის თითოეული წევრი, სრულიად საქართველო ქედს იხრის თქვენი ნათელი ხსოვნის წინაშე.

ღმერთს ვთხოვთ, მოგვცეს შემწეობა, ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, როგორზეც ოცნებობდა ბატონი ლალი.

საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი".
საპარლამენტო უმრავლესობა.

საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი

არჩილ სულაკაური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ჟურნალ „მნათობის" რედაქციის კოლექტივი.

მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ ბატონ გივი ჯაფარიძეს ქალიშვილის

ხათუნა ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ომარი, შვილები დალი, თამაზი, შვილიშვილი ნიკა ყაჯრიშვილები, რძალი ნაზი იმნაიშვილი, და ანა შანშიაშვილი, ძმისწულები მერი, ნათელა, რუსუდან, ლუიზა შანშიაშვილები, დეიდაშვილები ლიზიკო, ვენერა, ვარვარა, მულიშვილი გურამ შანშიაშვილი, რძალი ეთერ ბერიაშვილი, მაზლიშვილები მარინა, თემურ ყაჯრიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ილიას ასული შანშიაშვილი – ყაჯრიშვილისა

პანაშვიდი 28, 29 X 4 ს. გამოსვენება 30. X. 2 ს. კ. გამსახურდიას პრ. 2. I სადარ. III სართული.

მეუღლე ზეინაბ ებრალიძე, შვილი ერეკლე, და მანანა, მამიდა მარგო გრიგოლიები, ბიძა პიმენ მოდებაძე, სიდედრი ლეილა ალშიბაია, ცოლისდა გიული ებრალიძე, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დემურ (დემო) სერგოს ძე გრიგოლია

პანაშვიდი 28, 29 X 4ს, გამოსვენება 30 X 3ს. მცხეთის ქ. № 8, IV სადარბაზო, V სართული.

დედა ვენერა სვანიძე, შვილები ქეთინო, მაკა, ნანა, შოთიკო ყურავები, ძმა ფარნაოზ ყურავა, რძალი ლალი კანდელაკი, სიძეები გიგა ვიბლიანი, გია ყაზაზიშვილი, ალეკო ალავიძე, ძმისწულები თამუნა, თემური ყურავები, მძახლები ლევან, მზია ვიბლიანები, ბონდო, თინა ყაზაზიშვილები, შვილიშვილები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტარას (ბიჭიკო) შოთას ძე ყურავა

პანაშვიდი 30, 31. X 5 საათზე, გამოსვენება 1 XI 2 საათზე, ვახუშტი ბაგრატიონის 70.

ჩვენი ინფორმაცია მომავლის გასაღებია

დრონი იცვლებიან
ინფორმაციის საჭიროება უცვლელი რჩება

გვისმინეთ ყოველდღე
22:00 - 23:00, 24:00 - 1:00 და 9:00 - 10:00 მოკლე ტალღებზე,
აგრეთვე, 22:00 - 23:00 საშუალო ტალღებზე
საქართველოს სახელმწიფო რადიოს მეორე არხით,
და 22:00 - 23:00 და 9:00 - 10:00
რადიო "ეერიკის" ტალღებზე - FM 100,3.

თბილისის ბიურო: 380008 თბილისი, რუსთაველის 42,
ტელეფონი/ფაქსი 92 23 68
e-mail: libertyg@access.sanet.ge

რადიო თავისუფლება
Radio Liberty

ახალი ამბები. და უფრო მეტი

სინათლე! მეტი სინათლე!

ორგანიზაცია გთავაზობთ საუკეთესო ხარისხის დღის განათების ლუმინესცენციურ ნათურებს ლბ-40-ს დაბალ ფასად. ანგარიშსწორება ნაღდი და უნაღდო. მინიმალური პარტია 200 ცალი.

ტელეფონი 95-28-06.

ქაღალდის საკაჭრო ცენტრი

- -ქსეროქსის (ვარ) 2,5 ათ - 4,58 ლ.
- -საბეჭდი (ვარ) 200 ფურც - 1,83 ლ.
- -საწერი (ვარ) 200 ფურც - 1,10 ლ.
- -ოფსეტური №1 (ვარ) 1ტ - 1500 ლ.
- -კრაფტი (ვარ) 1ტ - 1200 ლ.
- -საქმე, ცარცის, ზეპის, АЦПУ

ტელეფონის ქაღალდი და საკანცელარიო საქონლის ფართო არჩევანი (250 სახეობა)

☎ 39-84-05 38-91-64
პეიჯ.: 8(77) 40-65-05

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის" მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის" სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები"

ასრულებს რეგულარულ პირდაპირ რეისებს

თბილისი - პარიზი - თბილისი

რეისები სრულდება ყოველ ოთხშაბათს

სხვა მიმართულებები:

ათენი, სალონიკი, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, სოჭი

ტურისტულ სააგენტოებს ვიწვევთ სათანამშრომლოდ.
ცნობებისათვის დარეკეთ 94-75-47; 94-71-80.

GEORGIAN AIRLINES
საქართველოს ავიახაზები

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა"

NEW!

გერმანული წარმოების უახლესი მინისტამბა იღებს შეკვეთებს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ბეჭდვითი პროდუქციის დამზადებაზე (ფერადი და შავ-თეთრი). შეკვეთები სრულდება როგორც შემკვეთის, ისე გამომცემლის ქაღალდით, ყველაზე სწრაფად და ხარისხიანად, ხელმისაწვდომ ფასებში. ბეჭდვის მაღალი ხარისხი გარანტირებულია კომპიუტერული ინტერფეისის მეშვეობით.

შეკვეთები მიიღება: გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, წიგნების, სხვადასხვა სახეობის ეტიკეტების (ღვინის, არყის, კონიაკის, შამპანურის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ვიდეო-აუდიო კასეტების და სხვა), სავიზიტო ბარათების აწყობადაკაბადონებაზე (ზოგიერთი პოლიგრაფიული ნაწარმის დაბეჭდვაზეც), დიდი ტირაჟის ქსეროასლების უსწრაფესად გადაღებაზე, პირადობის მოწმობების ბეჭდვალამინირებაზე.

მოგვმართეთ, შევეცდებით მივიღოთ და შევასრულოთ ნებისმიერი შეკვეთა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით!

მისამართი: მერაბ კოსტავას 14. მე-4 სართული.
ტელ: 99-06-88. 99-03-09.

ამერიკული ორგანიზაციის — „ინტერნიუს ნეტვორკ"-ის საქართველოს წარმომადგენლობა

INTERNEWS

აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. კომპიუტერის სპეციალისტი – „ქსელის ადმინისტრატორი. პრეტენდენტს მოეთხოვება შემდეგ ოპერაციულ სისტემებზე მუშაობის გამოცდილება და ღრმა ცოდნა:
   - კომპიუტერული გრაფიკა (**Corel Draw, Photoshop, 3D Studio** და ა. შ.);
   - **Windows 95;**
   - **Windows -NT 4.0;**
   - **Internet.**
2. კომპიუტერის სპეციალისტი – არაწრფივი მონტაჟის გამოცდილებით (**IBM, Macincoth**)

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 ნოემბრამდე. კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე რეზიუმე მათი განათლებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ. კონკურსი ჩატარდება ა. წ. 1-დან 10 ნოემბრამდე. საჭიროების შემთხვევაში კონკურსის მონაწილეები მოწვეულ იქნებიან გასაუბრებაზე.

მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. 2 (კინოს სახლი), მე-3 სართული. „ინტერნიუს ნეტვორკ"-ის საქართველოს წარმომადგენლობა. ტელ/ფაქსი: 968324, 988325, 935066

ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10:00-18:00 საათზე.

საქართველოსრესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.